პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 12 თებერვალი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 36 (2079)

დღიური

- ახალი საბინაო გადასახადი გერმანიაში.
- პოლონეთის ლიტველი მოსახლეობა ბოიკოტს უცხადებს სეიმის არჩევნებს.
- ფეიქართა გაფიცვა შანხაიში.
- ლექციები საბჭ. კავშირის შესახებ სამხრეთ-ამერიკაში.
- ერთა ლიგის სესია გაიხსნება ხუთ მარტს.
- დიდი გრიგალი შვეციაში და ნორვეგიაში.
- მიწისძვრა პორტუგალიაში.
- პოლონეთის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ.

ორშაბათს, 13 თებერვალს საღამოს 6 საათ. მუშათა თეატრში
(ყორესის ქუჩა) შესდგება
თბილისის მუშათა და წითარმიელთა დეპუტატების საბჭოს
მორიგი მეთვრამეტე პლენუმი
სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად
დღის წესრიგი:
1. ადმინისტრატიული განყოფილების მუშაობის ანგარიში.
2. მიმდინარე საკითხები.
თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

საღამოს 5 საათზე იმავე დარაზში შესდგება
საბჭოს ბკომფრაქციის სხდომა. ფრაქციის ბიურო

ნ. 602

დაქირავებული მუშა ხელი სოფლად

მუშაობა მოჯამაგირეთა შორის პარტიის მიერ მიჩნეულია ერთ - ერთ საპასუხისმგებლო ამოცანად. რომ ეს მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდეს, საჭიროა პირველყოვლისა, გაფანტულ იქნას ის გაუგებრობანი, რომელთაც დღემდის კიდევ აქვთ აქა-იქ ადგილი. ერთი ამ გაუგებრობათაგანი მდგომარეობს თვით ცნება „მოჯამაგირე“-ს განმარტებაში ზოგჯერ ამ სიტყვის მნიშვნელობა მეტად ვიწროთ ისაზღვრება. მოჯამაგირეთ სთვლიან მხოლოდ შინა მოსამსახურეს. ნამდვილად კი მოჯამაგირეთა კატეგორიას ამ სიტყვის სწორი გაგებით ჩვენ უნდა მივაკუთვნოთ სოფლის ყველა ის მუშაკი, რომელიც ფიზიკურ შრომის გაქირავებით ცხოვრობს ან რომლის არსებობის მთავარ წყაროს ქირაზე მუშაობა წარმოადგენს. ასეთები კი სოფლად ბევრი მოიპოვება. ესენია, გარდა ოჯახში ქირაზე მომუშავეებისა, სხვადასხვა მსხვილ მეურნეობათა დაქირავებული მუშები, ტყის მცველები, მეჯოგეები, მწყემსები, მევენახეები და სხვანი. როცა ასე დავსვამთ საკითხს, თავისთავად ნიადაგი ეცლება იმ მიუღებელ შეხედულებას, რომელსაც ვამჩნევდით ზოგიერთ ადგილებში და რომელიც იწვევდა ადგილობრივ ორგანიზაციების ერთგვარ გულგრილობას მოჯამაგირეთა შორის მუშაობისადმი. ეს შეხედულება მდგომარეობდა იმაში, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის აზრით მოჯამაგირეთა შორის მუშაობის ისე დაყენება, როგორც ამას მოითხოვს მათგან პარტია, შეუძლებელია, რადგან მცირეა თვით მოჯამაგირეთა რიცხვი. ასეთ მაინც შეხედულებას უკანასკნელ ხანებში თანდათან ეღება ბოლო. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომები იმისათვის, რომ სავსებით აღმოვფხვრათ ის.

ამასთან დაკავშირებით თავისთავად იშმება საკითხი მოჯამაგირეთა სწორი და სრული აღრიცხვის შესახებ. მოჯამაგირეთა მოჩვენებითი მცირერიცხოვნობა, რომელსაც აქა-იქ აქვს ადგილი, იმითაც აიხსნება, რომ სოფლად მეტადაა გავრცელებული ევგრეთწოდებული არალეგალური მოჯამაგირეობა. ნათესაური კავშირის ან მამობრივი მზრუნველობის საბაბით სოფლად ხშირად დაქირავებულ მუშახელის დაუზოგავი ექსპლოატაცია სწარმოებს. ამიტომ მოჯამაგირეთა შორის მუშაობის ერთ - ერთ მორიგ ამოცანად უნდა დასახულ იქნას სოფლად დაქირავებულ მუშა - ხელის რაც შეიძლება სწორი და სრული აღრიცხვა.

განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ პროფკავშირის მნიშვნელობა. მან უნდა გააჩაღოს მუშაობა ერთი მხრივ თავის რიგების მოჯამაგირეთა ახალი კადრებით შესავსებათ, ხოლო მეორე მხრივ პროფესიონალური კავშირიდან ისეთი ელემენტების გასაძევებლად, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მუშათა ორგანიზაციაში.

ამასთან ერთად პარტიულ კომიტეტებმა და უჯრედებმა ყოველნაირი ზომები უნდა იხმარონ მოჯამაგირეთა კლასიურ თვითშეგნების ასამაღლებლად და კულტურული დონის ასაწევად. ეს შესაძლებელია არა მარტო სპეციალური კურსების და სკოლების საშუალებით, არამედ მოჯამაგირეთა მასის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობით საზოგადოებრივ მუშაობის დარგში. ამ მიზნით პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებმა მოჯამაგირეთა შორის მუშაობა უნდა წარმართონ იმ მხრივ, რომ, რაც შეიძლება მეტი მოჯამაგირე შეიყვანონ პარტიაში, კომკავშირში, საბჭოში, კოოპერაციაში, გლეხკომში და სხვა ორგანიზაციებში. დღემდე ხშირათ ამას ხელს უშლიდა ფორმალიზმი, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა ორგანიზაციებში ახალ წევრთა მიღების დროს. ეს ფორმალიზმი თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო განსაკუთრებით მძიმე იყო მოჯამაგირეთა მასისათვის. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ პარტიის, კომკავშირის და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების კარები ფართოდ გაიღოს მოჯამაგირეებისათვის. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა მოჯამაგირეთა საუკეთესო წარმომადგენლები აქტიურათ იქნან ჩაბმული პარტიის, კომკავშირის, კოოპერაციის, საბჭოების და სხვ. ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობაში. საჭიროა წინასწარ გადაიდგას ნაბიჯები მოჯამაგირეთა კადრის მოსამზადებლად ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაწინაურებლად.

რაც შეეხება მოჯამაგირეთა შრომის დაცვას, ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობების დაცვას, მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შემარიგებელ კომისიების მუშაობას, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ფარულ ექსპლოატაციას სხვადასხვა „პატივსადებ“ საბაბით და სხვ.

მოჯამაგირე პარტიის საიმედო დასაყრდენია სოფლად. მოჯამაგირეები ის მასაა, რომლის საშუალებითაც პროლეტარიატი ანხორციელებს თავის გავლენას სოფლად, აწარმოებს მუშაობას ღარიბ გლეხკაცობაში და კავშირს აბამს საშუალო გლეხკაცობასთან. დღემდე ზოგან მოჯამაგირეთა ორგანიზაციები ამ მიზანს ვერ ამართლებდა. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. პარტია ერთხელ კიდევ მოაგონებს ადგილობრივ ორგანიზაციებს მოჯამაგირეთა შორის მუშაობის მნიშვნელობას, პარტია მოითხოვს ამ მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენებას. და ეს უნდა იქნეს შესრულებული.

დაწინაურების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მასების ჩაბმა სახელმწიფოს მმართველობის საქმეში, უკვე დიდი ხანია შეადგენს პარტიის ზრუნვის საგანს, იგი მაინც რჩება ერთ - ერთ სუსტ ადგილად ჩვენს მუშაობაში.

პარტიის პოლიტიკას და ლენინის შეხედულებებს ამ საკითხში იცნობს მრავალი მილიონი მუშა და გლეხი. ძნელია გამონახულ იქნას უფრო მნიშვნელოვანი მუშაობა მასებში, ვიდრე არის ამ მასების ჩაბმა ჩვენი აპარატების — სახელმწიფო, პროფესიონალური და კოოპერატიული აპარატების ნაკლულოვანებათა პრაქტიკულად გამოსწორების საქმეში. მშენებლობის ყოველ დარგში აუცილებლად საჭიროა ახალი ძალების ჩაბმა მასებიდან.

მე-15 პარტყრილობაზე მოყვანილ იქნა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურებულ მუშათა რიცხვი ხელმძღვანელ მუშაკთა მთელ შემადგენლობასთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ მუშათა რაოდენობა საოლქო და საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეთა შორის შეადგენს 43 პროც., მრეწველობაში — 64 პროც., კოოპერაციაში—26 პროც., ვაჭრობაში — 31 პროც., ხელმძღვანელ პროფორგანოებში — 62 პროც.

ეს პროცენტი საერთოდ არ არის საკმაო, მთელ რიგ დარგებში კი ძალიან მცირეა. ვაჭრობისა და კოოპერაციის გაჯანსაღება აუცილებლად წავიდოდა წინ, რომ ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა ცენტრში და ადგილებზე შეივსოს მუშებით და გლეხებით.

სწორედ ჩვენი აპარატების გამუშურების მეოხებით, მასების დახმარების საშუალებით გვაქვს ფაქტიური საშუალება აპარატების მუშაობა მივმართოთ იმგვარად, რომ გადიდებულ იქნას მისი ნაყოფიერება და დაჩქარდეს სოციალისტური მშენებლობის ტემპი.

მაგრამ თუ ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები აპარატების გამუშურების დარგში, სამაგიეროდ ძალიან ცოტა რომ გავაკეთეთ აპარატის ძირიანად გადაკეთების საქმეში; ძალიან ცოტა გავაკეთეთ აგრეთვე იმ მხრივ, რომ „ჩინოვნიკები“ შეგვეცვალა პროლეტარული ელემენტებით და გლეხობის წარმომადგენლებით, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ „ჩინოვნიკობის სავსებით მოსპობას“.

ლენინის ეს სიტყვები ამოღებულია 1917 წლის აპრილის თეზისებიდან და შეეხება კომუნის სახელმწიფოს შექმნის ამოცანებს, ისეთი სახელმწიფოს შექმნის ამოცანებს, რომელშიაც მთელი აპარატი აშენებული იქნება „საარჩევნო“ საფუძველზე ყოველ დროს. საკითხის ასეთი დასმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მთელი მოსახლეობა იქნება ჩაბმული სახელმწიფოს მმართველობის საქმეში. სწორედ ასე სვამ და საკითხს ლენინი:

„ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას მართვა - გამგეობაში“.

ლენინი უკვე მაშინ აქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „მუშათა ის ფენა, რომელიც მართვა - გამგეობაში ღებულობს მონაწილეობას, მეტის მეტად მცირეა. ჩვენ უნდა მივიღოთ დახმარება“.

მას შემდეგ მართვა - გამგეობაში მონაწილე მუშების ფენა მნიშვნელოვნად შეივსო (განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში). მაგრამ ამასთანავე საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ ისიც, თუ რამდენად უფრო გართულდა ამ პერიოდში ცხოვრება და გაიზარდა მუშაობა.

მაშასადამე, მით უფრო მწვავედ სდგას საკითხი მართვა - გამგეობაში მშრომელთა ჩაბმის შესახებ და არა მარტო უმაღლეს ორგანოებში, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივ აპარატის ყველა კუნჭულში. ამ მთავარი გიგანტური ამოცანის წინაშე განა შეიძლება მართვა - გამგეობაში მასების ჩაბმის საქმეში, დაწინაურების მნიშვნელოვან საქმეში მიღწევების აღიარება დამაკმაყოფილებლად? რამდენი დაწესებულებაა, რომ დაწინაურებულთ ასწავლიდეს და ამზადებდეს? სადაა ეს მუშაობა დაყენებული, როგორც ერთ - ერთი მნიშვნელოვანთაგანი? სად სრულდება დაწინაურების გეგმა სათანადო მასშტაბით?

ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სავსებით დამაკმაყოფილებლად ეს მუშაობა არსად არაა დაყენებული, იმ დაწესებულებებშიაც კი, რომლებიც იჩენენ მზრუნველობას დაწინაურების შესახებ, რაღაც მაინც მოიკოჭლებს. ბევრ დაწესებულებაში კი ამ მზრუნველობასაც კი არა აქვს ადგილი.

ხშირად გვესმენია დაწინაურებულ მუშებისაგან ის ტანჯვა — წამება, რომლის ატანაც უხდებათ მათ აპარატის მუშაობაში ჩაბმის დროს. ბევრი მათგანი „ანებებს თავს“ იმის გამო, მაგალითად, რომ არაა მომზადებული იმ მუშაობისათვის, რომელსაც შეგნებულად აძლევს დაწინაურებულ მუშას ბიუროკრატი.

განა შეიძლება იმ მუშის გამტყუნება (შემთხვევა ბელაია ცერკოვში), რომელიც მოხსნეს ზეინკალისა და მანქანის კვალიფიციური მუშაობიდან, ჯერ დანიშნეს სოლდაზღვევის სარაიონო პუნქტის გამგეთ ისე, რომ არ აუხსნეს საქმე, შემდეგ მოხსნეს და გაგზავნეს სხვა ოლქში კლუბის გამგეთ, ახალი მუშაობის გაცნობაც კი ვერ მოასწრო, რომ კვლავ მოხსნეს და გაგზავნეს პურის დამზადების საქმეზე? დაბოლოს დაწინაურებული უმუშევრად რჩება.

ამხ. სტალინი მე-15 ყრილობაზე წინადადებას იძლეოდა, რომ „გახურებული შანთით აღმოვფხვრათ ასეთი სისაძაგლე ჩვენს პრაქტიკაში“-ო. ამხ. ორჯონიკიძე მიუთითებდა, რომ ყოველგვარი „უყურადღებობის გამოჩენა მუშებისა ან გლეხებისადმი ამა თუ იმ ადმინისტრატიულ, სავაჭრო, კოოპერატიულ და სამრეწველო აპარატის მოსამსახურის მხრით განხილულ უნდა იქნეს როგორც საბოტაჟი და ბოროტმოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“-ო.

რამდენ საბაბს იძლევა რეპრესიებისათვის დაწინაურების ისეთი „პრაქტიკა“, როცა დაწინაურება ფაქტიურად „უკანდაწევად“ ხდება.

დაწინაურების ვალდებულებანი, უწინარეს ყოვლისა, ეკისრება პროფორგანოებსა და საბჭოებს (სათანადო სექციების საშუალებით). საჭიროა პროფკავშირებისა და საბჭოების მუშაობის დიდათ გაძლიერება დაწინაურების საქმეში.

არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწევებით, საჭიროა დაუღალავი მუშაობა მასების ყურადღების მისაპყრობად დაწინაურების საქმეზე და დაწინაურებულთა მუშაობის ნორმალური პირობების ნამდვილათ უზრუნველსაყოფად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კი მტკიცე ხელით უნდა წარმართონ ეს საქმე და დეტალურად შეამოწმონ ამ დარგში არსებულ დირექტივების შესრულება.

„პრავდა“, 11 თებერვალი.

ამხ. ლიტვინოვის დეპეშა შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა მინისტრს

ესპანეთის ნავთის ფირმა იძენს საბჭოთა ნავთს

ნორვეგიის „მუშათა“ მთავრობა გადადგა.--კაბინეტის შედგენა დაევალა ლიბერალებს

ამხ. ლიტვინოვის დეპეშა

ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს

მოსკოვი, 11 თებერვალი. 6 თებერვალს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა დეპეშა 1915 წელში მომხდარ აფეთქების დროს დაღუპულ სამხედრო ქონების კომპენსაციის შესახებ; აღნიშნული ქონება ეკუთვნოდა ყოფილ მეფის და დროებით მთავრობებს, და ვინმე უგეტ' რომელიც თავის თავს ზემოდდასახელებულ მთავრობების წარმომადგენელს უწოდებდა.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი უგეტი' სასარგებლოდ შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ დოკუმენტების საფუძველზე. რომლებიც უგეტს სცნობენ იმ ქონების „კანონიერ შემნახველად“, რომელიც წინად მეფის მთავრობას ეკუთვნოდა.

ამხ. ლიტვინოვი საბჭოთა მთავრობის სახელით პროტესტს აცხადებს ყოფილ რუსეთის ხაზინის კუთვნილ ფულის კერძო პირისათვის გადაცემის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ უგეტს არავითარი რწმუნებები არა აქვს საბჭოთა მთავრობისაგან.

აღნიშნავს, რა რომ ამ თანხების ერთად ერთი კანონიერი მესაკუთრე არის საბჭოთა კავშირი, რომლის სანქციის გარეშე არავის არ შეუძლია ამ თანხებზე პრეტენზიების გამოცხადება, ამხ. ლიტვინოვი აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს წარუდგინოს ასეთი მოთხოვნილება შეერთებულ შტატების მთავრობას, მით უმეტეს, რომ სასამართლოს დადგენილება ამ თანხების გადახდის შესახებ გამოტანილია უგეტის შეერთებულ შტატების მთავრობასთან მიწერ-მოწერის საფუძველზე (ადს).

ნორვეგიის „მუშათა“ მთავრობა გადადგა

ოსლო, 11 თებერვალი. მუშათა პარტიის მთავრობა გადადგა. მეფემ ახალი მთავრობის შედგენა დაავალა ლიბერალების ბელადს მოვინკელიუს. (ადს).

სამხრეთელების შეტევა პეკინზე

მუკდენელების დამარცხება შანსიში

შანხაი, 10 თებერვალი. მიღებულ ცნობებით, შანსის ჯარებმა დაამარცხეს მუკდენის ჯარები პენგუანში, შანსის პროვინციის დასავლეთ ნაწილში. (ადს).

ნანკინელების შეტევა

შანხაი, 10 თებერვალი. ნანკინიდან მიღებულ ცნობებით, ენ-სი-შანი შეტევაზე გადავიდა ტაიუანჩენტინის რკინისგზის გასწვრივ. ჩუილის გენერალი ბან-ფან-გუი დანებდა ფინ-იუ-სიანს. სუნ - ჩუან - ფანი და ჩჟან-ცზუნ-ჩანი ემზადებიან ცზინანის (შანდუნის პროვინციის მთავარი ქალაქი) ევაკუაციისათვის. (ადს).

ჯარისკაცების აჯანყება იანლიცზინში

პეკინი, 10 თებერვალი. 1000 მუკდენელ ჯარისკაციდან, რომლებიც ამასწინად აჯანყდნენ რკინისგზის სადგურ იანლიუცზინში, ტიანცზინის მახლობლად, დაჭერილია მხოლოდ 30. სხვები დაიმალენ ჩრდილოეთის მიმართულებით. (ადს).

კომუნისტური მოძრაობის ეშინიათ

შანხაი, 10 თებერვალი. პრესის ცნობებით, კომუნისტურ მღელვარების შიშის გამო, შანხაის რაიონში შემოღებულია სამხედრო წესები.

გარეშე საქმეთა კომისარმა კონსულთა კორპუსს მიმართა თხოვნით, რომ უცხოელთა უბანში ჩაქრობილ იქნას კომუნისტური პროპაგანდა. (ადს)

კომუნისტების დასჯა

შანხაი, 10 თებერვალი. ხანკოუდან მიღებულ ცნობით, უხანის ჯარებმა დაიკავეს სიან-შანი (ხუნანის პროვინცია), დაახლოებით 100 კილომეტრზე ჩანშას სამხრეთ - დასავლეთით). ქალაქის დაკავების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს შვიდი კომუნისტი. (ადს).

ფეიქრების გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 10 თებერვალი. „ფორ ისტერნ ტაიმს“-ის ცნობით, შანხაიში გაიფიცნენ იაპონელების და ჩინელების საფეიქრო ფაბრიკების მუშები. (ადს).

ბლოკის ძიებაში

პეკინი, 10 თებერვალი. ნანკინიდან მიღებულ ცნობით, ნანკინის მთავრობის კომიტეტის მეთაური ტან-ენკაი მიემგზავრება ხანკოუში შეთანხმების მისაღწევად ჩან-კაიშისა და ბაიცზუნ-ჩისთან. (ადს).

ლექციები საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. ესპანეთის რესპუბლიკანური პარტიის ბელადმა როდრიგო სორიანომ, რომელიც ამას წინად დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, შემოიარა ლათინური ამერიკის ქვეყნები და ურაგვაის დედა-ქალაქ მონტევიდეოში წაიკითხა მთელი რიგი ლექციები, რომლებშიაც აღტაცებით იხსნიებს საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მდგომარეობას და საბჭოთა მთავრობის მიღწევებს.

როდრიგო სორიანოს, რომელსაც პოლიტიკური მიზეზების გამო არ შეუძლია ესპანეთში დაბრუნება, განზრახული აქვს დასახლდეს ურაგვაიში (ადს).

იაპონია-საბჭოთა შეთანხმებისათვის

გოტო ტანაკასთან

ტოკიო, 10 თებერვალი. ყველა იაპონური გაზეთები ბეჭდავენ ცნობას იმის შესახებ, რომ ვიკონტმა გოტომ ინახულა პრემიერი ტანაკა. გაზეთების სიტყვით, გოტომ პრემიერს აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა შეუთანხმდეს იაპონიას შორეულ აღმოსავლეთის ყველა პრობლემების შესახებ.

ინგლისის სამხედრო მზადება

ინდოეთის საზღვარზე

კაბული, 10 თებერვალი. ინდოეთის ავღანისტანის პრესა აქვეყნებს მთელ რიგ ცნობებს ინგლისის სამხედრო მზადების შესახებ ინდოეთის საზღვარზე. მთელი პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ ინგლისი სხვადასხვა საბაბით გაძლიერებით ემზადება საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

ავღანურ ჟურნალში „აკიხ“-ში დაბეჭდილი წერილიც მოჰყავს მთელი რიგი ცნობები ინგლისის სამხედრო მზადების შესახებ ინდოეთის საზღვარზე. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ინგლისი ეფარება „წითელი საფრთხის საბაბს“ და გააფთრებულ მუშაობას აწარმოებს ინდოეთის საზღვრების გამაგრებისათვის. აშენებენ სიმაგრეებს, აგროვებენ საჰაერო და ხმელეთის ძალებს. ინდოეთის სამხედრო ბიუჯეტი იზრდება. ყოველივე ეს ხდება იმ საბაბით, თითქოს ავღანისტანში ადგილი აქვს ბოლშევიკურ ინტრიგებს.

[illegible]

დასასრულ წერილის ავტორი აცხადებს:

„როცა ვეცნობით ჩვენს საზღვრებზე, ჩვენ უეჭველად ვრწმუნდებით, რომ ინგლისელებმა შეიმუშავეს რთული და მოხერხებული გეგმა. მთელი ეს სამხედრო ძალა, სანამ გაილაშქრებს ძირითადი მიზნის მისაღწევად (თავდასხმა საბჭოთა კავშირზე), იგი მიმართული იქნება ჩვენს წინააღმდეგ. ინგლისელები იმდენად არიან მომზადებული ომისათვის, თითქოს ეს ომი უკვე გამოცხადებულია. ამავე დროს ისინი გაიძახიან საფრთხეზე, რომელიც ვითომც მოსალოდნელია სხვებისაგან“ (ადს).

შეერთებული შტატების იმპერიალიზმი და ლათინური ამერიკა

ამერიკის ელჩი მოითხოვს

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩმა სალვადოროში, სალვადორის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია, რათა მთავრობამ რეპრესიული ზომები მიიღოს იმ გაზეთების წინააღმდეგ, რომლებიც თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ ცნობას გენერალ სანდინოს ბრძოლის შესახებ ნიკარაგუაში.

ნიკარაგუას დამოუკიდებლობის სალვადორის დაცვის კომიტეტმა, სალვადორში ჩამოსულ მფრინავ ლინდბერგს გადასცა მისასალმებელი ადრესი, რომელშიაც კომიტეტი აღნიშნავს, რომ ის წარმოადგენს ამერიკის იმპერიალიზმის იარაღს. ამასთან დაკავშირებით, ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩმა სალვადორის მთავრობას მოსთხოვა კომიტეტის თავმჯდომარის—სამმორის გადასახლება. (ადს).

აკრძალვა

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ნიკარაგუაში ამერიკის ლიბერალებისა და პაციფისტების მისიას აუკრძალა ნიკარაგუას აჯანყებულთა მეთაურთან—გენერალ სანდინოსთან შეხვედრა. აკრძალვა გამოწვეულია ამერიკის ხელისუფლების სურვილით არ დაუშვას ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების წარმომადგენლების კავშირი რევოლიუციონერებთან (ადს).

ამერიკის ნავთის ტრესტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. „ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს“ ცნობით ჩილის დეპუტატთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც უცხოეთის ყველა წარმოებებს უკრძალავს ნავთის კონცესიების აღებას ჩილიში (ადს).

ბორის სტეფანოვის პროცესი

ვენა, 10 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით, ბორის სტეფანოვის პროცესის მეშვიდე დღეს გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. უნიტარულ პროფკავშირების თავმჯდომარე მიულერმა და მდივანმა იანმა განაცხადეს, რომ თუმცა პროფკავშირები იცავენ მუშათა კლასის მხოლოდ ეკონომიურ ინტერესებს, მაგრამ ხელისუფლება მათ მაინც სისტემატიურად სდევნის.

მოწმეებმა კაგანსმა, დოდანმა და მარიამ ერლიხმა, რომლებსაც უკვე ადრევე აქვთ მისჯილი დაპატიმრება სამიდან 10 წლამდე, დაკითხვის დროს განაცხადეს, რომ ოხრანკა წამების საშუალებით აიძულებს მოწმეებს ჩვენებების მიცემას.

მოწმე სტუდენტმა ჩიობანუმ განაცხადა, რომ ის კომუნისტი არ არის, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია სტუდენტობის შეკავშირება რეაქციონურ ანტისემიტურ განწყობილებათა წინააღმდეგ, რომლებსაც აღვივებენ სტუდენტებს შორის მთავრობის აგენტები. ამისათვის ჩიობანუს სიტყვით საჭიროა სტუდენტობის კავშირი მუშათა კლასთან.

ყოფილმა დეპუტატმა სტანევმა განაცხადა, რომ 1921 წელში გენერალმა პოპვიჩმა, რომელიც მაშინ იყო ბესარაბიის გუბერნატორად, აცნობა მას, რომ თუმცა სტეფანოვის წინააღმდეგ არ არის არავითარი მამხილებელი მასალები, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც საშიში პიროვნებაა სახელმწიფოსათვის და ამიტომ მისი სადეპუტატო მანდატი გაუქმებულია.

შემდეგ მოწმე შეეხო საკითხს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ და აღნიშნა, რომ თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს მუშათა მოძრაობის ერთერთ ძირითად ლოზუნგს. რათა გაექარწყლებინა მოწმეთა ასეთი ხასიათის მრავალრიცხოვან განცხადების გამო შექმნილი შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნისათვის ჯერ არავინ არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში.

რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების ორგანო „ვიაცა მუნჩიატორე“ აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული გაზეთები ამახინჯებენ სტეფანოვის მიერ სასამართლოში გაკეთებულ განცხადებებს და სცდილობენ დახატონ კომუნისტური პარტია შეთქმულთა მცირე ჯგუფად, მაშინ როდესაც სტეფანოვი ლაპარაკობდა მასების ორგანიზაციულ ბრძოლის შესახებ (ადს).

საარჩევნო „სამზადისი“ პოლონეთში

ტერორი გრძელდება

ვარშავა, 10 თებერვალი. დაპატიმრებანი ვილენშჩინაში გრძელდება. დაპატიმრებულია მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საარჩევნო ბრძოლაში. აღმოსავლეთ გალიციიდან და ვოლინიდანაც იუწყებიან ახალ დაპატიმრებათა შესახებ. ვოლინში უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულია 28 კაცი (ადს).

ბოიკოტი სეიმის არჩევნებს

ვარშავა, 10 თებერვალი. ლიტვური გაზეთი „კიელიაო“, რომელიც ვილნოში გამოდის, სწერს, რომ ვილნოს ოლქის ლიტველი მოსახლეობა ბოიკოტს გამოუცხადებს სეიმის არჩევნებს, რათა „ხაზი გაუსვას იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელშიაც ლიტველები ჩავარდენ ვილენშჩინაში ჟელიგოვსკის მიერ მოხდენილ გადატრიალების შემდეგ“.

მკვდარ წერტილზე

ვარშავა, 10 თებერვალი. ვილნოდან მიღებულ ცნობებით, სასამართლოს გამოძიება მუშურ-გლეხურ მთლიანობის საარჩევნო ბლოკის რწმუნებულ შეიერის მკვლელობის საქმეზე გაიყინა მკვდარ წერტილზე. გამოძიებამ ვერავითარი ახალი ცნობები ვერ გამოარკვია (ადს).

გადასახადი სიმაღლის მიხედვით

მღელვარება კუნძულ სამოაზე. — ვილბურის განცხადება: „ყველაფერი რიგზეა“.

ნიუ - იორკი, 10 თებერვალი. სამოაზე (კუნძული წყნარ ოკეანეში, ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვაო ბაზა, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების გამგებლობაში) სამოქალაქო მართვა გამგეობის შემოღების პროექტთან დაკავშირებით ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვაო მინისტრმა ვილბურმა მიმართა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესს. წერილით, რომელშიაც გადაჭრით ილაშქრებს სამოაზე არსებულ რეჟიმის შეცვლის წინააღმდეგ. ვილბური აგრეთვე ილაშქრებს კომისიის გაგზავნის წინააღმდეგ სამოას მდგომარეობის შესასწავლად და ამტკიცებს, რომ კუნძულზე „ყველაფერი თავის რიგზეა“. ვილბურის განცხადებას ეწინააღმდეგება სამოადან ამას წინად მიღებულ ცნობები ადგილობრივ მცხოვრებთა მღელვარების შესახებ. მღელვარება გამოიწვია იმან, რომ სამოას ხელისუფლებამ შემოიღო გადასახადი სამი დოლარის რაოდენობით თვითეულ მცხოვრებზე, რომლის „სიმაღლე სჭარბობს ხუთ ფუტს“. (ადს).

ისხან-ბეის საქმე

ანგორა, 10 თებერვალი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ უზენაეს სასამართლოს პირველ სხდომაზე, რომელიც განიხილავს ისხან-ბეის და სხ. საქმეს, ბრალდებულთა პიროვნების გამორკვევის შემდეგ გენერალურმა პროკურორმა წაიკითხა საპარლამენტო საგამოძიებლო კომისიის მოხსენება და წინასწარი გამოძიების ცნობები. ისხან-ბეის წარდგენილი აქვს ბრალდება სამსახურის მოვალეობის დარღვევაში, ბოროტმოქმედებაში კრეისერ „იავუზის“ რემონტის დროს და სხ. ამ საქმეზე დაპატიმრებულ ნიაზი-ბეის, ნურედინ-ბეის და ხაკი-ბეის ბრალად ედებათ მონაწილეობა ამ ბოროტმოქმედებაში.

დანარჩენი 9 ბრალდებულს, რომელნიც დაპატიმრებული არ არიან, ბრალად ედებათ ბოროტმოქმედება სამსახურის შესრულების დროს.

იმის გამო, რომ ფორმალობანი, რომლებიც დაკავშირებულია ფისკეტ-ბეისათვის დეპუტატის ხელშეუხებლობის ჩამორთმევასთან, არ არის შესრულებული, იგი არ იმყოფება ბრალდებულთა შორის (ადს).

უკანასკნელი ცნობები

განაჩენი ამხ. სტეფანოვის საქმეზე

ვენა, 11 თებერვალი. გუშინ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სტეფანოვისა და სხვათა საქმის შესახებ. სტეფანოვს მიესაჯა 8 წლის საკატორღო მუშაობა, ზახარესკუს—7 წლის საკატორღო მუშაობა, ლუკა ილლეშს და გრუდეკა გაამართლეს. ლიზა დიუსერს მის დაუსწრებლად მიუსაჯეს 10 წლის საკატორღო მუშაობა. (ადს).

წითელ ფრონტელებმა გამორიცხეს გამთიშველები

ბერლინი, 11 თებერვალი. ზღვის ნაპირის ოლქის ფრონტელების წითელი კავშირის საოლქო კონფერენციამ ხმის უმრავლესობით თერის წინააღმდეგ გადასწყვიტა კავშირიდან გამორიცხოს რუტ ფიშერ-მასლოვისა და ურბანსის ჯგუფის ყველა მომხრეები, „როგორც საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგენი და პროლეტარული რევოლიუციის მტრები“. (ადს).

კოციოს მკვლელის საქმე

ოდესა, 11 თებერვალი. სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე კოციოს მოკვლის საქმის გამო დაკითხულ იქნა მოწმეები, რომლებმაც კოციო დაახასიათეს როგორც წყნარი ადამიანი და საბჭოთა წყობილებისადმი კეთილად განწყობილი. პროკურორის შეკითხვაზე—შეეძლო თუ არა კოციოს გამვლელისათვის უმიზეზოთ შეურაცყოფის მიყენება და რევოლვერით დამუქრება, მოწმეები ამტკიცებენ, რომ კოციოს შეეძლო მხოლოდ საეჭვო პირის გაჩერება. (ადს).

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია გაემგზავრა

მოსკოვი, 11 თებერვალი. 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის, ნორვეგიისა და ფინეთის პროფკავშირების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებათ კოპენჰაგენში გაემგზავრა საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია. კონფერენცია განიხილავს საერთაშორისო მთლიანობისა, ომის საფრთხესთან ბრძოლის და ურთიერთშორის თანამშრომლობისა და მეგობრობის ხელშეკრულებების დადების საკითხებს. (ადს).

ჩინეთის კომპარტიის კონფერენცია

პეკინი, 11 თებერვალი. ტოხოს სააგენტო იუწყება, თითქოს იანვრის უკანასკნელ რიცხვებში შანხაიში მოწყობილი იყო ჩინეთის კომპარტიის კონფერენცია 52 დელეგატის მონაწილეობით. (ადს).

ამბოხება ფინ-იუ-სიანის ჯარებში

პეკინი, 11 თებერვალი. ფინ-იუ-სიანის ოთხმა გენერალმა მოაწყო მის წინააღმდეგ ამბოხება. ფინ-იუ-სიანმა დეპეშით მიმართა ნანკინის მთავრობას დახმარების შესახებ. კავშირი ჩენ-ჩჟუსა, ლაოიანსა და ხანკოუს შორის შეწყვეტილია. ერთ-ერთმა აჯანყებულმა გენერალმა დაიწყო შეტევა გუნსიანის (ლუხანის რკინის გზაზეა) წინააღმდეგ, სადაც ფინ-იუ-სიანის ერთად-ერთი არსენალია. (ადს).

რადზინში გადადგა

რიგა, 11 თებერვალი. გაზეთების ცნობით, არმიის სარდალი გენერალი რადზინში, რომელიც ამას წინად წავიდა ხანგრძლივ შვებულებაში ოფიცერ იკშეს საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ცელენსის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობას ამზადებდა, „იმდენად სერიოზულადაა ავად, რომ გადასწყვიტა დასტოვოს არმიის სარდლის თანამდებობა“. (ადს).

ახალი საბინაო კანონი გერმანიაში

ბერლინი, 10 თებერვალი. რეიხსტაგის გუშინდელ სხდომაზე მიღებული საბინაო კანონი არსებითად მდგომარეობს იმაში, რომ სახლის პატრონებს კვლავ ენიჭებათ უფლება უარი უთხრან მობინადრეებს ბინაზე, ამასთანავე ყველა შეზღუდვანი, რაც სახლის პატრონებისათვის არსებობდა წინად ამ მხრივ, თანახმად ახალი კანონისა უქმდება. ახალი კანონი ყველაზე უფრო საზიანოა მშრომელთათვის. (ადს).

აფეთქება

სტალინო, 11 თებერვალი. რუტჩენკოვის მაღაროებში, № 17 მაღაროს კანტორის შენობაში, სადაც მუშაობას აწარმოებს გერმანიის ფირმა ტისსენი, დინამიტის ჩადების დროს, გამოურკვეველი მიზეზების გამო მოხდა აფეთქება.

ხარკოვი, 11 თებერვალი. უკრაინის შრომის სახალხო კომისარმა გულიმ, უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში რუტჩენკოვის მაღაროში მომხდარ აფეთქების შესახებ შემდეგი განაცხადა:

წინასწარი გამოძიებით ცხადათ მტკიცდება, რომ აფეთქება გამოწვეულია გერმანელთა ადმინისტრაციის მიერ ასაფეთქებელ მასალისადმი გაუფრთხილებელი და დაუდევარი მოპყრობით. აფეთქება მოხდა შემდეგ პირობებში: დილით, იმ დღეს, როცა აფეთქება მოხდა, შტეიგერმა—გერმანელმა მიიღო მასალები (შრომის სახ. კომისარიატის წესების მიხედვით შტეიგერს არ ჰქონდა უფლება შეხულიყო იმ შენობაში, სადაც ასაფეთქებელი მასალა ინახება), გამართა დინამიტის საწყობისაკენ და წამოიღო იქიდან 3 ყუთი დინამიტი, წონით 4 ნახ. ფუთი. დინამიტი აღმოჩნდა გაყინული და ამიტომ შტეიგერმა ერთი ყუთი წაიღო კანტორაში გასათბობად, ორი ყუთი კი შეიტანა აბაზანის ოთახში, კანტორის გვერდით. როცა შტეიგერი ყუთს ხსნიდა სახურავს, ოთახში შემოვიდა გამგე, რომელმაც დაინახა, რომ შტეიგერი ყუთს სახურავს ხსნიდა რკინის ჩაქუჩით. „რას ჩადიხართ, ასე გახსნა არ შეიძლება“, შესძახა გამგემ. შტეიგერმა შეაგინა გამგეს და განაგრძო თავისი საქმე. ათი წუთი გავიდა ამ ლაპარაკის შემდეგ, რომ მოხდა აფეთქება. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ სავსებით დაინგრა კანტორა, აბანო და ტანსაცმლის გასახდელი ოთახი, რომლებიც ერთ შენობაში იყო მოთავსებული. აფეთქებით მოკლულია რვა რუსი მუშა, მთავარი ინჟინერი სივორსი, აგრეთვე შტეიგერი და ერთი გერმანელი მუშა. დაიჭრა შვიდი რუსი მუშა და გერმანელი მუშა. (ადს).

საბჭოთა ნავთის გატანა ესპანეთში

მოსკოვი, 11 თებერვალი. 1927 წ. ნოემბერში კომპანია „არენდატორია“-მ, რომელსაც იჯარითა აქვს აღებული ნავთის სახელმწიფო მონოპოლია ესპანეთში საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატთან დასდო ხელშეკრულება, რომლითაც იკისრა ვალდებულება ესპანეთის ნავთის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ნაწილი დაფაროს საბჭოთა ნავთის პროდუქტებით. როცა დაიწყო ნავთის მიწოდება, ესპანეთის ბანკმა „არნუს“-მა ნავთის სინდიკატს წარუდგინა სარჩელი იმის გამო, რომ თითქოს სინდიკატს დაერღვიოს ხელშეკრულება ბანკთან. სარჩელის უზრუნველსაყოფად ბანკმა მოახერხა ყადაღის დადება ალჟირის სასამართლოს მიერ ნავთის პროდუქტებით დატვირთულ სამ გემზე, რომელთაც ნავთი მიჰქონდათ კომპანია „არენდატორია“-სათვის; ყადაღა დადებულ იქნა აგრეთვე ნავთის სინდიკატის კონოსამენტებზეც. მაგრამ, ორივე შემთხვევაში, სარჩელის ხასიათის გაცნობის შემდეგ, სასამართლომ ყადაღა მოხსნა. ნავთის სინდიკატის მიერ მიღებული ზომებით ამ გარემოებამ არ შეუფერხებია ნავთის მიწოდება ესპანეთისათვის. დღემდე ესპანეთის მონოპოლიას ნავთის სინდიკატმა ჩააბარა 50.000 ტონა ნავთის პროდუქტები. (ადს).

პროფინტერნის კონგრესისათვის

ურუგვაის პროფკავშირთა დელეგატი

ნიუ - იორკი, 10 თებერვალი. „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, ურუგვაის პროფკავშირთა გაერთიანებამ („უნიონ სინდიკალ ურუგვაი“-მ) გადასწყვიტა თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს პროფინტერნის მომავალ კონგრესზე. „უნიონ სინდიკალ“-ში არის ორი მიმდინარეობა — კომუნისტური და ანარქო - სინდიკალისტური. უკანასკნელი პროფინტერნის გაერთიანებაში შესვლის წინააღმდეგია. დელეგატის გაგზავნა პროფინტერნის კონგრესზე ალბად გადაწყდა იმის გამო, რომ ლათინურ ამერიკის დელეგატი, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო ოქტომბრის დღესასწაულის დროს, აღფრთოვანებით ახასიათებდა საბჭოთა მთავრობის მიღწევებს. (ადს).

პოლონეთის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

ხარკოვი, 11 თებერვალი. პოლონეთის მუშათა პირველმა დელეგაციამ, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ ინახულა საბჭოთა კავშირი და, კერძოთ, უკრაინა, უკრაინის მშრომელთ მიმართა დეკლარაციით, რომელშიაც, სხვათაშორის, ნათქვამია:

სიმართლემ იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს და აშენებს თავის მომავალს საბჭოთა რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის მუშა და გლეხი, მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი იმ სიცრუის და ჭოოების გაბათილებას, რომლის საშუალებით რევოლიუციის მტრები ცდილობენ ჩამოაშორონ პოლონეთის ხალხის მასები საბჭოთა კავშირს.

ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ უკრაინის მუშური ცენტრები—ხარკოვი, კიევი და სხვ. ჩვენ ვნახეთ გეგმიანი სოციალისტური აღმშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელ მასების ორგანო, რომელიც უზრუნველჰყოფს რევოლიუციის მონაპოვართ, აწყობს მშრომელ მასების სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას და ქმნის ისეთ პირობებს, რომ შესაძლო იქნეს შემდგომი სოციალისტური აღმშენებლობა. წითელი არმია არის ხალხის უფლების და რევოლიუციის მონაპოვართა დამცველი.

დაბოლოს, საბჭოთა უკრაინაში ჩვენი მოგზაურობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ ჩვენ დეტალურად გავეცანით ნაციონალური საკითხის გადაჭრის საქმეს. იმ დროს, როცა დასავლეთ უკრაინაში და პოლონეთში მშრომელი მასები ექსპლოატაციის უღელ ქვეშ გმინავენ, —საბჭოთა კავშირში, კერძოთ, უკრაინაში, ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლიუციის წყალობით, მშრომელი მასები საკუთარი ხელით ქმნიან თავის მომავალს, აგებენ სოციალიზმის დიად შენობას.

ჩვენ მოვიხმართ ყოველივე ძალ-ღონეს, რათა თქვენი უდიდესი გამოცდილება, რომელიც მიიღეთ მრავალ წლების გმირულ ბრძოლაში, გამოიყენოს პოლონეთის პროლეტარიატმაც“. (ადს).

შეუღლებართა პოლიტიკის შედეგი

ინგლისის ექსპორტის შემცირება

ლონდონი, 10 თებერვალი. „რუსეთთან ვაჭრობის ბანკის“ (ყოფილი „არკოს ბანკი“), ცნობით 1927 წლის უკანასკნელ კვარტალში ინგლისიდან საბჭოთა კავშირში გაზიდულ საქონლის ღირებულება შეადგენდა 1.782.729 გირვანქა სტერლინგს, 1926 წლის იმავე კვარტალში კი — 3.963.243 გირვ. სტერლინგს. (ადს).

ჟურნალისტი ცზიანი

გადაასახლეს ამერიკიდან

ნიუ - იორკი, 10 თებერვალი. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობამ განკარგულება გასცა ამერიკიდან იქნას გადასახლებული ჩინელი ჟურნალისტი ცზიანი, რომელსაც ბრალდება რევოლიუციონური მუშაობა. ცზიანი ამერიკაში სცემდა გაზეთს, რომელშიაც გომინდანის მემარცხენე ფრთის შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდა.

მემაღაროეთა გაფიცვა კოლორადოში

ფრანკ პალმერის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. სამხედრო ხელისუფლებამ კვლავ დააპატიმრა კოლორადოს გაფიცულ მემაღაროეთა ერთ-ერთი ბელადი (ამერიკის პირველი მუშათა დელეგაციის წევრი საბჭოთა კავშირში). ფრანკ პალმერი და მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა ორგანიზაციის წევრი ვოლტერ ნესბიტი. დაპატიმრების საბაბი შეიქნა ორი მუშის მოკვლა პოლიციის მიერ უოლსენბურგში. კოლორადოს გუბერნატორმა ადამსმა პალმერს დააკისრა პასუხისმგებლობა ამ მკვლელობისათვის, რომელიც ვითომც პალმერმა გამოიწვია. მაგრამ სასამართლომ გამოარკვია პოლიციის დანაშაული და ხაზი გაუსვა, რომ მკვლელობისათვის არ არსებობდა არავითარი საბაბი (ადს).

ხალხი გალიაში



ასეთ რკინის გალიაში ჰყავს მოთავსებული „თავისუფალ“ და „დემოკრატიული“ შეერთებული შტატების მთავრობას კოლორადოს მემაღაროეთა გაფიცვის მეთაურები.

„გერმანიის მემარცხენე კომუნისტების ცენტრის" განცხადება

ბერლინი, 10 თებერვალი. მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფის ყოველკვირეულ ორგანო „დი ფანე დეს კომუნიზმუს"-ში და ამ ჯგუფის ყოველდღიურ ორგანო „ფოლქსვილე"-ში დაბეჭდილია „გერმანიის მემარცხენე კომუნისტთა ცენტრის" შემდეგი განცხადება:

„საკავშირო კომპარტიიდან (ბ) ოპოზიციონური მოქმედებისათვის გამორიცხული ზინოვიევისა და კამენევის წერილი, რომელიც მთლიანად დაბეჭდა „პრავდა"-ში და ნაწილობრივ გამოაქვეყნა გერმანიის კომპარტიის პრესამ, საბაბს გვაძლევს განვაცხადოთ შემდეგი:

1) ზემოხსენებულ წერილზე ხელის მომწერი პირნი უარჰყოფენ თავისი პლატფორმის არა მარტო ცალკე პუნქტებს, არამედ მთელ თავის შეხედულებებს და კერძოთ ყველა იმ დოკუმენტებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უმთავრეს საკითხებში, რომლებიც თვითონ მათ შეადგინეს.

2) ზემოხსენებულ წერილზე ხელისმომწერნი აშკარად უარჰყოფენ თავის შეხედულებებს. ცდა იმისა, რომ პლატფორმა წარმოდგენილ იქნას როგორც ისეთი დოკუმენტი, რომელიც წარმოიშვა ფრაქციული ბრძოლის გამწვავების პირობებში, უვარგისია, და როგორც სტალინისტებს, ისე ოპოზიციონერებს შეუძლიათ ამის გამო მხოლოდ გაკვირვება გამოსთქვან. რუს ოპოზიციონერთა პლატფორმაში მოცემულია დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობები, რომელნიც შეგროვილ იქნა ხანგრძლივი მუშაობით. ცდა იმისა, რომ ეს მუშაობა წარმოდგენილ იქნას როგორც ფრაქციული ბრძოლის გამწვავების პირობებში წარმოშობილი გაზვიადება, არის უვარგისი ცდა, რომლითაც სურთ დაფარონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებათა უარყოფა.

3) ასევე უვარგისია ზემოხსენებული წერილის ცდა, რომ სტალინის ეხლანდელი შინაური პოლიტიკური კურსი წარმოდგენილ იქნას როგორც „მემარცხენე" კურსი. ცაკის სესიის ფრაქციულ სხდომაზე შარშან ოქტომბერში ზინოვიევმა სავსებით სისწორით გამოააშკარავა 7 საათის სამუშაო დღის შესახებ გამოცემული დეკრეტის მოჩვენებითი მემარცხენეობის დემაგოგია. სურვილი იმისა, რომ უკანა რიცხვით იქნას აღმოჩენილი მემარცხენეობა სტალინის ზომებში, რომელნიც არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს კურსის არავითარ რადიკალურ შეცვლას, არა მარტო დაუშვებელია, არამედ არის ცდა დაახლოებისა სტალინის ჯგუფთან, რომელიც ალბად იძულებულია უპრინციპო ფრაქციული ბრძოლა აწარმოოს აპარატისათვის რიკოვის მოწინააღმდეგე ჯგუფის მიმართ.

4) ჩვენ გადაჭრით უარვჰყოფთ ძველ ნაცად ხერხს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გერმანელი კომუნისტების მემარცხენე ფრთის მიმართ სურთ გაატარონ განსხვავება (როგორც ამას რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობს ტელმანის ცეკა) „პატიოსან, მაგრამ მოტყუებულ" მუშებსა და „მატყუარათა" შორის. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ წარსული წლის აგვისტოში იმ ჯგუფის გამოჩენილი წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ზემოხსენებულ წერილზე ხელის მომწერნი, იცავდა [illegible] „მემარცხენე" პოზიციას, და სხვათა შორის გვირჩევდა გათიშვა მოგვეხდინა ზულის ორგანიზაციაში, რასაც ჩვენ უარვყავით; იგი გვირჩევდა აგრეთვე საკუთარი საარჩევნო სიით გამოსვლას ჰამბურგის არჩევნების დროს, რაიც ამავე დროს ნიშნავდა მეორე პარტიის შექმნის შესაძლებლობას. ამგვარად სრულიად უვარგისია უკანა რიცხვით ლაპარაკი იმაზე, რაც უკვე აგვისტოში იქნა აღიარებული ჩვენი თვალსაზრისის „სიყალბეთ". რუს ოპოზიციონერების პლატფორმა, რომელსაც იწონებდენ ზემოხსენებულ წერილზე ხელის მომწერნი,—როცა ბრძოლა გამწვავებული არ იყო,—ჩვენს ჯგუფს უწოდებდა ლენინელ ბოლშევიკთა ჯგუფს გერმანიაში. ამ პლატფორმას დეკემბერში ყრილობაზე იცავდენ ზემოხსენებულ წერილზე ხელისმომწერნი. ამგვარად ეხლანდელი უახლოესი აღმოჩენები არ შეიძლება მიეწეროს ფრაქციული ბრძოლის გამწვავებას".

შეტაკება გაფიცულებთან

პრაღა, 10 თებერვალი. ფრივალდენში (მორავიის სილეზია) სამი კვირაა გაფიცულია სელის ფაბრიკის ათასი მუშა. 4 თებერვალს გაიმართა გაფიცულთა დემონსტრაცია, რომელიც დამთავრდა ჟანდარმებთან შეტაკებით. ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს მუშებს. ბევრი მუშა და მუშა ქალი დაჭრილია.

სხვადასხვა

ხან-გოტარდის ინციდენტი

პარიზი, 10 თებერვალი. ერთა ლიგის საბჭოს სესიის დღის წესრიგში სხვათა შორის შეტანილია საკითხი ხან-გოტარდის ინციდენტის შესახებ. სესია უნდა გაიხსნას 5 მარტს.

გრიგალი ნორვეგიაში

ოსლო, 10 თებერვალი. მიღებულ ცნობების თანახმად, უკანასკნელი გრიგალის დროს ნორვეგიაში დაიღუპა 30 კაცი (ადს).

მიწისძვრა

ბერლინი, 10 თებერვალი. გუშინ პორტუგალიაში ადგილი ქონდა მიწისძვრას, რამაც მოსახლეობაში დიდი პანიკა გამოიწვია. იმ რაიონებში, სადაც მიწისძვრა მოხდა, მცხოვრებლები გაიქცენ მინდვრებში. ზარალი არაა.

ქარიშხალი შვეციაში

პარიზი, 10 თებერვალი. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ შვეციაზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. დაზიანებულია ტელეგრაფი (ადს).

გრიგალი სამხრეთ კალიფორნიაში

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. სამხრეთ კალიფორნიაზე გადაიარა ძლიერმა გრიგალმა, რომელმაც დაანგრია გოუნტლოუს ობსერვატორია (ლოს-ანჯელოს მახლობლად) და ბევრი შენობები. გრიგალმა დააზიანა ხუთი ჰაეროპლანი და ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები (ადს).

უცხოეთში

მაკდონალდის გეგმა

ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელ წრეებში მაკდონალდის მონაწილეობით მუშავდება ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის ახალი პროექტი.

პროექტი მთლიანად ჯერ არ განუხილავთ საჯარო კრებებზე და მის შინაარსს საიდუმლოთ ინახავენ. გაზ. „ვესტმინსტერ გაზეტტ"-ის ცნობით, გეგმა გულისხმობს ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციას „სახელმწიფო კაპიტალიზმის" საფუძველზე და საერთოდ შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფო საკუთრებათ იძენს ყველა ნახშირის მაღაროებს. ამ მიზნისათვის საჭირო კაპიტალი — 26 მილიონი გირ. სტერლინგი — შეგროვილი იქნება ბონების — აქციების გამოშვებით.

პროცენტები ამ ბონებზე წლიურათ შეადგენს 16 მილიონ სტერლინგს. მაგრამ პირველი სამი წლის განმავლობაში ეს პროცენტები არ იქნება გაცემული, არამედ მოხმარდება მაღაროების მოწყობას. ამავე პერიოდის განმავლობაში, მოგებიდან გამოყოფილი იქნება 7 მილიონიანი ფონდი 7 საათის სამუშაო დღის აღსადგენად.

გაერთიანებული ნახშირის მრეწველობის მმართველობა გეგმით გადაეცემა სპეციალურ კომიტეტს („მაინინგ კორპორეიშენ"), რომელსაც ნიშნავს მთავრობა 13 კაცის შემადგენლობით: 10 „საქმიანი" წევრი, ერთ ყოფილ მეპატრონეთა წარმომადგენელი და ორი მემაღაროეთა პროფკავშირის წარმომადგენელი. კომიტეტის თითეული წევრს წლიურათ ჯამაგირათ დაენიშნება 100.000 მანეთი. კომიტეტი ყოველ წლიურათ ანგარიშს აბარებს ბონების (აქციების) მფლობელთა საზოგადო კრებას, რომელიც პარლამენტის შენობაში უნდა შეიკრიბოს.

კომიტეტის ანგარიში ამ კრებაზე გარჩეულ უნდა იქნეს საპარლამენტო კამათის წესით. ამოღებულ ნახშირის განაწილებას კონტროლს უწევს მომხმარებელთა კომიტეტი.

„ვესტმინსტერ გაზეტტ", ეხება რა პროექტს აღნიშნავს, რომ იგი ბევრათ წააგავს ლიბერალური პარტიის მიერ შემუშავებულ გეგმას.

საბჭოთა კავშირში

წითელი არმიის 10 წლის თავისათვის

მოსკოვი, 11 თებერვალი. წითელი ჯვრის ცეკამ გადასწყვიტა წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავად ყირიმის სანატორიუმებში დაარსოს 5 სტიპენდია სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის.

მოსკოვი, 11 თებერვალი. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით წითელი არმიის 10 წლის თავის დღე (23 თებერვალი) სამუშაო დღეა სამოქალაქო დაწესებულებებისათვის (ადს).

შვიდი საათის სამუშაო დღე

მოსკოვი, 11 თებერვალი. საკავშირო პროფსაბჭოს კომისია, რომელსაც ევალება შვიდი საათის სამუშაო დღის გატარება, აცხადებს, რომ დებულება შვებულებისა, ზედმეტ საათებში მუშაობისა და აგრეთვე შრომის შესახებ ძალაში რჩება შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების შემდეგაც. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა განხორციელდება აგრეთვე განუწყვეტლივ მომუშავე წარმოებებშიაც. (ადს).

მოსკოვი, 11 თებერვალი. ვემო-კვების კავშირის ცეკა აცხადებს, რომ შემოკლებული სამუშაო დღე ცდის სახით გატარდება მოსკოვში ახლად გახსნილ პურის ქარხნებში, დნეპროპეტროვსკში—ახლად მოწყობილ წისქვილში და როსტოვში—წისქვილში და პურის ქარხანაში. 7 საათის სამუშაო დღე ცდის სახით განზრახულია განხორციელდეს 6 წარმოებაში. (ადს).

ქარიშხალი ფინეთის ყურეში

ლენინგრადი, 11 თებერვალი. 9 თებერვალს ფინეთის ყურეში ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი. საღამოს 6 საათიდან მდ. ნევა ადიდდა. 10 თებერვლის დილის 5 საათზე წყლის დონემ მიაღწია 170 სანტიმეტრამდე ნორმალურს ზევით. ამის შემდეგ წყლის დონემ იკლო. ზოგიერთ ადგილას წყალმა გადალახა ნაპირები. ნავთსადგურში ძლიერმა ქარმა დაამტვრია ფანჯრები, სახლებს აგლიჯა სახურავი. გატჩინაში, პეტერგოფში და სხვა ადგილებში ქარიშხალმა დაამტვრია ხეები. ოქტომბრის რკინის გზის მთავარ ხაზზე ბევრ ადგილას წაქცეულია ტელეგრაფის ბოძები და დაწყვეტილია მავთულები (ადს).

იაროშჩუკიადა.

არტემოვსკი, 11 თებერვალი. გაიმართა იუსტიციის მუშაკების საოლქო თათბირი სამოსამართლო-საგამომძიებლო აპარატის მდგომარეობის შესახებ ოლქში; შენიშნულია არანორმალური მხარეები აპარატის მუშაობაში მანამდე, ვიდრე სამართალში მისცემდნენ იაროშჩუკს, ფომენკოს და სხვებს. იყო ისეთი შემთხვევები, როცა სამოსამართლო-საგამომძიებლო აპარატის საქმეებში ერეოდნენ ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები. მოსამართლეებს ხშირად იწვევდნენ პასუხისმგებელი მუშაკების კაბინეტებში, სადაც მათ უკარნახებდნენ ისეთ განაჩენებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა რევოლიუციონურ კანონიერებას. (ადს).

ფრუნზეს ძეგლი

ჩერნიგოვი, 11 თებერვალი. სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ფრუნზეს ძეგლის ასაგებად, რომელიც გაიხსნება 23 თებერვალს. (ადს).

ბიუროკრატი მოხსნეს

ხარკოვი, 11 თებერვალი. ხარკოვის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა ორთქლმავალთა ასაგები ქარხნის დირექტორის სტრუკოვის მოქმედება და დაადგინა მოიხსნას იგი სამუშაოდან პროტექციონიზმისა და კერძო კაპიტალის პატრონთან კავშირისათვის; აღეკრძალოს მას აგრეთვე ერთ წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობის დაჭერა. გარდა ამისა, სტრუკოვს გამოეცხადოს მკაცრი შენიშვნა და გაფრთხილება. სტრუკოვის საქმესთან დაკავშირებით, საოლქო საკონტროლო კომისიის დადგენილებით სამუშაოდან მოხსნილია აგრეთვე მისი მოადგილე ლუცენკო, რომელსაც ბრალად ის ედება, რომ პარტიულ ორგანოებს უმალავდა ქარხანაში არსებულ არანორმალურ მდგომარეობას. (ადს).

5.000 მანეთის მოგება

კიევი, 11 თებერვალი. 5.000 მან. მოგება ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციით შეხვდა წყლის ტრანსპორტზე მომუშავეს—შერბაკოვს. (ადს).

კოციოს მკვლელობის საქმე

ოდესა, 11 თებერვალი. საოლქო სასამართლოში დაიწყო პროცესი იტალიის ვიცე-კონსულ კოციოს მკვლელობის საქმეზე. საბრალდებლო სკამზე ზის კოციოს მკვლელი დობროვოლსკი და მოპარული ნივთების მყიდველი გუკოვიჩი.

საბრალმდებლო აქტის წაკითხვის შემდეგ დაჰკითხეს დობროვოლსკი, რომელმაც დაწვრილებით უამბო კოციოს მოკვლის პირობები. დობროვოლსკი აცხადებს, რომ მას დამხმარენი არ ყოლია ამ საქმეში. გუკოვიჩი აღიარებს, რომ მან იკისრა კოციოს ქურქის გაყიდვა. (ადს).

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი 1927—28 წ.

მოსკოვი, 11 თებერვალი. საბჭოთა კავშირის 1927—28 წ. ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია ფინსახკომის მიერ და რომელსაც ეხლა იხილავს საკავშირო მთავრობა, იძლევა ნათელ წარმოდგენას ჩვენი ქვეყნის კულტურული ზრდის შესახებ.

მიმდინარე წლისათვის შედგენილ რესპუბლიკანურ ბიუჯეტების უმთავრეს თავისებურობას წარმოადგენს კულტურულად უფრო ჩამორჩენილ რესპუბლიკების ბიუჯეტების მნიშვნელოვანი ზრდა კულტურულად განვითარებულ რესპუბლიკებთან შედარებით. მაგალითად უზბეკისტანის რესპუბლიკის ბიუჯეტი მიმდინარე წელს წარსულ წელთან შედარებით იზრდება 12,6 პროცენტით, თურქმენისტანის რესპუბლიკის ბიუჯეტი კი იზრდება 18 პროცენტით. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტი მიმდინარე წელს გაიზარდა 11 პროცენტით, ბელორუსიის ბიუჯეტი — თითქმის 9 პროცენტით, ამიერ-კავკასიის ს. ფ. რესპუბლიკის — 11,3 პროცენტით და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის — 12 პროცენტით. რესპუბლიკანურ ბიუჯეტების მეორე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სოციალურ-კულტურულ სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვების მნიშვნელოვანი ზრდა; განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალურ-კულტურულ ხარჯების ზრდა უფრო ჩამორჩენილ რესპუბლიკებში. ზოგიერთ ცნობილ საბჭოთა ფინანსისტების გამოანგარიშებით, საბჭოთა კავშირის საგანმანათლებლო ხარჯების მთელი მასა 1927—28 წელში შეადგენს 833 მილიონ მანეთს და გადააჭარბებს წარსული წლის ხარჯებს 20 პროცენტით, ერთიან ბიუჯეტის ზრდა კი შეადგენს 14 პროცენტს. მიმდინარე წელს განათლების საქმეზე საშუალოდ დაიხარჯება მოსახლეობის სულზე 5 მან და 51 კაპ., თუ მხედველობაში მივიღებთ არა მარტო საბიუჯეტო ასიგნობებს, არამედ აგრეთვე პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხარჯებსაც. მეფის რუსეთი 1913 წელში განათლებაზე ხარჯავდა, საშუალოდ მოსახლეობის სულზე 2 მან. 13 კაპ. (ადს).

საკავშირო თათბირი შრომის დაცვის შესახებ

მოსკოვი, 11 თებერვალი. საკავშირო თათბირზე შრომის დაცვის შესახებ ამხ. ტომსკიმ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა საკავშირო პროფსაბჭოს სახელით.

ამხ. ტომსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა სამი მიზეზი, რომელნიც იწვევენ ტრავმატიზმს. პირველი მიზეზია—„იქნებ". მანქანამ „იქნებ" გაუძლოს ზედმეტ დატვირთვასო, ამბობენ და ამუშავებენ მოძველებულ მანქანას. ტრავმატიზმის მეორე მიზეზია—შრომის ორგანოების და პროფკავშირების მანილოვშჩინა შრომის დაცვის დარგში. შრომის დაცვა მათ ესმით და ატარებენ დროისა და სივრცის გარეშე. მაგალითად, შრომის დაცვა მოითხოვს, რომ წარმოებაში აუცილებლად დაიდგას ვენტილიაცია იმიტომ, რომ ამას მოითხოვს წესები, ხოლო შენობაში, სადაც ვენტილიატორს დგამენ, ჩამტვრეულია ყველა ფანჯრები და ჰაერი ისედაც საკმაოდ სუფთაა. ან, მაგალითად, ჩვენი კანონის მიხედვით, 6 საათის სამუშაო დღეა შემოღებული მაღაროებში მომუშავეთა და აგრეთვე გონებრივი შრომის მუშაკთათვის. განა შეიძლება დაუპირდაპიროთ ენერგიის დახარჯვის სიმძიმე და რაოდენობა პირველ და მეორე შემთხვევაში? ამას ვამბობთ არა იმისათვის, რომ მოვითხოვოთ სამუშაო დღის გადიდება ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთათვის. ამას ვამბობთ იმისათვის, რომ დავამტკიცოთ, თუ როგორ განყენებულად ესმით შრომის დაცვის ამოცანა. რატომ არის მაგალითად, რომ ყოველი ქალისათვის, არა მარტო ორსულისათვის, ღამის შრომა ცნობილია უფრო საზიანოდ, ვიდრე მამაკაცისათვის? ამაზე ვერსად ვერ ნახავთ დასაბუთებულ უდავო პასუხს.

ტრავმატიზმის მესამე მიზეზი არის მუშათა კლასის უკულტურობა და ჩამორჩენილობა. ტრავმატიზმის ყველა ამ მიზეზების წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ მკაცრი ბრძოლა. (ადს).

თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ

გუშინ დაიწყო სასოფლო თათბირის მორიგი პლენუმი საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან. თათბირის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია დასმული: 1) სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანები და სასოფლო თათბირის მუშაობის გეგმა; 2) ამიერ-კავკასიის მოჯამაგირეობა; 3) სასამართლო და პროკურატურა ამიერ-კავკასიის სოფელში; 4) სოფლის უჯრედების მუშაობა; 5) სამომხმარებლო კოოპერაცია ამიერ-კავკასიის სოფელში.

პირველ სხდომაზე განხილულ იქნა პირველი ორი საკითხი.

პირველი საკითხის შესახებ გამოსულმა ამხ. რუბენმა მე-15 ყრილობის დადგენილებათა და სოფლად კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის ლოზუნგის საფუძველზე ზოგადი გეზი დასახა სასოფლო თათბირის მუშაობის დარგში. ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მორიგ ამოცანას წარმოადგენს სოფლად მუშაობის განმტკიცება, ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერება სოფლის სამეურნეო მშენებლობის დარგში, მასების ხელმძღვანელობა და ჩაბმა სამეურნეო მშენებლობის საქმეში, პარტიული ორგანიზაციების დაახლოება ადგილობრივ ეკონომიურ და სამეურნეო მუშაობასთან.

უშუალოდ სოფლად მომუშავე და სოფლისათვის მომუშავე ორგანიზაციებმა პრაქტიკულად უნდა მოჰკიდონ ხელი წვრილ საგლეხო მეურნეობათა შეკავშირების საკითხს სამხანაგო გაერთიანებათა, კონტრაქტაციებისა და კოოპერაციაში შეკავშირების ნიადაგზე. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ცალკე გლეხების თაოსნობას, რომლებმაც შეიგნეს კოოპერატიული და კოლექტიური მეურნეობის უპირატესობანი და ამ მოძრაობის სათავეში უნდა ჩადგნენ. პარტიულმა ორგანიზაციებმა კოლექტიური მეურნეობისათვის გაწეულ ფინანსიური დახმარების კონტროლი უნდა დააწესონ. საჭიროა პრესის ჩაბმა ამ მუშაობაში. გაძლიერებულ იქნას სოფლის უჯრედების მუშაობა.

მეორე საკითხის შესახებ მომხსენებლად გამოვიდნენ ამხანაგები ხარაბაძე და შოგირაძე.

მოჯამაგირეთა რიცხვის მიხედვით ამიერ-კავკასიას მე-3 ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. 1927 წლის ზაფხულში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ზოგიერთ მაზრებში გამოკვლეულ იქნა მუშაობა მოჯამაგირეთა შორის

მთელ ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების მუშებს გარდა, არის დაახლოებით 100.000 მოჯამაგირე. მოჯამაგირეთა მეტ წილს არა აქვს ოჯახი და საკუთარი მეურნეობა. გამოკვლეულ 168 მოჯამაგირიდან—ოჯახი და სახლი არა აქვს 86 პროც., 6 პროც. აქვს 1 დესეტინამდე ნათესი, 1,2 პროც.—2 დეს. ნათესი და 6,2 პროც.—2 დეს. მეტი. სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირი მოჯამაგირეთა საერთო რაოდენობიდან აერთიანებს 31.000 კაცს.

საბჭოების უკანასკნელმა გადარჩევამ დაგვანახვა მოჯამაგირეთა აქტივობის ზრდა; არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა უდრის 55 პროც.; ამორჩეულთა—7,8 პროცენტამდე ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში მოჯამაგირეები შეადგენენ სოფლის საბჭოების წევრთა 2,3 პროც.; სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები—3,1 პროც. საჭიროა მუშაობის გაძლიერება მოჯამაგირეთა დასაწინაურებლად საბჭოებში. პარტბირთვი მოჯამაგირეთა შორის უმნიშვნელოა—ის შეადგენს სულ 1,2 პროც. მოჯამაგირეთა პარტიაში მიღების გასაძლიერებლად საჭიროა იმ პარტიული ინსტანციების შემოკლება, რომლებიც მათ პარტიაში მიღებას ამტკიცებენ. კომკავშირის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობა კი—სუსტი. მოზარდებისა და ქალების სამუშაო ხელფასი მამაკაცების ხელფასთან შედარებით გაცილებით უფრო მცირეა, ამ დროს, როცა მოზარდებისა და ქალების სამუშაო დღე უფრო დიდია. კულტურული მუშაობა მოჯამაგირეთა შორის სუსტია, თუმცა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ადგილი აქვს მიღწევებს. საჭიროა მოჯამაგირეთა უზრუნველყოფა ლიტერატურით მშობლიურ ენაზე და აგრეთვე საკითხის დასმა მოჯამაგირეთა გაზეთის დაარსებისა და რესპუბლიკების საგლეხო გაზეთში მოჯამაგირეთა განყოფილების გაძლიერების შესახებ.

მეორე საკითხის გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ალეკპეროვმა, არუთინოვმა, ლიხოვსკიმ, პანშემ, ზურაბიანმა, ესაიანმა, ათახანმა, ცაგარელმა და ლადაგიამ.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

განათლების კომისარიატის მოწოდება

საგლეხო სესხის გავრცელების შესახებ განათლების კომისარიატმა სამაზრო განათლების განყოფილებებს და განათლების სხვა ორგანიზაციებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

სახალხო მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებასა და განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხურ მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

სწორედ ამ მიზნითაა გამოშვებული საგლეხო სესხი, რომლის მოსახლეობაში ფართოთ გავრცელება და თავის დროზე რეალიზაცია ხელს შეუწყობს სასოფლო-მეურნეობის განვითარებას და დააჩქარებს მის მექანიზაციას და ამავე დროს საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ სოფლად კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, გავხსნათ სასოფლო-სამეურნეო ახალი სკოლები, კლუბები, თეატრები და სხ.

გარდა ამისა საგლეხო სესხის თავის დროზე გაყიდვა, საბჭოთა ხელისუფლებას საშუალებას მისცემს უფრო ინტენსიურად აწარმოოს სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების საქმე.

საგლეხო სესხი, აგრეთვე მიზნათ ისახავს სოფლად საწარმოო ძალთა ზრდას და კოლექტიურ მეურნეობის ჩამოყალიბებას.

ამ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში სოფლის მასწავლებლობამ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. მათი ენერგიული დახმარებით ყოველმა გლეხმა უნდა შეიგნოს სესხის მნიშვნელობა და შეიძინოს ობლიგაცია.

კომუნისტური პარტიის ლოზუნგი: „არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხი, რომელსაც არ ექნება შეძენილი სესხის ობლიგაცია" მტკიცედ უნდა განახორციელონ სოფლად მომუშავე განათლების მუშაკებმა და უპირველესად ყოვლისა მასწავლებლობამ.

მასწავლებლობამ აგრეთვე უფროს ჯგუფების მოწაფეებს უნდა გააცნონ სესხის მნიშვნელობა. განსაკუთრებით საგლეხო სესხის კამპანია ფართოდ უნდა იქნეს ჩატარებული სპეციალურ ტეხნიკუმებში, სოფლის ახალგაზრდობის კლუბებსა და ცხრაწლედის უფროს ჯგუფებში სპეციალური მოხსენებების სახით, სკოლებში ამგვარი სამზადისის ჩატარების შემდეგ მოწაფეები ჩაბმული უნდა იქნენ სესხის რეალიზაციის საქმეში.

მოსამზადებელი მუშაობა დასრულდა

ა.-კ. ფინსახკომში მიღებული ცნობებით, წინასწარი მუშაობა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად ამიერ-კავკასიაში დამთავრებულია. გლეხობა სესხისადმი დიდ ინტერესს იჩენს. განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია აზერბეიჯანში. ობლიგაციების პირველი პარტიიდან (450.000 მანეთი), რომელიც ამიერ-კავკასიამ მიიღო, აზერბეიჯანს გასასაღებლად მიეცა 210 ათასი მანეთის ობლიგაციები, რაც სრულიად გასაღებულია.

საქართველოში კამპანია ტარდება ყველა რაიონებში. საქართველოსთვის გამოყოფილ 160 ათასი მანეთის ობლიგაციის გასაღება ამ დღეებში დამთავრდება.

უამინდობის გამო სესხის რეალიზაციას დაგვიანდა მხოლოდ სომხეთში. სომხეთიდან დაბრუნებული საფინანსო დარგის მუშაკების გადმოცემით, სესხის ობლიგაციების გასაღება სომხეთში უზრუნველყოფილია. ამიერიდან სესხის რეალიზაცია უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ.

უკვე გამოგზავნილია და 12—13 თებერვლისათვის მოსკოვიდან თბილისში მიღებული იქნება 900 ათასი მანეთის ობლიგაცია, რომლებიც განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

სას.-სამ. კოოპერაციაში გაერთიანებული გლეხობა და სესხი

„სოფლის კავშირის" რაიონებში მივლინებული ინსტრუქტორები ატყობინებენ, რომ ოზურგეთის და გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა წლიურ ყრილობებზე, სადაც ინსტრუქტორები აკეთებენ მოხსენებებს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის შესახებ, კოოპერატივებში გაერთიანებულ გლეხებს ერთხმად გამოაქვთ დადგენილებები, რომ სესხს ყველანი უკლებლივ შეიძენენ და აგრეთვე გასწევენ აგიტაციას არაწევრთა შორისაც.

სესხი და წითელი არმია

კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ცნობით უკანასკნელ ხანებში ობლიგაციის შეძენის სურვილი წითელ არმიელთა შორის მეტად გაიზარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანების თანახმად წითელარმიელებს ფულის გადახდის ვადა ობლიგაციების შესაძენად გაუგრძელდათ. მთელი ლეგიონების წითელ არმიელები ობლიგაციებს იძენენ ათას მანეთობით და იწვევენ სხვა ლეგიონებს, ათასეულებს და სხვ.

ყველა პოლიტმაცადინობაზე, სკოლებში, ყაზარმებში კეთდება მოხსენებები სესხის მნიშვნელობის და მისი შეძენის აუცილებლობაზე.

ამჟამად პოლიტსამმართველოს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სამხედრო კოოპერატივთან ერთად ბეჭდავს ღია ბარათებს, რომლებიც დაგზავნილ იქნება სოფლებში. ბარათის ერთი გვერდი იქნება ცარიელი, სადაც წითელ არმიელი მისწერს თავის ნათესავებს წერილს თავის ცხოვრების შესახებ და მეორე გვერდზე კი იქნება დაბეჭდილი წერილი გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მნიშვნელობის შესახებ.

გასაღებულია 1.260.000 მან. ობლიგაცია

ა.-კ. ფინსახკომის ცნობით, გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის პირველ დღეებში მთელ ამიერ-კავკასიაში გასაღებულია 350.000 მანეთის ნაღდი ობლიგაციები და 910.000 მანეთის დროებითი მოწმობები. აქედან აზერბეიჯანში გასაღებულია 210.000 მანეთის ობლიგაციები და 570.000 მანეთის დროებითი მოწმობები; საქართველოში—80.000 მან. ობლიგაციები და 200.000 მანეთის დროებითი მოწმობები; სომხეთში—60.000 მანეთის ობლიგაციები და 140.000 მანეთის დროებითი მოწმობები.

კამპანია სამხრეთ-ოსეთში

თბილისში ჩამოვიდა საქართველოს ფინსახკომის რწმუნებული სამხრეთ-ოსეთში ამხ. ბაგაევი.

სამხრეთ-ოსეთში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიის მსვლელობის შესახებ ამხ. ბაგაევმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

სესხის რეალიზაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად სამხრეთ-ოსეთში შესდგა სპეციალური ხუთეული, რომელშიაც შედიან: პარტიის, კომკავშირის, ცაკის, პროფსაბჭოს და ფინრწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენლები.

ინსტრუქციებისა და მასალების მიღებისთანავე დაიწყო მუშაობა სესხის მიზნებისა და დანიშნულების გლეხთა ფართო მასებისათვის გასაცნობად. საგიტაციო კამპანია უმეტეს რაიონებში უკვე ჩატარებულია. უნდა ითქვას, რომ სესხმა გლეხობაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

კამპანიაში ჩაბმული არიან: კოოპერატიული ორგანიზაციები, გლეხკომები და სოფლის კულტურული ძალები.

უკანასკნელ დღეებში კამპანიის წარმატებით მიმდინარეობას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა. დიდი თოვლის მოსვლამ შეუძლებელი გახადა მიმოსვლა. დარჩა ზოგიერთი რაიონები, სადაც სესხის რეალიზაციის კამპანია ამ მიზეზის გამო არ ჩატარებულა. ასეთ მიუვალ ადგილებში კამპანია დაიწყება მარტში.

ცხინვალის რაიონში სესხის რეალიზაციას უკვე შეუდგნენ. მიღებულია 1.500 მანეთის ობლიგაცია და 10.000 მანეთის ობლიგაციის დროებითი ქვითარები. გლეხობა დროებით ქვითრებს არ ეტანება და მოითხოვს ნამდვილ ობლიგაციებს.

— ჩვენ ვიმედოვნებთ—განაცხადა დასასრულ ამხ. ბაგაევმა, რომ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია სამხრეთ-ოსეთში წარმატებით ჩატარდება.

სესხის რეალიზაცია ადგილებზე

ოზურგეთი, 10 თებერვალი. მთელ ოზურგეთის მაზრაში მოწყობილია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის ხელისშემწყობი სათემო სამეულები, რომლებთანაც მიმაგრებულია პასუხისმგებელი მუშაკები. 12 თებერვალს მოწვეულია სათემო აღმასკომების და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების გამგეობათა თავმჯდომარეების სამაზრო თათბირი, რომელიც განიხილავს სესხის რეალიზაციის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმართება სპეციალური კრებები, რომლებზედაც კითხულობენ მოხსენებებს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მნიშვნელობის შესახებ. აგრეთვე მოხსენებებს კითხულობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საარჩევნო კრებებზე. გლეხობა უდიდეს ინტერესს იჩენს სესხისადმი. (ადს).

ონი, 10 თებერვალი. მთელი მოსამზადებელი მუშაობა სესხის რეალიზაციისათვის დამთავრებულია. ადგილებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ სესხის რეალიზაციის კამპანიას. (ადს).

ცხინვალი, 10 თებერვალი. მოეწყო საოლქო სამეული სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩასატარებლად. ამ დღეებში ადგილებზე გაემგზავრებიან სპეციალური რწმუნებულები სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩასატარებლად გლეხობას შორის. ადგილობრივი გაზეთი ენერგიულ კამპანიას აწარმოებს სესხის პოპულარიზაციისათვის (ადს).

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრაში საგლეხო სესხის გავრცელების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. თემებში ეწყობა მასიური კრებები, რომლებზედაც პასუხისმგებელი ამხანაგები აკეთებენ მოხსენებებს საგლეხო სესხის მნიშვნელობაზე. გლეხებს გამოაქვთ დადგენილებები სესხის ობლიგაციების ფართოდ გავრცელების შესახებ.

საგლეხო სესხის კამპანიის ფართოდ ჩატარების მიზნით, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სამფინგანმა ქალაქის იმ დაწესებულებებში, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს გლეხობასთან და აგრეთვე სათემო და სასოფლო დაწესებულებებში, სკოლებში, კლუბებში და სხვ. გააკრა მოწოდებები და პლაკატები.

ბ.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიდან დაბრუნდა საქართველოს ფინსახკომის უფროსი ინსტრუქტორი დ. კოკაძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

ახალციხის მაზრაში წინასწარი საგიტაციო მუშაობა უკვე დამთავრებულია. ამჟამად ფართოდ მიმდინარეობს საგიტაციო კამპანია, რასაც ხელმძღვანელობს სპეციალური სამეული.

გლეხობა დიდათ დაინტერესებულია სესხით. ობლიგაციების პირველი პარტია, დაახლოებით — 4.000 მანეთის რაოდენობისა უკვე გასაღებულია.

ახალქალაქის მაზრაში კამპანიის ჩატარება დაგვიანდა ცუდი ამინდებისა და მით გამოწვეული ფოსტის მუშაობის შეფერხებით. იქ ინსტრუქციები და მასალები სესხის შესახებ მხოლოდ ეხლა მიიღეს.

ამჟამად მუშაობა იქაც გაცხოველებულად მიმდინარეობს.

ახალქალაქში შესდგა მოჯამაგირეთა კომიტეტების წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც მოისმინა მოხსენება სესხის შესახებ. იქვე გაიმართა ხელისმოწერა სესხზე. დელეგატებმა ხელი მოაწერეს 200 მანეთის ობლიგაციაზე.

990.000 მან. ობლიგაცია

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი ატყობინებს ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომ ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილია კიდევ 990.000 მანეთის ობლიგაცია. ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამ ობლიგაციებს რესპუბლიკებს შორის გაანაწილებს მიღებისთანავე.

სესხის ქრონიკა

15.000 მან. დროებითი მოწმობები

ახალციხის მაზრაში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხზე დიდი მოთხოვნილების გამო, გუშინ საქართველოს ფინსახკომმა იქ გადაგზავნა 15.000 მანეთის სესხის ობლიგაციების დროებითი მოწმობები.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან კვირამდე)

ინგლისის პარლამენტის სესია.—საიმონის კომისია ინდოეთში.—ქაღალდის უბრალო ნაფლეთი.—უდღეური მთავრობა.—ბოლოდისის განცხადების გამო.

ინგლისის პარლამენტის მორიგ სესიის გახსნაზე ბოლდუინის მიერ წაკითხული მეფის სეფე სიტყვა (მთავრობის დეკლარაცია) მიზნად ისახავდა ქვეყნის მძიმე მდგომარეობის მიჩქმალვას და ცდილობდა მის ოპტიმისტურად გაშუქებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რამდენადაც ინგლისის სინამდვილე ამისათვის არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა. ამით აიხსნება სეფე სიტყვის ზოგადი ხასიათი და უფერულობა ერთი მხრით, მეორე მხრით ის, რომ იგი განზრახ გვერდს უვლის მრავალ საკითხს, რომელთაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ ინგლისის კაპიტალიზმის ბედისათვის.

სეფე სიტყვაში ჩინეთის შესახებ აღნიშნულია: მდგომარეობა იქ იმდენად გამოკეთდა, რომ შესაძლებლობას იძლევა შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნილი ინგლისელი ჯარები საგრძნობლად შევამციროთო. აქ ნაგულისხმევია რევოლიუციის დროებითი დამარცხება, რამაც ინგლისის იმპერიალიზმს საშუალება მისცა ჩინეთში კვლავ განემტკიცებია თავისი ძალზე შერყეული პოზიციები. მაგრამ ჩინეთის რევოლიუცია კვლავ ცოცხლობს, მშრომელი მასების მოძრაობა ფართოვდება და საფრთხეს უმზადებს როგორც რეაქციის, ისე უცხოელ ყაჩაღების თარეშს. ამიტომაა რომ ბოლდუინი იძულებულია აღიაროს: არეულობა და სამოქალაქო ომი ჩინეთში ქმნის პირობებს, როცა საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი უცხოელების სიცოცხლის და ქონების უშიშროება და ეს საბაბს იძლევა მოუსვენრობისათვისო. მაშასადამე, მდგომარეობა არც ისე ყოფილა „გამოკეთებული" ინგლისის იმპერიალიზმის სასარგებლოდ, როგორც სეფე სიტყვა ერთ ადგილას არწმუნებს. აქედან—თვალთმაქცობაა ლაპარაკი, რომ თითქო ინგლისის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნდეს ჩინეთში თავის ჯარების შემცირება. ძლიერი სამხედრო ძალა მას აქ ესაჭიროება, როგორც არეულობისა, ე. ი. მოქიშპე მილიტარისტულ ჯგუფების ერთმანეთთან ბრძოლისათვის ხელის შესაწყობად, რომ ამ გზით თავისი ბატონობა უზრუნველყოს, ისე რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად, რომ უკეთ იქნას დაცული უცხოელთა სიცოცხლის და ქონების „უშიშროება", სხვანაირად—ინგლისელების „უფლება" ჩინეთის ხალხის დამონების და ძარცვის საქმეში.

ინგლისის მთავრობა შეეხო აგრეთვე ამერიკასთან დამოკიდებულებას. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ „ომი ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის წარმოუდგენელია. ომის მომზადება ამერიკის წინააღმდეგ არასოდეს არ იქნება ინგლისის პოლიტიკის საფუძველი. ინგლისის საზღვაო პროგრამა არ ისახავდა მეტოქეობის მიზნებს, არამედ შედგენილი იყო ინგლისის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით"-ო. ეს ცალიერი სიტყვებია. სინამდვილე კი მეტყველებს, რომ ორივე მხარე ენერგიულად ემზადება ომისათვის და რომ ეს ომი მათ შორის ადრე თუ გვიან აუცილებელია. ამას აშკარად აღიარებენ, როგორც ამერიკაში, ისე ინგლისში. ამას ადასტურებს თვით ჩემბერლენის განცხადება, რომ ჩვენი სადავო პროგრამა ინგლისის ინტერესების დაცვას ემსახურებაო. ეს ინტერესები კი მდგომარეობს მსოფლიო ბაზრების და მსოფლიო ჰეგემონიის შენარჩუნებაში ინგლისის მიერ. ამერიკის იმპერიალიზმი კი ამ ბაზრების დაპყრობას და ინგლისის ხარჯზე მსოფლიოზე გაბატონებას ცდილობს და თავის ამ ინტერესებს იცავს აგრეთვე საზღვაო პროგრამით, უდიდესი საზღვაო მშენებლობით. ინტერესთა ამ გარდაუვალ წინააღმდეგობას, რომელთა დაცვა იმპერიალისტებს მხოლოდ დრედნოუტებით შეუძლიათ, უეჭველად მოყვება მათ შორის შეიარაღებული შეტაკება და ჩემბერლენი ამაოდ ლამობს ამ აუცილებლობის მიფუჩეჩებას.

მეტად რთულია ინგლისის საშინაო მდგომარეობაც. ღრმა კრიზისი ქვანახშირის, საფეიქრო და სხვა სამრეწველო დარგებში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, უმუშევრობის ზრდა—აი რას ვხედავთ ჩვენ ინგლისში. ასეთ დროს მთავრობა ბუნდოვანად ლაპარაკობს რაღაც „დამაიმედებელ ნიშნებზე", რომელნიც მოწმობენ მდგომარეობის „პროგრესულ გაუმჯობესებას", მაგრამ ეს „მოკლეფეხებიანი" ტყუილი, ცხადია, ვერავის დაარწმუნებს და ვერავის შეიყვანს შეცდომაში. აგრეთვე სრულიად უნიადაგოა იმედი, რომ თითქო „თანამშრომლობის დაკეთილინების არსებობის დროს უახლოეს წელში პროგრესი მიღწეული იქნება". რამდენიც არ უნდა ეცადონ რეფორმისტები შრომისა და კაპიტალ შორის „თანამშრომლობის" განმტკიცებას, „მრეწველობაში მშვიდობიანობის" ჩამოგდებას, ეს ფუჭი საქმეა. კაპიტალის გაფთრებული შეტევა მუშათა კლასზე და ეკონომიური კრიზისის შემდგომი აუცილებელი გაღრმავება აჩქარებს მუშათა კლასის გამემარცხენებას და ინგლისს ხდის დიდ სოციალურ კონფლიქტების ასპარეზად. ასეთი კონფლიქტები სულ უფრო მწიფდება და სვამს საკითხს ინგლისის კაპიტალიზმის არ თუ „პროგრესის", არამედ მისი უფრო დაქვეითების და დაშლის შესახებ.

⁂

საგულისხმოა, რომ ბოლდუინის მთავრობის განცხადებაში ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული დამოკიდებულება ინდოეთთან. ეს მაშინ, როცა საქმეთა ვითარება ინდოეთში, შეიძლება ითქვას, სწყვეტს ინგლისის იმპერიალიზმის ბედის საკითხს, ასეთი გაჩუმება ლონდონის მთავრობის მხრით გასაგებია: ინგლის-ინდოეთის ურთიერთობა ძალზე გამწვავებულია და ბოლდუინს ამ დარგში მაინცდამაინც ბევრი არაფერი აქვს დასატრაბახებელი.

მადრასში ჩავიდა საიმონის კომისია, რომელსაც დაკისრებული აქვს ინდოეთის „კონსტიტუციის" გადასინჯვა. ამასთან დაკავშირებით მთელ ინდოეთში გაძლიერდა ბოიკოტისტური მოძრაობა საიმონის კომისიის და საერთოთ ინგლისის წინააღმდეგ. პოლიცია ყოველ ზომებს ღებულობს ამ კომისიის „მუშაობისათვის" ხელსაყრელ პირობების შესაქმნელად. აკრძალულია იმ კომიტეტის მოქმედება, რომელიც შექმნილია საიმონის კომისიისათვის ბოიკოტის განსახორციელებლად. ერთი თვის განმავლობაში უკანონოდ ცხადდება ყოველგვარი კრებები, რომლებსაც მიზნად აქვთ ნაციონალური გლოვის გამართვა ინდოეთში საიმონის ჩასვლის გამო. აკრძალულია კომისიის წინააღმდეგ პროპაგანდის საწარმოებლად პლაკატების გამოფენა და მოხალისეთა შეკრება. ბოიკოტისტებს ასეულობით ყრიან ციხეებში. მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, ბრძოლა საიმონის კომისიის წინააღმდეგ ფართოდ იშლება.

უნდა გავიხსენოთ, რომ ეს კომისია შესდგება მარტო ინგლისელებისაგან; მასში არ ურევია ინდოეთის არც ერთი წარმომადგენელი. ეს გამოხატავს ინდოეთის უუფლებო მდგომარეობას; ლონდონი სწყვეტს ინდოეთისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორც მისი სრული ბატონ-პატრონი, და ინდოეთს არაფერს ეკითხება. ასეთი კომისიის დანიშვნამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ ინდოეთში. ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა დაადგინა საიმონის კომისიას ბოიკოტი გამოუცხადოს და წამოაყენა ქვეყნის დამოუკიდებლობის ლოზუნგი.

ინგლისის მთავრობა „დათმობაზე" მიდის. საიმონი წინადადებას იძლევა შესდგეს მისი კომისიის და ინდოეთის საკანონმდებლო კრების წარმომადგენლების საერთო სხდომა. ამ წარმომადგენლებს უფლება ენიჭებათ ცალკე მოხსენება წარუდგინონ ინგლისის პარლამენტს. ამ გზით ბოლდუინის მთავრობა ცდილობს შექმნას ინგლის-ინდოეთის თანასწორობის ილიუზია ინდოეთის მოსახლეობაში.

მაგრამ, ჯერ ერთი, ინდოელების კომისია დანიშნულია საიმონის და არა ინგლისის პარლამენტის მიერ; შემდეგ ორივე კომისიის მოხსენებებს განიხილავს ეს პარლამენტი, რომელიც, ცხადია, ამა თუ იმ სახით საიმონის თვალსაზრისს გაიზიარებს. ასე რომ ხსენებული მოჩვენებითი თანასწორუფლებიანობა არსებითად ოდნავადაც არ სცვლის იმ უდავო ფაქტს, რომ ინდოეთი ინგლისის კოლონიაა. და თუ მაკდონალდი „აღტაცებულია" კონსერვატორების „ბრძნული დათმობით" ინდოეთის მიმართ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის ისეთივე იმპერიალისტია, როგორც ბოლდუინი.

ინდოეთის პარტიების ლიდერებმა უარყვეს საიმონის წინადადება და ძალაში დასტოვეს გადაწყვეტილება მისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში გაცებულნი არიან ინდოელების ასეთი „უმადურობით", კერძოდ მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ" მოწოდებით მიმართავს ინდოეთის პარტიებს შესწყვიტონ ბოიკოტი საიმონის კომისიის მიმართ. ლონდონში ფიქრობენ, რომ ინდოეთის პარტიების გადაწყვეტილება საბოლოოდ არ ჩაითვლება და რომ მათ ამ გზით დათმობების მიღწევა სურთო. ეს მოსაზრება საფუძვლიანია. ინდოეთის ბურჟუაზიული პარტიები ნამდვილად სერიოზულ ბრძოლას არ აწარმოებენ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ასეთი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მასების ამოძრავებით, ამის კი ინდოეთის ბურჟუაზიას ყველაზე უფრო ეშინიათ. ის არჩევს ინგლისის კაპიტალისტებთან ერთად აწარმოოს მათი ექსპლოატაცია, ოღონდ მცირეოდენი პოლიტიკური უფლებები მოიპოვოს თავისთვის. ამასთან ინდოეთის მსხვილი ბურჟუაზია ეკონომიურად ინგლისის კაპიტალთანაა დაკავშირებული და მასთან განხეთქილებაზე ვერ წავა.

თავის მხრივ ინგლისის იმპერიალისტები დაინტერესებული არიან ინდოეთის ბურჟუაზიასთან „მორიგებით", რომ შეანელონ ანტიინგლისური მოძრაობა ინდოეთში და ამავე დროს აქ ზურგი გაიმაგრონ საბჭოთა კავშირთან შესაძლებელ ომის შემთხვევაში. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია, რომ ინგლის-ინდოეთის ბურჟუაზიას შორის მიღწეული იქნება ერთგვარი კომპრომისი—პირველისათვის რაიმე ნამცეცის გადაგდების სახით. მაგრამ ეს კომპრომისი რომელიც განხორციელდება ინდოეთის მასების ზურგს უკან, არ შეიძლება მკვიდრი იყოს. მასსები კლასობრივად თანდათან ცნობიერდებიან და უეჭველად გამოვლენ ინგლისის იმპერიალიზმისაგან ქვეყნის განთავისუფლების მედროშედ. ეს იმავე დროს იქნება ბრძოლა „მშობლიური" ბურჟუაზიის წინააღმდეგაც.

⁂

ამერიკა-საფრანგეთ შორის დადებულ იქნა ახალი საარბიტრაჟო ხელშეკრულება. ასეთი ხელშეკრულების დადება განზრახულია ინგლის-ამერიკასა და ამერიკა-იაპონიას შორისაც, ფორმალურად საარბიტრაჟო ხელშეკრულებები მიზნად ისახავენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას და ომების აცილებას. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზე.

როდესაც საბჭოთა მთავრობა კრავს საგარანტიო თუ საარბიტრაჟო ხელშეკრულებებს, ამას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების და საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმისათვის, მიტომ რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას. სულ სხვა ხასიათი აქვს იმ საარბიტრაჟო ხელშეკრულებებს, რომლებსაც კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთთან სდებენ, მათ ხელში საარბიტრაჟო ხელშეკრულებები მხოლოდ ერთ ერთი იარაღია თავის ყაჩაღურ ზრახვების განსახორციელებლად.

ავიღოთ საფრანგეთ-ამერიკის ხსენებული შეთანხმება. საფრანგეთი მოწადინებულია, რომ უზრუნველყოს შეერთებულ შტატების ნეიტრალიტეტი გერმანიასთან ომის შემთხვევაში, თავის მხრივ ნიუ-იორკის მთავრობა ცდილობს საფრანგეთი ჩამოაშოროს ინგლისს, დაასუსტოს ერთა ლიგა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამერიკის წინააღმდეგ, და ამნაირად გაიადვილოს ბრძოლა ინგლისთან. ამავე დროს ეს „სამშვიდობო" ჟესტი მიზნად ისახავს მასსების მოტყუილებას და იმ საომარი მზადების დაფარვას, რომელსაც იმპერიალისტები აწარმოებენ.

თვით ორივე მხარეს შორის არსებულ, თუ შემდეგ მოსალოდნელ კონფლიქტების გადაჭრის თვალსაზრისით მათი საარბიტრაჟო ხელშეკრულება არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ჯერ ერთი, ხელშეკრულება ვრცელდება ვიწრო უფლებრივ საკითხებზე; შემდეგ: ის არ ითვალისწინებს რაიმე გამოსავალს, თუ ამ საკითხების გადაჭრა საარბიტრაჟო გზით ვერ მოხერხდა.

რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებ შორის დადებულ საარბიტრაჟო ხელშეკრულებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის, ამას გარკვევით აღიარებს ბურჟუაზიული პუბლიცისტი პერტინაკსიც, რომელიც გაზ. „ეკო დე პარი"-ში შემდეგსა სწერს: „1914 წ. არსებობდა 61 საარბიტრაჟო ხელშეკრულება. ამათგან 17 ხელშეკრულებაში მონაწილეობას იღებდა ჩრ. ამ. შეერთებულ შტატები. არც ერთი ამ ხელშეკრულებათაგანი არც ომამდე და არც ომის დროს არ ყოფილა გამოყენებული. ამ ხელშეკრულებათა თითქმის ყველა მონაწილე ებრძოდა ერთი მეორეს, ყოველ შემთხვევაში მათ კონფლიქტები ქონდათ ერთმანეთთან".

ამგვარად, საარბიტრაჟო ხელშეკრულებები ქაღალდის უბრალო ნაგლეჯია, რომელსაც არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვს, როცა მასში გათვალისწინებული პირობები ამა თუ იმ იმპერიალისტურ ქვეყნის ინტერესებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება. ლაყბობა მშვიდობიანობაზე და საარბიტრაჟო ხელშეკრულებები თავის თავად, ხოლო მზადება ომებისათვის კიდევ თავისი წესით—ასეთია იმპერიალისტების ორი სახე.

⁂

ევროპაში ამჟამად საპარლამენტო არჩევნების კამპანია მიმდინარეობს. სოციალ-დემოკრატები ოცნებობენ ბურჟუაზიასთან ერთად ძალა-უფლების გაზიარებაზე, ზოგან „მუშათა" მთავრობის შედგენაზეც კი (ინგლისში). მაკდონალდის კაბინეტის გამოცდილებამ (1924 წ.) ცხადყო „მუშათა" მთავრობის იდეის სრული სიკოტრე და უნიადაგობა ბურჟუაზიის ბატონობის დროს. ამ მხრივ საყურადღებოა ნორვეგიის მაგალითიც.

ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების შედეგად სტორდინგში (პარლამენტში) მიიღო 60 ადგილი 150 დან. თუმცა, ამგვარად, ის უმცირესობას შეადგენს მემამულეთა და ბურჟუაზიულ პარტიებთან შედარებით, ნორვეგიელი მაკდონალდები სიხარულით „ცას ეწიენ", როცა მეფემ მთავრობის შედგენა მათ მიანდო, მათ თავის მეთაურობით კიდეც შეადგინეს კაბინეტი, რომელშიც ბურჟუაზიის „მემარცხენე" წარმომადგენლებიც მონაწილეობდენ.

ხორნსრუდმა (მთავრობის თავმჯდომარემ) სტორდინგში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც მუშათა კლასს აღუთქვა უმუშევრობასთან ბრძოლა, ბურჟუაზიის დაბეგვრა, პროფკავშირების უფლებათა გაფართოება, განიარაღების გატარება და სხვა „მაღალი მატერიები" აშკარაა, რომ ასეთი პროგრამა, თუმცა ის თავის მეტ ნაწილში საკმაოდ შეკვეცილი იყო მუშათა კლასის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, მაინც უბრალო საგიტაციო ფანდს წარმოადგენდა და მის განხორციელებისათვის ხორნსრუდისთანა შემთანხმებლები თავს არ გამოიდებდენ. მაგრამ საკმარისი იყო ამ პროგრამით გამოსვლა, რომ ბურჟუაზიას პანიური ეკრა „მუშათა" მთავრობისათვის: სტორდინგმა ბურჟუაზიულ პარტიების ხმების უმრავლესობით მას უნდობლობა გამოუცხადა, სანამ ის მუშაობას შეუდგებოდა,

რომ სოციალ-დემოკრატია ნამდვილად არ ფიქრობდა ხსენებულ პროგრამის გატარებისათვის ბრძოლას, ეს თუ გინდ იქიდან სჩანს, რომ ხორნსრუდი უსიტყვოდ დასთანხმდა გადადგომაზე; მან ვერ გაბედა პარლამენტის დათხოვნა, მოსახლეობისათვის უშუალოდ მიმართვა და საერთოდ ძალა-უფლების გამოყენება მუშათა კლასის მორიგ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მაინც. ამას, რა თქმა უნდა „ის ვერ იზამდა, მიტომ რომ მენშევიკებს რევოლიუციონურ ბრძოლის [illegible] ეშინიათ და არჩევენ ბურჟუაზიის წინაშე წამოჩოქებას". სოციალ-დემოკრატები ეხლა დაიწყებენ ლაპარაკს: ჩვენ ვემსახურებით მშრომელთა ინტერესებს, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევენო. მაგრამ საეჭვოა ასეთმა ფანდმა მუშათა კლასზე გავლენა მოახდინოს და ხორნსრუნდების რევოლიუციონერობა დაუმტკიცოს მათ.

ნორვეგიის „მუშათა" მთავრობის მაგალითი ნათელყოფს შემდეგ ჭეშმარიტებას: სისულელეა ლაპარაკი პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თუ გინდ „მუშათა" მთავრობა მოექცეს ძალა-უფლების სათავეში. ბურჟუაზია, თუ ხელისუფლებას მიანიჭებს მუშათა „წარმომადგენლებს", ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენოს. როცა კი „მუშათა" მთავრობა გაბედავს ხმის ამოღებას კაპიტალის მადის სულ მცირე შეკვეცაზე, ის უცერემონიოდ იქნება გაძევებული. როგორც მაკდონალდის, ისე ხორნსრუნდის მთავრობის გამოცდილება ზედმეტ გაკვეთილს აძლევს მუშათა კლასს, რომ მას თავის იდეალების განხორციელება შეუძლია არა „მშვიდობიანი" და საპარლამენტო გზით, არამედ მხოლოდ გადამჭრელი რევოლიუციონური ბრძოლით.

⁂

ლატვიის ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი ბალოდისი ამ დღეებში განცხადებით გამოვიდა თავის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან სთქვა ჩვენმა სავაჭრო ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირთან უნდა მოაწესრიგოს ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის; შევსძლებთ თუ არა ამ მიზნის მიღწევას, ამაზე მსჯელობა ჯერ ჯეროვნად ნაადრევიაო. ხსენებულმა ხელშეკრულებამ უკვე გამოიღო სათანადო ნაყოფი და ის შეიცავს მხარეთა ეკონომიურ თანამშრომლობის, კერძოდ ლატვიის სამეურნეო აღორძინების უტყუარ შესაძლებლობებს. ბალოდისი ამას თითქო ეჭვის თვალით უყურებს, როცა ნაადრევად სთვლის ამაზე ლაპარაკს. აქ მოსჩანს მერყეობა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში, მეტი რო არა ვსთქვათ.

უფრო საგულისხმოა ბალოდისის აზრი, რომ მას აქტუალურად არ მიაჩნია საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება, ნუ თუ მშვიდობიანობის განმტკიცება, რასაც საგარანტიო ხელშეკრულება მიზნად ისახავს, მოკლებულია აქტუალურ მნიშვნელობას. აშკარაა, რომ ლატვიის ახალი მთავრობა თავის პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ შორდება წინანდელ კაბინეტის ხაზს და მიდის ჩვენგან დაშორების გზით.

ჩვენ ვიცით, რომ რეაქციონურ გლეხთა კავშირის წარმომადგენლები, რომელნიც ლატვიაში ძალა-უფლებას ჩაუდგენ სათავეში, საბჭოთა კავშირისადმი ყოველ შემთხვევაში მეგობრულად არ არიან განწყობილნი. მაგრამ მათ ურთიერთობაში საბჭოთა კავშირთან აგრეთვე უდავოა უცხოელ ძალების გავლენაც. ამას მოწმობს ბალოდისის მითითება, რომ ერთა ლიგასთან ლატვიის თანამშრომლობა არ უნდა შეიზღუდოს და აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს ლატვია-ესტონეთის კავშირის მნიშვნელობაო. ერთა ლიგა კი და ესტონეთიც, როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირთან რომელიმე სახელმწიფოს, მათ შორის ლატვიის დაახლოების წინააღმდეგი არიან.

ბალტიის ქვეყნების პრესა ბალოდისის გამოსვლას აფასებს, როგორც ბალტიის ქვეყნების და პოლონეთის ბლოკის შეკვრის ცდას. ეს მოსაზრება სინამდვილესთან ახლოა. იურაშევსკის კაბინეტის საშუალებით ინგლისი ცდილობს ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას.

მაგრამ დღემდე ასეთი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა და შემდეგშიც საეჭვოა მისი წარმატება. საბჭოთა კავშირის მისწრაფება ყველა ქვეყანასთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისაკენ, ბალტიის ქვეყნების მშრომელთა და საქმიან წრეების დაინტერესება ჩვენთან დაახლოებით და ინტერესთა წინააღმდეგობა ბალტიის სახელმწიფოებ შორის შეუძლებელს ხდიან ჩემბერლენის გეგმის გატარებას. და თუ იურაშევსკი მაინც გახდება ამ მხრივ ლონდონის იარაღად, ამით პირველ ყოვლისა ლატვიას მოუვა გამოუსწორებელი ზიანი.

ვ. კ—ლი.

პარტიული ცხოვრება

ტროცკისტებს ადგილი არა აქვთ ლენინურ პარტიაში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომისიამ განიხილა საქმეები ქვემოხსენებულ პირთა ოპოზიციონურ მუშაობის შესახებ. და გამორიცხა ისინი საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგებიდან, როგორც გაუსწორებელი ოპოზიციონერი - ტროცკისტები. თბილისის ორგანიზაციიდან: ალექსანდრე ივანეს ძე მორდვინცოვი, შალვა ნესტორის ძე ოდილავაძე, იაკობ თედორეს ძე ახობაძე, ალექსანდრე თედორეს ძე ნადირაძე, ირაკლი დიონისის ძე კუპრაშვილი, ამბროსი კონსტანტინეს ძე თოლორდავა, აბესალომ ბაგრატის ძე ნოღაშვილი, პროკოფი მელიტონის ძე ლლონტი, ნიკოლოზ მაქსიმეს ძე კაკაბიძე, პლატონ ალექსის ძე ჭელიძე, ვასილ ნესტორის ძე ჭანტურია, შალვა გიორგის ძე ლადანიძე, იულია იოსების ასული ხარაბაძე. ქეთევან კალისტრატეს ასული ცაგარელი, სტეფანე იოსების ძე მაისურაძე, აკაკი ალექსის ძე ფანჩულიძე, პავლე ეკაფახეს ძე ტყემალაძე, შალვა ბაგრატის ძე გოჩელაშვილი, მიხეილ გიორგის ძე მახარაშვილი, ალექსანდრე იაკლოზის ძე ჩიგოგიძე, ანდრია ლავრენტის ძე დუნდუა, იოსებ კონსტანტინეს ძე თავაძე, საბა ალექსის ძე ქართველიშვილი, იოსებ არქიპოს ძე ფხალაძე, დომენტი მაქსიმეს ძე ნაჭყებია.

აჭარისტანის ორგანიზაციიდან: ვლადიმერ მარკოზის ძე ბერაძე, ევგენი ნიკოლოზის ძე მდივანი, იაკინთე ბიჭიას ძე კვიტაშვილი, მათე ელიზბარის ძე ლომთათიძე და ვალერიან ირაკლის ძე გოგიბერიძე.

შორდებიან ოპოზიციას

პარტიის წევრებმა 1925 წლიდან, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის მუშებმა ივანე თოლიაკოვმა და ივანე ფარადაშვილმა განაცხადება შეიტანეს სათანადო ორგანოში ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ. ისინი ამბობენ. რომ არალეგალურ ოპოზიციონურ ლიტერატურას მათ აწოდებდა ხოლოშვილი (ახლა პარტიიდან გარიცხული); მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებებს სწორად სთვლიან და სავალდებულოდ მიაჩნიათ მათი დაცვა; ოპოზიციისგან იდეურად და ორგანიზაციულად იმიჯნებიან.

პარტიიდან გამორიცხულმა მუშფაკელმა ნესტორ ვაჩაძემ განცხადება შეიტანა პარტიაში უკან მიღების შესახებ. ის იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს სწყვეტს ოპოზიციასთან, სწორად მიაჩნია მე-15 პარტიული ყრილობის ყველა დადგენილება და სიტყვას იძლევა, რომ ამ დადგენილებებს ცხოვრებაში გაატარებს.

პარტიის ახალქალაქის ორგანიზაციის წევრები ამხ. ირაკლი კიზირია (1917 წლიდან) და პარმენ ჩოლოყუა (1918 წლიდან) აცხადებენ, რომ ოპოზიციის ბრძოლა პარტიასთან ობიექტურად ეხმარებოდა მესამე ძალას. მათ ოპოზიციის ხაზი მავნებლად მიაჩნიათ პარტიისათვის, იმიჯნებიან ოპოზიციისაგან, ხსნიან თავის ხელმოწერას ოპოზიციონური დოკუმენტებიდან, სწორად სთვლიან მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებებს და სიტყვას იძლევიან, რომ მათ ცხოვრებაში გაატარებენ (ადს).

სოფლის უჯრედები და სასოფლო სესხი

სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის წარმატების საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობის ფართო მასებს განემარტოს ამ სესხის ამოცანები, მიზნები და სარგებლობანი.

პარტიის სასოფლო უჯრედებს, როგორც სოფლის პოლიტიკურ ცენტრებს და გლეხთა საზოგადოებრიობის ხელმძღვანელთ, ეკისრება საპასუხისმგებლო მუშაობა სესხის იდეების პროპაგანდისათვის გლეხობის ფართო მასებში.

ჩვენი სოფელი, განსაკუთრებით ქართული სოფელი, კულტურული განვითარების დაბალ დონეზე დგას. ჩვენი გლეხობა დღემდე მამაპაპურ სისტემით აწარმოებს მუშაობას სასოფლო მეურნეობაში. ჩვენი გლეხობის 80 პროცენტი ჯერ კიდევ ისევ ხის კავით სჩიჩქნის მიწას, იგი არ იცნობს მრავალმინდვრიანი სისტემას და მეურნეობის გაძღოლის იმ მეთოდებს, რომელიც მეტ შემოსავალს იძლევა და ამავე დროს ამცირებს და ამსუბუქებს გლეხის შრომას.

სოფლის მეურნეობის ეს ჩამორჩენილობა საგრძნობ გავლენას ახდენს საბჭოთა სახელმწიფოზე—იგი აძნელებს და ართულებს სოციალიზმის საქმეს.

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის, მისი აღორძინებისათვის ისეთ დონემდე, რომელიც უზრუნველჰყოფს ინტენსიურ და წარმატებით მუშაობას ახალი, კულტურული სოფლის მშენებლობის დარგში, სახელმწიფო გამოუშვა ეს სესხი 100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

რ.ს.ფ.ს.რ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლეჟავამ სოფლის მეურნეობის სესხი ამგვარად დაახასიათა:

„ჩვენი სოფლის მეურნეობა არა ნაკლებ შეიძლება მეტად საჭიროებს ახალ მოწყობილობას, ვიდრე ჩვენი მრეწველობა.

მართალია ჩვენ ჯერ კიდევ ღარიბნი ვართ, მაგრამ ისეთი მიზნისათვის, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის განმტკიცება. ჩვენ ვალდებული ვართ გამოვნახოთ თანხები. ამაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი".

პარტიის სასოფლო უჯრედებმა ფართოდ უნდა განუმარტონ ყოველივე ეს გლეხობას უჯრედების ღია კრებებზე წაკითხულ უნდა იქნას მოხსენებანი სესხის შესახებ, ყოველმა პარტიულმა, ყოველმა კომკავშირელმა ინდივიდუალური პროპაგანდა უნდა აწარმოოს სესხის ამოცანებისა და მიზნების გარკვევისათვის; პარტიის უჯრედებმა გლეხობის საზოგადოებრივი აზრის ფსიქოლოგიური მობილიზაცია უნდა მოახდინონ მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელებისათვის.

ამასთან ერთად ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული ის სარგებლობანი, რომელსაც სესხი იძლევა. აუცილებელია განემარტოს ყოველ გლეხს, რომ რაც მალე მოაწერს ხელს სესხზე, მით უფრო მეტ სარგებლობას მიიღებს. ვინაიდან პროცენტების მატება შეძენილი ობლიგაციის თანხაზე იწყება არა იმ დღიდან. როცა სრულად იქნება გადახდილი ობლიგაციის ღირებულება, არამედ სესხზე ხელის მოწერის დღიდან.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. რომ ამა თუ იმ თემში გასაღებული სესხის 10 პროც. გადაირიცხება სათემო აღმასკომის ბიუჯეტში ამ თემის გლეხობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ჯიშიანი საქონლის შესაძენად, მიწადმოწყობის სამუშაოთა დასაჩქარებლად და სხვა.

ამგვარად, სესხის რაც უფრო მეტი თანხა გასაღდება ამა თუ იმ თემში, მით უფრო მეტ თანხას მიიღებს (გასაღებული სესხის მეათე ნაწილის სახით) სათემო ბიუჯეტი, და მაშასადამე მით უფრო სწრაფად იქნება ჩატარებული მუშაობა სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად.

ამასთანავე, რამდენადაც სესხის რეალიზაცია ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციისა და გლეხკომების მიერ. პარტიის უჯრედებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას სესხის გავრცელების საქმეში. სასოფლო უჯრედებმა განსაკუთრებული მუშაობა უნდა აწარმოონ ღარიბთა შორის.

კრებებისა და ღარიბთა ჯგუფების საშუალებით უნდა ჩატარდეს კოლექტიური ხელისმოწერა სესხზე. პირველი—ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს—სესხზე ხელის მოწერის საქმეს და მეორე—შეუწყობს ხელს გლეხობის ფართო მასების ჩაბმას სესხის გასაღების საქმეში.

სასოფლო უჯრედებს მტკიცედ უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია არის შემოწმება იმისა. თუ რამდენად მიჰყვება გლეხობა პროლეტარიატს. არის შემოწმება იმისა, თუ რამდენად ახლოსა და გასაგებია გლეხობისათვის პარტიის და პროლეტარიატის პოლიტიკა.

ა. დალნი.

პოლიტმეცადინეობა № მესანგრეთა ასეულში

1-ლი ცალკე მესანგრე ასეული

წელს პოლიტმუშაობა ნაწილში საგრძნობლად გამოცოცხლდა. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა საფეხურის პარტსკოლები, რომელშიაც [illegible] ოპერატორიც. ყველა ჯგუფებში მიმდინარეობს მე-15-ტე პარტყრილობის მასალების დამუშავება, მეცადინეობაში ხელს გვიშლის ის, რომ ბიბლიოთეკას არ მოეპოვება სახელმძღვანელოების საკმაო რაოდენობა. ასეულს არა აქვს კულტფონდში საამისო თანხა. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება. ვიმედოვნებთ, რომ ამ ნაკლს მალე მოეღება ბოლო.

ქ. ჭოხონელიძე.

კომკავშირში

თათბირი ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 11 თებერვალი. თებერვლის დამლევს საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ი იწვევს თათბირს, რომლის საგანი იქნება მუშაობა ახალგაზრდა შორის. დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: ახალგაზრდათა შორის მუშაობის ძირითადი პრობლემები, პარტიის მხრივ კომკავშირის ხელმძღვანელობის ამოცანები, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და ახალგაზრდათა შორის. მუშაობის საკითხები. პარტთათბირში მონაწილეობას მიიღებს 75 კაცი აქედან 33 ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელი იქნება. (ადს).

კომკავშირის ამოცანები პიონერ-კომუნების დარგში

კომკავშირის მუშაობა უპატრონო პიონერთა შორის რამდენადმე განსხვავდება საერთოდ პიონერთა შორის მუშაობისაგან.

კომკავშირელთა ორგანიზაციებმა ნორჩ-პიონერთა სარაიონო ბიუროსთან ერთად დრო და დრო უნდა შეამოწმონ კოლექტივების მუშაობა და აღმოფხვრან აღმზრდელობითი მუშაობის ყოველგვარი სიმახინჯე. კომკავშირელთა ორგანიზაციები არ უნდა დასჯერდნენ მხოლოდ იმას, რომ შეამოწმონ და სათანადოდ მიმართონ პიონერ-კოლექტივების ხაზი; მათ თავისი გავლენის ქვეშ უნდა მოაქციონ საბავშვო სახლების საერთო მუშაობაც: ბავშვების კავშირი პედაგოგიურ პერსონალთან, უკანასკნელის ურთიერთობა ბავშვებთან, შრომითი აღზრდა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. მართალია, აქ ბევრი რამ უნდა ავიცილოთ თავიდან, ე. ი. შეიძლება ჩვენ გვითხრან: „უკაცრავად, საამისოდ ხომ სათანადო ორგანიზაციები არსებობს: განათლების კომისარიატი „ბავშვების მეგობართა" საზოგადოება. საბავშვო კომისია და სხვ. რასაკვირველია, ასეთი პასუხი შესაძლებელია თუ კომკავშირელთა ორგანიზაციები ჩაერევიან არა თავის საქმეში, ე. ი. თუ მუშაობის ნაკლის გამოაშკარავების შემდეგ მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით მოახდენენ მათ ლიკვიდაციას. კომკავშირმა პიონერ-კომუნები და საბავშო სახლები იმ მიზნით უნდა შეამოწმოს, რომ გამოამჟღავნოს ყოველგვარი ნაკლი და ამცნოს დაინტერესებულ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამ მხრით პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს კომკავშირის აფხაზეთის ორგანიზაციამ და გამოიკვლია პიონერ-კოლექტივები, სკოლა - კომუნები. გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ კოლექტივის დამაკმაყოფილებელ შინა-აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად, რაც გამოიხატება ბავშვების თვითმოქმედებით, სკოლა-კომუნის მუშაობას მრავალი დეფექტი აქვს. კავშირი კომკავშირის უჯრედთან და უჯრედის მხრით ხელმძღვანელობა არ არსებობს. მუშაობა შრომითი აღზრდის ნიადაგზე მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ ბავშვები პრაქტიკულად მუშაობენ ბოსტანში და თავის თავს ემსახურებიან. ამასთანავე ყველა პიონერი და აგრეთვე ოქტომბრელები მუშაობით დატვირთულნი არიან კვირა-უქმე დღეებშიაც კი, რაც ცუდად მოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ზაფხულში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვები მუშაობდნენ დილიდან შუადღის 12 საათამდე და სადილის შემდეგ 3 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ე. ი. 8 საათს, თუ არ ჩავთვლით თვითმსახურებას და საზოგადოებრივ მუშაობას კოლექტივებში. გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვები ემსახურებოდნენ პედაგოგიურ პერსონალს, მაგალითად, რეცხდნენ იატაკებს, უვლიდნენ სახლს და სხვ. (მეტადრე კომუნის გამგისა). ბავშვებისა და მასწავლებლების ურთიერთობა ცუდია; ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მასწავლებელს ბავშვებისათვის უცემია და კომუნიდან გამორიცხვით დაუშინებიათ. სამედიცინო დახმარება არ არსებობს; თუ რომელიმე ბავშვი ავად გახდება, თვითონ უნდა მოუაროს თავის თავს და ქალაქის ამბულატორიაში იაროს. სკოლა-კომუნის მუშაობის ყველა დეფექტის გამორკვევის შემდეგ, კომისიამ განათლების კომისარიატისა და პარტიის საოლქო კომიტეტის ყურადღება მიაქცია ყველა არანორმალურ მოვლენაზე, რასაც კი სკოლაში ადგილი ჰქონდა, და მოახერხა საჭირო ცნობილი ღონისძიების გატარება ცხოვრებაში.

ასეთი თვალსაზრისით უნდა მოხდეს კოლექტივების შემოწმება საბავშო სახლებში. კომკავშირის ამოცანაა: გამოფინოს მზის სინათლეზე უპატრონო ბავშვების ცხოვრებისა და სწავლების ყველა ბნელი მხარე, არ უნდა დარჩეს არც ერთი საბავშო სახლი, სადაც კომკავშირელის თვალი არ იქნება. ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ საბავშო სახლების პიონერ-კოლექტივების რეალურ და ნამდვილ ხელმძღვანელობას. საბავშო სახლებთან მიმაგრებული უჯრედების პიონერ-კომისიები სისტემატიურად უნდა უხელმძღვანელებდნენ და წარმართავდნენ კოლექტივების მუშაობას და აკვირდებოდნენ უპატრონოთა ცხოვრების ყოველ დეტალს.

პ. დადიანი.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

საკ. კომპარტიის ცეკას ლოზუნგები

1) ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა თავისი წითელი არმია, პროლეტარიატის დიქტატურის შეიარაღებული დასაყრდენი. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

2) ათი წლისთავზე წითელი არმია მტკიცედ სდგას საბჭოთა კავშირის და მთელი ქვეყნის მუშათა სოციალისტურ აღმშენებლობის სადარაჯოზე!

3) წითელი არმიის ათი წლის თავი—საბჭოთა კავშირის ბრძოლის და თავდაცვის უნარიანობის შემოწმებაა.

4) საკავშირო კომპარტია წითელი არმიის ბელადი და მშენებელია. კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ მებრძოლი რიგები საკავშირო კომპარტიის და მის ლენინურ ცეკას გარშემო.

5) წითელარმიელი და წითელფლოტელი ერთგული ძლიერია საბჭოთა ქვეყნის, რომელიც აშენებს სოციალიზმს. სალამი წითელი არმიის და ფლოტის მებრძოლებს და მეთაურებს.

6) „ჩვენ შევქმენით არმია, რომელმაც პირველად ისტორიაში იცის, თუ რისთვის იბრძვის ის" (ლენინი).

7) მუშებო და გლეხებო! წითელი არმიის ათი წლისთავზე გახსოვდეთ ომის საფრთხე, შეისწავლეთ სამხედრო საქმე, შედით თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებაში, განამტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე.

8) გავაძლიეროთ დახმარება წითელ არმიისადმი და მზრუნველობა მასზე. მუშავ და გლეხო განამტკიცე კავშირი წითელ არმიასთან.

9) ათი წლისთავზე წითელი არმია ძმურ სალამს უძღვნის დასავლეთის მებრძოლ პროლეტარიატს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებს.

10) იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ მარტონი არა ვართ: ჩვენთან ერთად, ლენინის დროშის ქვეშ, თავს იყრის დასავლეთის და აღმოსავლეთის მშრომელთა ახალი რაზმები.

11) მთელი ქვეყნის მშრომელნო! შექმენით შრომის მთლიანი ფრონტი იმპერიალიზმის შემოტევის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ.

12) წითელი არმია მსოფლიო რევოლუციის შეიარაღებული რაზმია. გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

13) მუშა-კომისრების ხელმძღვანელობა და თავგანწირულ მებრძოლ-კომუნისტების პირადი მაგალითი წითელ არმიას უძლეველ ძალად გადააქცევს.

14) ჩვენ დავამარცხეთ უფრო ძლიერი მტერი მით, რომ „წითელი არმიის ორგანიზაციაში მშვენივრად იყო განხორციელებული პროლეტარული ხელმძღვანელობის თანმიმდევრობა და სიმტკიცე მუშათა და მშრომელ გლეხთა კავშირის ხელმძღვანელობის საქმეში ყველა ექსპლოატატორების წინააღმდეგ". (ლენინი).

15) მუშების, ღარიბ გლეხობის და საშუალო გლეხობის კავშირი სოციალიზმის გამარჯვებისათვის—საბჭოთა კავშირის ძლიერების და სიმტკიცის საფუძველია, მისი არმიის ძლიერების საფუძველია.

16) „წითელი არმია ცოცხალი განსახიერებაა სოფლის კავშირისა ქალაქის პროლეტარიატთან". (ვოროშილოვი).

17) კოლჩაკი და იუდენიჩი, დენიკინი და ვრანგელი—ყოფილ რუსეთის და უცხოეთის ბურჟუაზიის მსახურნი არიან. წითელმა არმიამ გადაისროლა ისინი საბჭოთა ქვეყნის საზღვრებიდან. გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციის ძლევამოსილ არმიას!

18) წითელმა არმიამ მტკიცედ გადაიტანა სიმშილი, სიცივე, ათასგვარი გაჭირვება და მსხვერპლი და სასტიკ ბრძოლაში გაარღვია კონტრ-რევოლუციის რგოლი და მოიგერია იმპერიალისტების შეიარაღებული იერიშები. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

19) სამარადისო ხსოვნა ბრძოლაში დაღუპულ გმირ წითელარმიელებს. ცოცხლებს მათ უანდერძეს რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება.

20) წითელარმიელო, წითელფლოტელო, წითელო მფრინავო! გააუმჯობესეთ თავისი სამხედრო მომზადება. იყავით სადარაჯოზე, ფხიზლად დაიცავით მსოფლიოში პირველ საბჭოთა ქვეყნის საზღვრები.

21) კომკავშირელებო—ემზადეთ მუშათა სახელმწიფოს დასაცავად. შეიძინეთ სამხედრო მომზადება. ჩადექით საბჭოთა კავშირის დამცველთა პირველ რიგებში.

22) მუშა და გლეხო ქალებო! დაგვეხმარეთ წითელი არმიის გამაგრებაში. შედით სამხედრო და სანიტარულ წრეებში. ემზადეთ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

23) კომკავშირელი—წითელი არმიის სამაგალითო დისციპლინიანი მებრძოლია.

24) პიონერო! წითელ არმიისაგან ისწავლე ბრძოლა მუშათა კლასის საქმისათვის.

25) წვევამდელნო და ცვალებადელნო! გააძლიერეთ თავისი სამხედრო მომზადება. მოემზადეთ მუშათა და გლეხთა საქმისათვის მებრძოლთა რიგებში ჩასადგომათ.

26) დეე არ დარჩეს არც ერთი მუშა და ღარიბი და საშუალო გლეხი, რომელსაც არ შეეძლება თავისი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაცვა იარაღით ხელში.

27) მარჯვეთ სროლა, ტყვიამფრქვევის და გაზის საწინააღმდეგო ნიღბის მოხმარება—აი რა უნდა ისწავლონ საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელებმა.

28) სამუშაო დღის შემცირება გამოვიყენოთ მუშების სამხედრო მომზადების გასაძლიერებლად.

29) ომის საფრთხის წინაშე პროფკავშირები გახდებიან პროლეტარიატის სამხედრო მომზადების მასიურ სკოლად.

30) არა ორი მილიონი, არამედ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების ათეული მილიონი წევრები—აი უპასუხებენ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მტრების მახინაციებს.

31) წითელი არმია საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა შეიარაღებული კავშირია.

32) საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია—მისი თავდაცვის უნარიანობის საფუძველია. პროლეტარო, გაადიდე შრომის ნაყოფიერება. განამტკიცე თავისი სახელმწიფოს თავდაცვის საქმე.

33) გავაძლიეროთ სამხედრო მრეწველობა. შევქმნათ თვითმფრინავების და ტანკების ახალი რაზმები. გავაძლიეროთ ვინტოვკების და ტყვიამფრქვევების წარმოება. მიუდგომელ ციხე-სიმაგრეთ გადავაქციოთ საბჭოების ქვეყანა.

34) სამეურნეო ზრდა—საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის საფუძველი. მთელი ძალები ქვეყნის მეურნეობის გამაგრებისათვის, წარმოების რაციონალიზაციისათვის და ბიუროკრატიზმის და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის!

35) წითელი ფლოტი ლენინურ პარტიის ხელმძღვანელობით დანგრეულ გემების სასაფლაოდან საბჭოთა ქვეყნის საიმედო მცველად გადაიქცა.

36) წითელი არმია ამზადებს არა მარტო მებრძოლებს. წითელი არმია სოციალიზმის სკოლაა მრავალ მილიონ გლეხებისა და მუშებისათვის.

37) ჩვენ შევქმენით არმიის მეთაურთა შემადგენლობა მუშებისა და გლეხებისაგან. გაუმარჯოს წითელ მეთაურს, წითელარმიელის ხელმძღვანელს და მეგობარს!

38) „არა მარტო წითელი არმია მთლიანად, არამედ წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობაც წარმოადგენს მუშათა კლასის და გლეხობის სისხლს და ხორცს". (ფრუნზე). სალამი ძველი არმიის სამხედრო სპეციალისტებს, რომელთაც თავისი ცოდნა და ენერგია წითელი არმიის აღმშენებლობას მოახმარეს.

40) „ჩვენი წითელარმიელი არ არის მეფის ძველი ჯარისკაცი, რომელიც იყო დაშინებული და დაბეჩავებული, რომელიც უბრალო მანქანას წარმოადგენდა უფროსების ხელში. ჩვენი წითელარმიელი—რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქეა". (ფრუნზე).

41. კომუნისტები იყვნენ, არიან და იქნებიან საერთაშორისო რევოლუციის გმირული მებრძოლნი, მუშათა ავანგარდები, მშრომელთა ხელმძღვანელნი სოციალიზმის აღმშენებლობაში და მის დაცვაში კლასობრივ მტრებისაგან.

42) 600.000 კომუნისტიდან სამოქალაქო ომის დროს 300.000 იბრძოდა წითელი არმიის რიგებში. კომუნისტები იყვნენ და იქნებიან წითელი არმიის ძირითადი კადრი.

43) საბჭოთა მთავრობა სამშვიდობო პოლიტიკას აწარმოებს. ძლიერი, ბრძოლის უნარის მქონე წითელი არმია არის ციხე-სიმაგრე, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადების ხალისს ართმევს იმპერიალისტებს.

44) ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, რომ ვაშენოთ სოციალიზმი. იმპერიალისტები გვიმზადებენ ომს, რათა ჩაშალონ ჩვენი მშენებლობა. მზად ვიყვეთ მტრების მოსაგერიებლად.

მზადება საზეიმო დღისათვის

როგორ უნდა ჩატარდეს საზეიმო დღე

მოსკოვი, 11 თებერვალი. პოლიტიკურმა სამმართველომ საჭიროდ სცნო, რომ მზადება წითელი არმიის ათი წლის თავისათვის ყველა სამხედრო, მუშათა და სასოფლო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ სამხედრო წიგნის, სამხედრო მასიურ ჟურნალ-ის და გაზეთების პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის წითელარმიელების, მუშების და გლეხების შორის. პოლიტიკური სამმართველო წინადადებას აძლევს ყველა სამხედრო ნაწილებს ჩაატარონ კონკურსი სამხედრო წიგნის საუკეთესო პროპაგანდისათვის. (ადს).

პოლიტსამმართველოს კომისიის მუშაობა

კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების უფროსის ამხ. ხნეგირევის ცნობით ერთი თვეა. რაც წითელი არმიის ათი წლის თავის მომზადების და ჩატარების გეგმის დასამუშავებლად მუშაობს სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: პოლიტსამმართველოს უფროსი, შტაბის უფროსი, საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების უფროსი, ტერიტორიალური დივიზიის და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ჯარების წარმომადგენელნი. გარდა ამისა მუშაობენ სპეციალური კომისიები რესპ. ცაკებთან და ადგილობრივი კომისიები.

პოლიტსამმართველოსთან მოწყობილ კომისიის მიერ ჩატარებულია შემდეგი მუშაობა: რეგულიარულად ეწყობა რადიო - მოხსენებები წითელი არმიის ორგანიზაციისა და მისი ისტორიის შესახებ. ამ ორ დღეში დაიწყება წითელარმიელთა კონფერენციები — გარნიზონებში. მოეწყობა აგრეთვე სპეციალურ წერილების დაგზავნა — წითელარმიელთა მშობლებთან ათი წლის თავის შესახებ. წითელი არმიის სახლში გაიხსნება წითელი არმიის მიღწევებისა და ტროფეების გამოფენა, სადაც დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი არმიის საბრძოლო გზა, მისი შეიარაღება, ულუფა, ტეხნიკური მიღწევები. პოლიტსამმართველოს შეკვეთით იწერება წერილები წითელი არმიის ისტორიაზე, იბეჭდება მოგონებები და სხვა. წლის თავისათვის გამოიცემა აგრეთვე ბროშიურები ეროვნულ დივიზიების ისტორიის შესახებ. ამავე დროს მზადდება მხატვრული პლაკატები.

„თბილისის პროლეტარიატი" და „საქართველოს პროფკავშირები"

მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავზე კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის № საჰაერო რაზმს გადაეცემა ორი სამხედრო თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი" და „საქართველოს პროფკავშირები".

თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი" აგებულია თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ იმ თანხებით, რომელიც შეგროვილ იქნა საზოგადოების ორგანიზაციების მიერ.

თვითმფრინავი „საქართველოს პროფკავშირები" აგებულია საქართველოს მშრომელთა შორის შეგროვილ თანხებით.

თვითმფრინავების გადაცემა მოხდება დღესასწაულის დღეებში თბილისის ჰაეროდრომზე.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დაუგზავნა რესპუბლიკანურ და საოლქო ორგანიზაციებს სადირექტივო წერილი იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ უკანასკნელებმა წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულში.

დღესასწაული გამოყენებული იქნება წევრების ჩასაბმელად პრაქტიკულ მუშაობაში. დისციპლინის გასამტკიცებლად, ახალი წევრების მისაზიდათ საზოგადოების რიგებში და სამოქალაქო და სამხედრო უჯრედებს შორის კავშირის გასამტკიცებლად.

დღესასწაულის დღეს ავიაქიმის ორგანიზაციები მოაწყობენ ომის ინსცენიროვკებს, საველე სროლას და შეჯიბრს სროლაში.

სამხედრო წრეები, ავიაქიმიური რაზმები, სასროლო ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას წითელი არმიის აღლუმებში.

დღესასწაულისათვის მოხდება თადარიგის მეთაურთა კურსების, სამხედრო წრეების ხელმძღვანელთა სემინარიების, ავიაქიმის კუთხეების და საზოგადოების მდივანთა კურსების საზეიმო გახსნა.

დღესასწაული გამოყენებულ იქნება აგრეთვე სამხედრო, ქიმიურ და საავიაციო ლიტერატურის გასავრცელებლად მშრომელთა ფართო მასებში.

ტერიტმშენებლობის გამოფენა

№ ქართ. მსრ. დივიზია საარმიო გამოფენაზე აწყობს განყოფილებას სახელწოდებით „ტერიტორიალური მშენებლობა საქართველოში".

განყოფილებაში წარმოდგენილ იქნება ყველა მასალები, რომლებიც ეხება ტერიტორიალურ სისტემის შემოღების პირველ დღეებს, მის განვითარებას და დღევანდელ მდგომარეობას.

დიაგრამებში და სქემებში ჰოცემული იქნება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოში მშრომელთა გასამხედროება.

ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების საკითხი

თათბირი პროფსაბჭოს დარბაზში

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში ქალაქში გახშირებულ უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად შესდგა შოფერების, ვატმანების, მილიციის, პროკურატურის და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლ. სუხიშვილი, აღმასკომის ადმინგანის უფროსი ამხ. ხმალაძე, ქალაქის კომენდანტი ლ. აბაშიძე და სხვები.

კრება გახსნა ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. სტეფანოვმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო კრების მოწვევის მიზანი.

კრებამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი, რის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ფილიპე მახარაძეს.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხ. ფ. მახარაძე, ეხება რა თბილისის ქუჩებში ნორმალური მოძრაობის მოწესრიგების საკითხს, აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომელნიც იწვევენ უბედურ შემთხვევებს. ამხ. ფ. მახარაძის აზრით, თბილისის ვიწრო და მრუდე ქუჩები შეუფერებელია ეტლებისა, ავტომობილებისა და ტრამვაის სწრაფი მიმოსვლისათვის. მით უმეტეს. რომ ქალაქის სწრაფი ზრდის გამო მცხოვრებთა მოძრაობა ქალაქის ქუჩებზე წლიდან - წლამდე მატულობს. ამჟამად თბილისში მცხოვრებთა რიცხვი 300 ათასს აღწევს, ხოლო თბილისში მომუშავე ავტომობილების რიცხვი 500 აღემატება. ცხადია, მცხოვრებთა ასეთი სიმრავლის და თბილისის ქუჩების სივიწროვის დროს საჭიროა განსაკუთრებული თადარიგი, რომ ადგილი არ ექნეს უბედურ შემთხვევებს. ასეთ თადარიგს ჩვენი ტრანსპორტის მუშაკების მხრით ვერ ვხედავთ. როგორც შოფერები, ისე ვატმანები ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ ჩვენი ქუჩების თავისებურ პირობებს და ავითარებენ ისეთ სისწრაფეს, რომლის დროს მიმავალ მოქალაქის სიცოცხლე საფრთხეში ვარდება. თავის გამართლება შოფერების მიერ იმით, რომ ზოგიერთი პირები მათგან მოითხოვენ სწრაფ სვლას. შესაწყნარებელი არ არის. სავალდებულო წესების დაცვა ევალება ყველას, ვინც არ უნდა იყოს იგი. რომელიმე პირის უმართებლო ბრძანება საპატიო მიზეზად და თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. ცხადია, კატასტროფების სიმრავლეს ხელს უწყობს მოქალაქეთა მიერ მოძრაობის წესების უცოდინარობა და დაუცველობა, მაგრამ პასუხისმგებლობა უფრო მეტად ეკისრება შოფერებს და ვატმანებს, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს კანონით გათვალისწინებულ მოძრაობის წესების დაცვა. ეხება რა ღონისძიებებს მოძრაობის მოსაწესრიგებლად, ამხ. მახარაძე აცხადებს, რომ უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ არის დამნაშავეთა დაპატიმრება და დაჯარიმება. საჭიროა თვით დაინტერესებულმა დაწესებულებებმა გამოიჩინონ მეტი ფხა და უნარი მოძრაობის სავალდებულო წესების დაცვის საქმეში. საჭიროა ტრანსპორტის ყველა მუშაკების — ვატმანების, შოფერების, მეეტლეების და აგრეთვე მილიციის საერთო შეთანხმებული მუშაობა მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. თავის მხრით მთავრობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოძრაობის მოწესრიგებას თბილისის ქუჩებში, დაეხმარება პრაქტიკულად ტრანსპორტის მუშაკებს მათ მიერ გამომუშავებულ ღონისძიებათა გატარების საქმეში. მთავრობა არ მოერიდება სასჯელს იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც გადაუხვევს სავალდებულო წესებს, რომელნიც ნორმალურ მოძრაობის მოსაწესრიგებლად არის გამოცემული.

ამხ. აზარნოის მოხსენება

კატასტროფის გამომწვევ მიზეზების შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. სამმართველოს წარმომადგენელმა აზარნოიმ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უბედურ შემთხვევებში დამნაშავენი არიან, როგორც საავტომობილო და სხვა ტრანსპორტის მუშაკები, ისე ფეხით მოსიარულე მოქალაქენიც, რომლებიც თავიანთი დაუდევრობის გამო ხშირად ხვდებიან კატასტროფის მსხვერპლი.

ამხ. ხმალაძის თანამოხსენება

თანამოხსენებით გამოვიდა აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ამხ. ხმალაძე. მან მოიყვანა სტატისტიკური ცნობები 1926—27 წ. მომხდარ კატასტროფების შესახებ.

ამხ. ხმალაძის ცნობით, ამ ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ტრამვაის, ავტომობილის და ეტლის კატასტროფის 54 შემთხვევას, რომლის დროს მოკვდა 6 კაცი, მძიმედ დაშავდა 17 და მსუბუქად დაშავდა 13 კაცი.

ამის შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოდის ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

ამხ. შალვა ელიავა, რომელიც ეხება გახშირებულ კატასტროფის მიზეზებს, კატასტროფებს არ მიაწერს მარტო შოფერების და ვატმანების დაუდევრობას. კატასტროფის მიზეზებათ ამხ. ელიავა ასახელებს ქუჩების სივიწროვეს, ცუდ საგზაო პირობებს, მოქალაქეთა მიერ მოძრაობის წესების უცოდინარობას და ტრანსპორტის მუშაკთა დაბალ კვალიფიკაციას. მოქალაქეების დიდი ნაწილი არ იცნობს და არ იცავს მოძრაობის სავალდებულო წესებს. რასაკვირველია, ეს არ ხსნის პასუხისმგებლობა იმ პირებს, რომელთაც ხელში ვაგონების და ავტომობილების საჭე უჭირავთ, მაგრამ სათანადო ორგანოებმა საჭიროა იზრუნონ იმისათვის, რომ ერთხელ და საბოლოოდ განამტკიცონ მოქალაქეებში შეგნება, რომ სავალდებულოა მოძრაობის წესების დაცვა უბედურ შემთხვევათ თავიდან ასაცილებლად.

საჭიროა პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოების მიერ ჩატარებულ იქნეს სათანადო კამპანიები სკოლებში, უნივერსიტეტებში, მუშათა კლუბებში. პროფორგანიზაციებში მოძრაობის დაცვის წესების შესახებ. ამავე დროს პრესამაც სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს. ასეთი ხასიათის საზოგადოებრივი მუშაობა მომხსენებლის აზრით შეიტანს უფრო მეტ დისციპლინას მოქალაქეთა მიერ მოძრაობის სავალდებულო წესების დაცვაში. ამასთან საჭიროა ტრანსპორტის მუშაკთა კავშირმა მიაქციოს ყურადღება თავის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებას და გათვითცნობიერებას. საჭიროა შოფერების კვალიფიკაციის სისტემატიური შემოწმება, მათი ფსიქო - ტეხნიკური გასინჯვა, მათი გადამზადება, განსაკუთრებით თბილისში მომუშავე შოფერებისა, რომელთაც ჩვენი ქუჩების სივიწროვის გამო უხდებათ მეტი ყურადღების, შრომისა და ენერგიის დახარჯვა. შოფერების ცოდნის ასამაღლებლად საჭიროა აუცილებლად გაიხსნას კურსები. შემდეგ მომხსენებელი საჭიროდ სთვლის ჩვენი ქუჩების განტვირთვას: ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში არ უნდა ხდებოდეს ურმების და დროგების მოძრაობა. აღმასკომმა უნდა მიიღოს ზომები აქ არანორმალობის მოსასპობად. პირველ ყოვლისა, საჭიროა მილიციამ შეითვისოს და შეიგნოს თავისი უფლება - მოვალეობანი მოძრაობის დაცვის საქმეში. ამისათვის აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა მილიციელთა ცოდნის ასამაღლებლად; მილიციელებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ მოძრაობის შესახებ. თუ გვსურს, რომ მათ დაიცვან თავისი მოვალეობა ამ დარგში. დასასრულ ამხ. ელიავა აუცილებლად სცნობს მოქალაქეთათვის მოძრაობის სავალდებულო წესების გამოცემას და სასტიკ ადმინისტრატიულ ღონისძიებების მიღებას ამ წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა აღმასკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილმა.

მოხსენებების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ორშაბათს, 13 თებერვალს, კრების პრეზიდიუმი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად გამოიმუშავებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს.

ჩაის მეურნეობის 5 წლიანი გეგმა

უახლოეს ხუთი წლის (1928—1932 წლების) განმავლობაში საქართველოში ჩაის ახალი პლანტაციები სულ გაშენებული იქნება 16.500 დესეტინაზე. აქედან ახალი პლანტაციები გაშენებული იქნება: აჭარისტანში — 2245 დესეტინაზე, გურიაში — 6565 დეს., სამეგრელოში—6010 დეს., აფხაზეთში—1680 დესეტინაზე.

მიმდინარე წელს გაშენებული იქნება სულ 1500 დესეტინა. აქედან: აჭარისტანში—500 დესეტინა, გურიაში—700 დესეტ., სამეგრელოში — 400 დესეტინა და აფხაზეთში—100 დესეტინა. ამჟამად მთელ საქართველოში გაშენებულ პლანტაციების სივრცე უდრის 1758 დესეტინას.

ჩაის პლანტაციების სივრცის გაფართოებასთან ერთად იწარმოებს ჩაის გადამამუშავებელ ქარხნების გაფართოება და ახალი ქარხნების აგება.

აგრეთვე მოეწყობა საცდელი მუშაობის საწარმოებლად ახალი ლაბორატორიები და სანიმუშო მეურნეობები.

ჩაის მეურნე გლეხებს ჩაის პლანტაციების გასაშენებლად მიეცემათ სესხი თითო დესეტინაზე 400 მანეთი. სესხი მიეცემათ 5 პროცენტის დარიცხვით 8 წლის ვადით.

უკვე დაწყებულია ჩაის მეურნეობის ინსტრუქტორთა და ტეხნიკოსთა მომზადება, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ჩაის მეურნე გლეხებს მუშაობაში.

აგრეთვე სწარმოებს ჩაის თესლეულობის დამზადება ადგილობრივ. ამასთან ერთად ჩაის თესლი გამოწერილია ინდოეთიდან და ჩინეთიდან.

მეცნიერება და ტეხნიკა

ვილჰელმ კონრად რენტგენი

(გარდაცვალებიდან 5 წლის შესრულების გამო)



10 თებერვალს შესრულდა 5 წელი, რაც გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი რენტგენი. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ დარჩენილა დედა-მიწაზე არც ერთი კუთხე, სადაც რენტგენის სახელი და მის მიერ აღმოჩენილი სხივებით სარგებლობა არ იყოს ცნობილი და გავრცელებული.

რენტგენი დაიბადა 1845 წლის 27 მარტს. ახალგაზრდობის პირველი ხანა მან გაატარა ჰოლანდიაში. აქ ის სწავლობდა ქ. უტრეხტის გიმნაზიაში, რომელიც მან ვერ დაამთავრა. რადგანაც იძულებული იყო მიეტოვებინა ეს სასწავლებელი — მას ან უნდა გაეცა თავისი ამხანაგები, რომლებსაც ბრალდებოდა რაღაც ჩხუბი ან და უნდა წასულიყო სასწავლებლიდან. რენტგენმა უკანასკნელი არჩია.

ეს გარემოება მას ართმევდა სწავლის გაგრძელების საშუალებას, რადგან საშუალო სასწავლებლის დაუმთავრებლად მას უნივერსიტეტში არ იღებდნენ. ამის გამო ის იძულებული იყო 1865 წ. შესულიყო ციურიხის (შვეიცარია) პოლიტეხნიკუმში, სადაც უატესტატოდ იღებდნენ სტუდენტებს. პოლიტეხნიკუმში რენტგენს არ გამოუჩენია. განსაკუთრებული უნარიანობა და ბეჯითობა. მას უფრო იტაცებდა შვეიცარიის მშვენიერი ბუნება, დაუსრულებელი თავისი სიმშვენიერით, ფიზიკას ის, შემდეგ [illegible] ფიზიკოსი, გადიოდა სხვათაშორის და კერძოდ ექსპერიმენტალურ ფიზიკას, რომელშიც შემდეგში ის პირდაპირ სწორუპოვარი შეიქნა, სრულებით არ გადიოდა.

პოლიტეხნიკუმის დამთავრების შემდეგ (1868 წ.) ის მუშაობს გამოჩენილ ექსპერიმენტალურ ფიზიკოს კუნდტთან. რომელსაც მალე ფიზიკა ჩააბარა დოქტორის ხარისხზე. შემდეგ კუნდტთან ერთად (მისი ასისტენტის სახით) ის მიდის ვიურცბურგის უნივერსიტეტში და ძლიერ ცდილობს პრივატ - დოცენტობის მიღებას, მაგრამ, მიუხედავათ კუნდტის ცდებისა, ეს ვერ ხერხდება, რადგან ამ უნივერსიტეტის ძველ, გაქვავებულ ტრადიციებს და წესებს ვერ აკმაყოფილებდა ატესტატის არ მქონე რენტგენი. ვიურცბურგში ამავე დროს მან ცოლი შეირთო და ოჯახს მოეკიდა.

პრივატ - დოცენტობის მიღება მან მოახერხა მხოლოდ შტრასბურგში — ეს ქალაქი ამ ხანებში დაუბრუნდა გერმანიას და აქაურ უნივერსიტეტში არ იყო ისეთი დაძველებული და გაქვავებული წესები. ეს იყო 1875 წ. ამის შემდეგ რენტგენს ფართოთ გაეხსნა გზა სამეცნიერო ასპარეზზე.

1876 წელს ის უკვე ექსტრაორდინალური პროფესორია, 1879 წელს ის იღებს ფიზიკის ორდინარული პროფესორის ხარისხს ქ. გისენში. გისენში რენტგენმა თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღეები გაატარა და აქვე დაებადა მას ის საუკეთესო იდეები, რომლებიც შემდეგში განავითარა და განახორციელა.

1888 წელს ის მიიწვიეს ამავე თანამდებობაზე ვიურცბურგში, სადაც ერთ დროს მას ასე შეუკვეცეს დაწინაურების სურვილი და მთელი ცდები.

1895 წელს რენტგენმა აღმოაჩინა X—სხივები, რომლებსაც შემდეგში დაერქვა რენტგენის სხივები.

შემდეგ რენტგენი მიიწვიეს მიუნხენის უნივერსიტეტში იმავე თანამდებობაზე, სადაც მან დაამთავრა თავისი მოღვაწეობა — 1920 წელს 75 წლის მოხუცს სიბერის გამო უნდა მიეტოვებია სამოქმედო ასპარეზი.

ამ ღრმა მოხუცებამდე ის აღსავსე იყო ენერგიით და შემოქმედებითი უნარით. მისი დამახასიათებელი თვისება—რასაც აღმოაჩენდა, მას დაამუშავებდა ხავსებით, დაწვრილებით და არ აქვეყნებდა თავის შრომებს, სანამ მათ აბსოლიუტურ ჭეშმარიტებაში არ დარწმუნდებოდა ხანგრძლივი დაკვირვებით და აუარებელი ცდებით.

ამიტომ არის, — არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას თავისი სიტყვა უკან წაეღოს, რომ ის, რასაც ის ამტკიცებდა მართალი არ გამოდგარიყო.

არაჩვეულებრივი ექსპერიმენტატორის ნიჭით დაჯილდოვებული ის ისე აწყობდა მეცადინეობას სტუდენტებთან, რომ მიუხედავათ მისი გადმოცემითი უნარის სიმწირისა, ყოველთვის დიდად იზიდავდა მსმენელებს.

რენტგენმა დატოვა დაახლოვებით 50 შრომა ფიზიკის სხვადასხვა დარგებიდან. მრავალი ამ შრომათაგანი წარმოებულია სულ უბრალო აპარატებით და მთელ შავ მუშაობას თავისი ექსპერიმენტალური შრომების დროს თითონ ასრულებდა.

X-ს სხივების აღმოჩენა მოხდა თითქმის შემთხვევით. ლენარდის ცდების განმეორების დროს კათოდიანი სხივებით მოულოდნელად შეამჩნია ახალი მოვლენა — ახალი სხივები, რომლებსაც მან უწოდა X-ს სხივები. სანამ გამოაქვეყნებდა თავის აღმოჩენას, რენტგენმა დაწვრილებით შეისწავლა ამ X-ს სხივების თვისება—მაგ. მათი გავლენა ფლუორესცეიურ ფირფიტაზე და საერთოდ ფლუორესცეიურ საგნებზე, ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, სხივების სწორხაზოვნად გავრცელება, აგრეთვე ის, რომ ამ სხივებს ვერ გადახრის (არ გადატეხავს) ანდამატი, მეორადი სხივების აღმოცენება, ის, რომ სხვადასხვა საგნები სხვადასხვა სიძლიერით ნთქავენ ამ სხივებს, ჰაერის იონიზაცია ამ სხივების წყალობით და სხვ.

ვიურცბურგის უნივერსიტეტის ანატომის კიოლიკერის წინადადებით ამ სხივებს დაერქვა რენტგენის სხივები. თუმცა რენტგენს თავიდანვე ესმოდა ამ სხივების უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ პირველი 10 წლის განმავლობაში მაინც ცოტა რამ გააკეთა მისი პრაქტიკული გამოყენებისა და გავრცელების მხრივ.

აუარებელი ფირმებისაგან მოსდიოდა რენტგენს წინადადება მისი აღმოჩენის პრაქტიკულად დამუშავების შესახებ, მაგრამ ის არ დათანხმდა არც ერთ ასეთ წინადადებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მას დიდ მატერიალურ კეთილდღეობას უქადდა. თავისი უანგარობა, მტკიცე ნებისყოფა და გულწრფელი სიყვარული მეცნიერებისადმი მას ბოლომდე შერჩა.

დღეს რენტგენის სხივები შემოღებულია არამც თუ ფიზიკაში, — ის აუცილებელია მინერალოგია - კრისტალოგრაფიაში და მეტალურგიაში, ევროპაში დღეს სპეციალური ინსტიტუტია, სადაც რენტგენის სხივებით ლითონების სტრუქტურას სწავლობენ, განსაკუთრებით ფოლადისა და რკინის სტრუქტურას. მრეწველობაში, მაშასადამე, მას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რენტგენის სხივებმა თითქმის ახალი ხანა შექმნეს მედიცინაში, სადაც ის იხმარება დიაგნოსტური და თერაპიული მიზნით. კიბოს წამლობა სხივებით უკვე საყოველთაოდ არის მიღებული.

მიუხედავათ იმისა, რომ სიცოცხლეშივე მიაღწია რენტგენმა დიდ სახელს, ის ბოლომდე ისეთივე დარჩა, როგორც მუდამ იყო: უბრალო, სამაგალითო მეოჯახე, თავაზიანი, პატიოსანი, უანგარო და კეთილი, მან მიიღო ყველა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი (ნობელის პრემია და სხვ.) და ყოველთვის სასტიკი მტერი იყო საზეიმო პატივისცემისა და საზეიმო ხმაურისა. მას იცნობდენ მხოლოდ მასთან დაახლოვებული პირები — ის ან მუშაობდა თავის დაწესებულებაში, ან და სცხოვრობდა სოფელში ქალაქის ხმაურისაგან მოშორებით.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ის გარდაიცვალა 1923 წლის 10 თებერვალს.

პროფ. გ. ლამბარაშვილი.

ძეგლი რენტგენს

დღეს, ლენინგრადში, რენტგენის გარდაცვალების 5 წლის თავის შესრულების გამო გახსნილი იქნება რენტგენის ძეგლი (პირველი საბჭოთა კავშირში), რომელიც შესრულებულია მოქანდაკე სინაისკის და მხატვარ ალტმანის მიერ.

ქიმიური სასუქი გერმანიის სოფლის მეურნეობაში

(ჩვენი ბერლინელი კორესპონდენტისაგან)

ფიზიოლოგიის (მეცნიერება, რომელიც შეისწავლის პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვთ მცენარეთა ან ცხოველთა ორგანიზმში) წარმატებებმა ცხადჰყო, რომ მცენარეს წესიერათ განვითარება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმაო რაოდენობით იღებს მისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებებს. განსხვავებური ელემენტები, რომლებიც შედის მცენარის ცოცხალ უჯრედებში—მჟავბადი. წყალბადი, აზოტი და ნახშირ-მჟავა,—მეტი თუ ნაკლები რაოდენობით მოიპოვება ჰაერში. მაგრამ მცენარეს უშუალოდ ჰაერიდან შეუძლია მიიღოს მხოლოდ მჟავბადი და ნახშირ-მჟავა; დანარჩენ გაზების მიღება მცენარეს შეუძლია მხოლოდ მაგარ შენაერთებისაგან. რომლებშიც ეს გაზები შედის შემადგენელ ელემენტების სახით. (მაგ. აზოტი, სელიტრის სახით და სხვ.).

მინერალურ ნივთიერებათაგან მცენარისათვის საჭიროა კალციუმი, კალიუმი, ფოსფორი, გოგირდი, რკინა და მაგნიუმი. ყველა ეს ელემენტები, აზოტის შენაერთების დამატებით, უნდა მოიპოვებოდეს ნიადაგში, რათა მცენარემ შესძლოს ზრდა და განვითარება. თუ ნიადაგი მდიდარია ამ ნივთიერებებით, იგი ნაყოფიერი იქნება. რამდენადაც მეტი იქნება ნიადაგში აზოტი, ფოსფორი, კალიუმი და სხ. მით უფრო მეტ მოსავალს მოგვცემს იგი. ზემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან თუგინდ ერთის ნაკლებობა იწვევს ცუდ მოსავლიანობას. ბუნებრივ პირობებში ყველა ეს ნივთიერებათაგანი თითქმის თანაბრადაა განაწილებული ნიადაგში, რადგან მცენარეულობის ნაშთების ყოველწლიური მონარჩენი უბრუნებს ნიადაგს იმას, რაც მცენარემ ამოსწოვა იქიდან თავისი ზრდის პროცესში. მაგრამ ეს არ ითქმის მიწის იმ ნაკვეთებზე, სადაც ხარობს კულტურული მცენარეები, რომლებიც მიაქვთ ამ ნაკვეთიდან და ადამიანისა და ცხოველების საკვებათ ხმარობენ. ასეთი ნიადაგი წლიდან წლამდე ჰკარგავს თავის საკვებ ელემენტებს, იფიტება, „იღლება" და მოსავალიც თანდათანობით უარესდება. რომ ასეთ ნიადაგს დაუბრუნდეს მისი ძველი ნაყოფიერება, იგი ან უნდა „დაასვენონ" (და ამრიგად უქმად დასტოვონ მიწა, რომელსაც შეეძლო, სხვა პირობებში, სარგებლობის მოტანა) ან მასში შეტანილი უნდა იქნეს საჭირო საკვები ელემენტები. საჭიროა მისი განოყიერება.

წინათ ფიქრობდენ, რომ ნაკელი, რომელსაც ჩვეულებრივ ხმარობდნენ მიწის გასანოყიერებლად, შეიცავს დიდი მოსავლის მისაღებათ საჭირო ყველა საკვებ ელემენტებს. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. ზოგიერთი საკვები ნივთიერებანი ნაკელში დიდის რაოდენობით მოიპოვება, დანარჩენები კი ცოტაა. ნაკელით განოყიერებულ ნიადაგში შეიძლება ძლიერ ბევრი აღმოჩნდეს, ვთქვათ, აზოტი, მაგრამ თუ მასში ცოტაა ფოსფორი, განოყიერება ნაყოფს არ გამოიღებს და მოსავალი ისეთი იქნება, თითქო მიწა არც მოუნაკელებიათო.

ამიტომ უკანასკნელ ხანებში აგრონომია—მეცნიერება სასოფლო მეურნეობის წესიერად გაძღოლის შესახებ—მიმართავს განოყიერებას სხვადასხვა მინერალური ნივთიერებებით ნიადაგისათვის საჭირო რაოდენობით. იმის გამოსარკვევათ, თუ რა ნივთიერებებს საჭიროებს ნიადაგი, ახდენენ მიწის ანალიზს. ანალიზის საშუალებით იგებენ, თუ რა ნივთიერება მოიპოვება მიწაში საკმაო რაოდენობით, რა აკლია და ამისდა მიხედვით არკვევენ მინერალური სასუქის საჭირო შემადგენლობას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სასუქის შემადგენლობა არ შეიძლება ერთგვარი იყოს. თვითეული რაიონისათვის საჭიროა განსაკუთრებული შემადგენლობის სასუქი. ბოლქვებიანი მცენარეებით დათესილი მინდორი სასუქათ მოითხოვს მეტ კალიუმს, ხორბლეულ მცენარეებისათვის კი საჭიროა მეტი ფოსფორი. ამიტომ, რომ გამოირკვეს სასუქის სწორი შემადგენლობა მიწის ამა თუ იმ ნაკვეთისათვის, საჭიროა ამ მიწების ნიმუშების ყოველმხრივი ანალიზი.

ცდებით დამტკიცდა. რომ ზოგიერთ მინერალურ მარილების შემადგენლობა ნიადაგში მეტად უმნიშვნელო ფარგლებში მერყეობს. ნიადაგი ძლიერ განირჩევა ერთმანეთისაგან მხოლოდ აზოტოვან შენაერთების (კალიუმის და ფოსფორის) შენაერთებით. ამიტომ აზოტოვანი შენაერთები წარმოადგენენ ნიადაგის მთავარ სასუქს. თუ რომელი სასუქი უნდა იქნას გამოყენებული ყოველ ცალკე შემთხვევაში, ამას გვიჩვენებს ნიადაგის ანალიზი.

ომამდე აზოტოვან სასუქების მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ სელიტრის ბუდობები ჩილის რესპუბლიკაში (სამხრეთ-ამერიკაში). ომმა, რომელმაც გერმანია მოსწყვიტა აზოტის ამ წყაროებს, მწვავედ წამოაყენა აზოტოვან სასუქების ხელოვნურად დამზადების საკითხი. ჰაერიდან აზოტის სიმრავის მოპოვების წესი, აღმოჩენილი ბირკელანდისა და ეიდეს მიერ ცნობილი იყო ჯერ კიდევ ომამდე. მაგრამ ეს წესი ძლიერ ძვირია, მოითხოვს დიდძალ ელექტრონის ენერგიას და ამიტომ ცოტათ თუ ბევრად ფართო გავრცელება ჰპოვა მხოლოდ შვეციაში და ნორვეგიაში. სადაც წყლის ვარდნის ძალის გამოყენების წყალობით, ელექტრონის ენერგია იაფია (ამიტომ ამ წესით მიღებულ აზოტოვან სასუქს „ნორვეგიის სელიტრას" უწოდებენ). გერმანიის ქიმიკოსები საკითხის გადაჭრას სულ სხვა მხრიდან მიუდგენ. მათ მთელი ყურადღება მიაქციეს იმას, რომ აზოტოვანი შენაერთები მიეღოთ ჰაერიდან, უკანასკნელზე ქიმიური ზეგავლენის მოხდენით მაღალი წნევის პირობებში. ამ მიმართულებით გერმანელმა ქიმიკოსებმა ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს. პროფესორებმა ბოშმა და გაბერმა შეიმუშავეს ჰაერიდან სელიტრის მიღების საიმედო და იაფი წესი, რომელიც მათ სახელს ატარებს.

მაღალ წნევის (1.500 ატმოსფერამდე) საშუალებით გაბერი და ბოში და მათი მრავალრიცხოვანი მიმბაძველები ჰაერიდან პოულობენ ამმიაკს, რომელიც იქცევა აზოტის მჟავათ. უკანასკნელი კი წარმოადგენს „ნედლეულს" სასუქ ნივთიერებათა (სელიტრის) დასამზადებლად. ამმიაკის მოპოვება გაბერისა და ბოშის წესით ამჟამად გადაიქცა გერმანიის მრეწველობის მნიშვნელოვან დარგად, რომელიც არა მარტო აკმაყოფილებს შინაურ მოთხოვნილებას, არამედ თავისი პროდუქცია უცხოეთშიც გააქვს.

კალიუმის სასუქს ამზადებენ ზოგიერთ მთის ჯიშებიდან, რომლებიც ელზასში მოიპოვება (კარნალიტი, სელვინიტი, კაინიტი და სხ.). ეს ჯიშები საქარხნო წესით გადამუშავების შემდეგ იყიდება ქლოროვან კალიუმის სახელწოდებით.

ფოსფორის სასუქს ორგვარი წესით ამზადებენ. ფოსფორი მზადდება, როგორც მონარჩენი პროდუქტი ტომასის წესით ფოლადის დამუშავების დროს (ფოსფორი წარმოადგენს მეტად მავნე ნარევს ფოლადში, ფოსფორიანი ფოლადი ძლიერ ცუდი ხარისხისაა. ამიტომ ფოლადის დამუშავების დროს ცდილობენ მის გაწმენდას ფოსფორიდან). ტომასის წესით ფოსფორს ფოლადიდან ნდევნიან გამდნარი სახით. გამაგრების შემდეგ მას ფქვავენ და ჰყიდიან „ტომას-შლაკის" სახელწოდებით.

ფოსფორის სასუქის მეორე წყაროს წარმოადგენს ფოსფორიტები—მთის ჯიში, რომელიც ფოსფორის დიდ პროცენტს შეიცავს მაგრამ ფოსფორი, რომელიც ფოსფორიტებში მოიპოვება, წყალში არ იშლება და ამიტომ მისი უშუალოდ მოხმარება მიწის სასუქად არ შეიძლება. ამიტომ ფოსფორიტებს ამუშავებენ გოგირდის სიმჟავის საშუალებით, რომელიც ფოსფორს შლის. მიღებულ პროდუქტს ფქვავენ და ჰყიდიან სუპერ-ფოსფატის სახელწოდებით.

მიუხედავათ ხელოვნურ სასუქების მრეწველობის განვითარებისა, გერმანიის გლეხობის ფართე მასები ვერ სარგებლობენ გერმანიის მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევებით. ხელოვნურ სასუქების დამზადება გერმანიაში ხელში აქვს ჩაგდებული მრეწველთა მცირე ჯგუფს. რომელიც თავისი სურვილების მიხედვით აწესებს ფასებს შინაურ ბაზარზე. ვალებით დატვირთულ გლეხობის უმეტეს ნაწილს არ ძალუძს ხელოვნური სასუქის ყიდვა, ისე რომ ახალი ვალებით არ დაიყულოს და გლეხობა იძულებულია ხელი აიღოს მიწის განოყიერებაზე. ამიტომ მიწის დიდ სივრცეებს არ მოაქვს ის შემოსავალი, რომლის მიცემა მას შეეძლო წესიერი განოყიერების პირობებში აქ ჩვენ წინაშე არის ნიმუში იმისა, თუ როგორ აბრკოლებს კაპიტალიზმი სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას. სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებს. მშრომელი [illegible] ფენების კეთილდღეობის გადიდების ინტერესებს წინ ეღობება ერთი მუჭა კაპიტალისტების ჯიბის ინტერესები.

ა. პ—ლი.

ბერლინი, 28 იანვარი.

ინჟ. ბოდენის აეროსტატი

ფრანგმა ინჟენერმა ბოდენმა ააგო ახალი საჰაერო ხომალდი, რომლის თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მიწაზე დაუშვებლად ფრენა რამდენიმე კვირის განმავლობაში. არსებულ ჰაეროსტატების ფრენის ხანგრძლივობა განსაზღვრულია იმით რომ მფრინავი ფრენის სიმაღლის მოწესრიგების მიზნით, დროგამოშვებით უშვებს გაზის ნაწილს. ამის გამო, გაზის მარაგი ილევა, ჰაეროსტატის ზევით საფრენი ძალა სუსტდება და მფრინავი იძულებულია დაბლა დაეშვას. ინჟენერ ბოდენის ჰაეროსტატში გაზის რაოდენობა უცვლელი რჩება. სიმაღლის მოწესრიგება კი—შემდეგნაირად ხდება: ჰაეროსტატი მომარაგებულია განსაკუთრებული „საჰაერო ტომრით", რომელიც ისეა დახურული, რომ იქედან ჰაერი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოვა. როდესაც მფრინავს სურს დიდ სიმაღლეზე აფრენა, ის ამუშავებს სპეციალურ გამთბობ მოწყობილობას, რომლის საშუალებით ტემპერატურა „საჰაერო ტომარში" იწევს. ჰაერი მსუბუქდება და ჰაეროსტატიც ადის საჭირო სიმაღლეზე. დაბლა დასაშვებათ. მფრინავი აჩერებს გამთბობ მოწყობილობის მუშაობას. ჰაერი „საჰაერო ტომარში" ცივდება და ჰაეროსტატი ეშვება დაბლა. ამრიგად—ჰაეროსტატის გაზის მარაგი უცვლელი რჩება და მფრინავს შეუძლია დარჩეს ჰაერში იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებს.

პლანერების შეჯიბრი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქ. რინიში (გერმანია) გაიმართა პლანერების (უმოტორო ჰაეროპლანების) შეჯიბრი, რომლის დროსაც დამყარებულ იქნა მთელი რიგი ახალი რეკორდები. შეჯიბრს აურიცხელი ხალხი დაესწრო. და მასში მონაწილეობა მიიღო 70 პლანირმა. შეჯიბრში მონაწილე მთელი რიგი პლანერები სრულიად ახალი კონსტრუქციის იყო და შესანიშნავი საფრენი თვისებები ჰქონდა. პირველი ადგილი შეჯიბრში დაიკავა ცნობილმა გერმანელმა პლანერისტმა ნერინგმა, რომელმაც თავისი ახალი კონსტრუქციის პლანერით—„დარმშტადტ"-ით დაამყარა ფრენის სიშორის ახალი მსოფლიო რეკორდი. ნერინგმა თავის პლანერით მიწაზე დაუშვებლად გაიარა 52 კილომეტრი. ფრენა გაგრძელდა 1 საათი და 10 წ. ნერინგმა შეასრულა აგრეთვე შესანიშნავი წრისებური გაფრენა. ის აფრინდა სტარტიდან, გაიარა 7 კილომეტრი და დაბრუნდა უკან. წრისებური გაფრენა პლანერით ძლიერ ძნელია, რადგან პლანერი, რომელიც სარგებლობს ქარის ძალით, ძლიერ შეზღუდულია მიმართულების არჩევაში.

დედამიწა არა თანაბრად ბრუნავს

უკვე დიდი ხანია ასტრონომებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საათები დედამიწის ბრუნვასთან შეფარდებით შემოწმების დროს უჩვენებდნენ არა სწორ დროს, რაც არ შეიძლებოდა ახსნილი ყოფილიყო საათის მექანიზმის არა წესიერი მუშაობით, ამერიკელმა ასტრონომმა პროფ. ბოსმა დაამტკიცა. რომ ზუსტ საათების არასწორი მუშაობა მოჩვენებითია და გამოწვეულია დედამიწის არათანაბარი ბრუნვით, ბოსის გამოკვლევით, არის პერიოდები, როცა დედამიწის ბრუნვის სისწრაფე კლებულობს, რის შემდეგ ბრუნვა კვლავ იწყებს აჩქარებას, თითქოს დედამიწა ცდილობს დანაკლისის „ანაზღაურებას".

პატარა ელექტრო-სადგური



რენოს ცნობილმა საავტომობილო ფირმამ გასაყიდათ გამოუშვა ძლიერ პატარა აგრეგატი (მამოძრავებლის შეერთება დინამო-მანქანასთან), განსადეგი ელექტრო - განათების მოსაწყობათ იმ ადგილებში, სადაც ცენტრალური სადგური არ მოიპოვება. აგრეგატი ნაჩვენებია აქვე მოყვანილ სურათზე. მოტორის სიმძლავრე უდრის ერთ ცხენის ძალას, მისი მოწყობილობა მეტად მარტივია (აქვს ერთი ცილინდრი), საწვავი მასალა (ბენზინი ან ნავთი) იხარჯება სულ 0.6 ლიტრი საათში.

აგრეგატი ჰკვებავს აკუმულიატორულ ბატარეას და რჩება ცოტაოდენი ზედმეტი ენერგია, რომლის გამოყენება შესაძლებელია წყლის გადმოსაქაჩავად პირსაბანში ან ვანებში.

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ მამოძრავებელი არ მოითხოვს თითქმის არავითარ მოვლას. რეზერვუარის საწვავი მასალით გავსების და ნაწილების გაზეთვის შემდეგ, პატრონს თავისუფლად შეუძლია წასვლა სახლიდან. როცა აკუმულიატორები დაიტენება, მოტორი ავტომატიურად გაჩერდება, ბატარეის დაცლასთან ერთად, მოტორი კვლავ იწყებს მუშაობას, ავტომატიურად.

კასპიის ზღვის დონეს დაწევა

რუსულ ყოველთვიურ სამეცნიერო ჟურნალ „პრიროდა"-ში მოყვანილია საინტერესო ცნობები კასპიის ზღვის დონეს დაკლების შესახებ, რაც აბრკოლებს ნაოსნობას და მეთევზეობას, უკანასკნელ 8 საუკუნის განმავლობაში კასპიის ზღვის დონემ ბაქოს მიდამოებში სწრაფად აიწია ოცი მეტრით. და შემდეგ თანდათანობით დაიწია პირვანდელ მდგომარეობაზე. 75 წლის წინად ზღვის დონემ კვლავ იმატა სამი მეტრით, რის შემდეგ განუწყვეტლივ კლებულობდა და შემცირდა 8 მეტრით. მცირეოდენი აწევის შემდეგ წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კასპიის ზღვის დონემ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში დაიკლო ორი მეტრით. კასპიის ზღვის სიღრმის ცვალებადობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს [illegible] ციხე, რომელიც ოდესღაც ბაქოს [illegible] და ზღვიდან, შემდეგ იგი წყალმა დაფარა და აღარ სჩანდა. ამჟამად კი ამ ციხის ნანგრევები ნათლად მოსჩანს ზღვის წყალში.

ინჟ. ა. ფონ-პრისკის გამოგონება



[illegible] ლის ან დოკუმენტის საიდუმლო ნიშნებით ჩაწერი) და შიფრის გამხსნელი აპარატი. რომელიც გამოიგონა ახალგაზრდა ბერლინელმა ინჟენერმა ალექსანდრე ფონ-პრისკმა.

აპარატი წარმოადგენს ჩვეულებრივ საბეჭდ [illegible] ელექტრონის იავთულებით შეერთებულ დამშიფრავ აპარატთან, რომელიც ჩვეულებრივ ტექსტს ავტომატიურად ჩასწერს შიფრით. ასეთივე წესით ეს საბეჭდი მანქანა დაშიფრულ წერილებს და დეპეშებს გადასწერს ჩვეულებრივ ტექსტად.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მევენახეობის აღდგენა

თელავი, 10 თებერვალი. წინანდლის სახალხო მამულის მმართველობა ენერგიულად მუშაობს კახეთის მევენახეობის აღსადგენად. მამულს აქვს ხუთი სათბური და ყოველწლიურად ამზადებს ერთ მილიონზე მეტ სამყნობ ყლორტს, რომლის უმრავლესობა ხმარდება გლეხთა ვენახების აღდგენას.

ამჟამად წინანდლის სახ. მამული მიწების სასწრაფო მუშაობას აწარმოებს ახალი ვაზების დასარგველად. ასეთი მუშაობა გათავებულია 13 დესეტინა მიწაზე. სულ მიმდინარე წელს საკუთარ რჩეულ ნამყენ ვაზს ჩაჰყრის 20 დესეტინიან მამულში. წინანდლის მამულს გლეხებმა და დაწესებულებებმა 200.000-ზე მეტი სამყნობი ყლორტი სთხოვეს (ადს).

ზამთარი კახეთში

თელავი, 10 თებერვალი. მთელი კახეთი დაფარულია ღრმა თოვლით. ათგრადუსიანი ყინვებია. ხშირია მგლების თავდასხმა საქონელსა და ადამიანებზე (ადს).

ახალი აგრონომიული პუნქტი

თელავი, 10 თებერვალი. სოფელ ახალგავაზში შეუდგნენ ახალი აგრონომიული პუნქტის მოწყობას.

სახლების ჩამონგრევა

ცხინვალი, 10 თებერვალი. ცხინვალში მიღებული ცნობებით, ორტევებლოტის რაიონში თოვლმა დაანგრია ოთხი სახლი. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. (ადს).

აჭარისტანი

ტრამვაის და კანალიზაციის გაყვანის პროექტი

ბათომი, 10 თებერვალი. ქალაქის აღმასკომმა საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიას წარუდგინა ბათომში ტრამვაის მიმოსვლის მოწყობის და კანალიზაციის გაყვანის პროექტი. პროექტი უკვე განიხილა და დამტკიცა სააღმშენებლო-ტექნიკურმა კომისიამ. მთელი ხარჯები ნავარაუდევია 3.200.000 მან. რაოდენობით. მიმდინარე წელში ამ ხარჯებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებულ იქნება 500.000 მან. (ადს).

კომუნალური მშენებლობა

ბათომი, 10 თებერვალი. 1926—27 საოპერაციო წელში ბათომის ქალაქის აღმასკომმა სააღმშენებლო მუშაობისათვის დახარჯა 480.028 მანეთი. ამ ხარჯებით ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: 12 სკოლის შენობის რემონტი, სამი ახალი სახლის აგება, ქუჩების და ფილაქნების რემონტი, ელექტრონის ქსელის გაფართოება, თეატრის შენობის რემონტი, ქალაქის დაგეგმვა და სხ.

შედგენილი და დამტკიცებული გეგმის მიხედვით მიმდინარე 1927—28 საოპერაციო წელში სააღმშენებლო საჭიროებისათვის განზრახულია დაიხარჯოს 1.030.857 მან., აქედან ახალ მშენებლობაზე 739.159 მანეთი. (ადს).

წერილები

ყველას უნდა მოეთხოვოს სათანადო პასუხი

ამა თუ იმ ორგანიზაციაში არჩეული პიროვნება, რომელსაც დაკისრებული აქვს ორგანიზაციის საქმიანობის გაძღოლა, პასუხისმგებელია როგორც ამომრჩევლების წინაშე, ისე საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობის წინაშეც. თუ ასეთ პირს სათანადოდ არა აქვს შეგნებული პასუხისმგებლობის გრძნობა, ის ვერასოდეს ვერ იქნება ისეთი მუშაკი, როგორიც საჭიროა ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობისათვის. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას იმათზე, რომლებსაც ახლო დამოკიდებულება აქვთ ორგანიზაციის ფინანსიურ მხარესთან.

არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის მუშაკი, დაიმედებული იმ გარემოებით, რომ ის ადვილად მოახერხებს თავის დაძვრენას პასუხისმგებლობისაგან, ფლანგავს ორგანიზაციის ფულებს. რამოდენიმე ხნის შემდეგ სარევიზიო კომისია აღმოაჩენს ამ ბოროტმოქმედებას, შესდგება სათანადო ოქმი დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად. მაგრამ სხვადასხვა გაიძვერული საშუალებებით ზოგჯერ დამნაშავე თავს აღწევს პასუხისგებაში მიცემას და ორგანიზაციის ხელმძღვანელები მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ ჩამოართვან ხელწერილი დამნაშავეს გაფლანგული თანხის ანაზღაურების შესახებ.

ეს კიდევ არაფერი. გამფლანგველი, როცა თავს დააღწევს პასუხისგებაში მიცემას, მყისვე ახერხებს მეორე ორგანიზაციაში მოკალათებას და აქაც განაგრძობს თავის „საგმირო საქმიანობას“.

ეს გარემოება უსათუოდ უნდა მიეწეროს ნათლიმამობას, დამნაშავისათვის ხელის დაფარებას. რაც აურაცხელ ზიანს აყენებს ჩვენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

უფრო ხშირად ასეთ მავნე მოვლენებს შეხვდებით სოფლად, სადაც აღმასკომის პასუხისმგებელმა მუშაკმა თუ ბოროტმოქმედება ჩაიდინა აღმასკომში, იქიდან გამოძევების შემდეგ ახერხებს გლეხკომში გაძვრომას, ხოლო გლეხკომიდან თავს აფარებს ან სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში ანდა კოოპერაციაში.

ეს მავნე მოვლენა ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ბოროტმოქმედისათვის როცა მან ასეთი ერთხელ უკვე ჩაიდინა, უნდა საბოლოოდ გამოიხუროს ჩვენი ორგანიზაციის კარები და არას შემთხვევაში ის დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და მშრომელ მასებშიც განმტკიცდება რწმენა, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ერთნაირად სჯის ყველა ბოროტმოქმედს და იცავს მშრომელთა ინტერესებს.

მეთვალყურე.

ზრუნვა ტყის მოშენებისათვის კოჯორის სატყეო რაიონში.

კოჯორის სატყეო რაიონი შედის თბილისის სამაზრო სატყეოში ამ რაიონის ტყეების სივრცე უდრის 22 ათასამდე ჰექტარს მისი დამცველი შტატი შესდგება 7 კაცისაგან. რაიონში შედის 3 თემი: კოჯორის, პრიუტის და წყნეთის, 32 სოფელით; ტყის მოშენებისათვის ზრუნვა დაიწყო 1925 წელში. ამჟამად ასეთი მუშაობა მიმდინარეობს კოჯორის, წყნეთის, დიდება-კიკეთის და „ელფიის“ აგარაკში, რომელთაც აქვთ საკურორტო მნიშვნელობა. ქვემო კოჯორში შემოღობილია 6 ჰექტარამდე ველი. დათესილია უკვე ოთხი ჰექტარი ადგილი წიწვიანი და ფოთლიანი ჯიშის ტყით. გასულ წელს გაზაფხულის პერიოდში უბან „უძოში“ შემოღობილ იქნა 1,200 კვ. მეტრი ადგილი სანერგეთ, სადაც დათესილია „ელდარის“ ფიჭვი და ყირიმის ჯიშის გარე-კახეთის სახეცვლილი „მუტანტი“. მიუხედავად კოჯორის სუსხიანი ჰავისა, ამ ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

კიკეთის აგარაკში იქნა დათესილი ფიჭვნარი ტყე, მაგრამ ხანგრძლივმა გვალვამ დიდად შეუშალა ხელი, ტყეების გასხვლა, გაწმენდა და აგრეთვე „გამოხშირვა“, მოვლის სახით დაიწყო გასული წლის გაზაფხულზე. ტყეების გასაწმენდად და გამოსახშირავად გამოწვეულ იქნა ადგილობრივი გლეხობა რიცხვით 553 მუშა-ხელი. მათ მიერ გაწმენდილ იქნა ტყეები 80 ჰექტარამდე. ტყეების გაწმენდის გარდა მოხდენილ იქნა „დაჯირკვა“ იმ ნაკაფებისა, სადაც კი დაჯირკვული იყო ტყე საქონლის ძოვებით.

სანიმუშო და სამაგალითო აგარაკად ითვლება „ელფიის“ აგარაკი. ტყის ჭრა სწარმოებს ნორმალურად, სამეურნეო გეგმის მიხედვით. მიმდინარე წლისათვის განზრახულია 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთის შემოღობვა და დათესვა ტყის საუკეთესო ჯიშებით. გასულ წელს დაგროვილ იქნა კოჯორის ტყის ჯიშების თესლეული.

ყველა ამ მუშაობას ხელმძღვანელობს ტყის გამგის მოადგილე ამხ. დ. მაჭარაძე, რაც მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს დანარჩენ სატყეოებისათვის.

გ. გარსიაშვილი.

დაუსრულებელი კინკლაობა
(სოფ. აბაშა, გამოჩინებულის თემი)

ეს სოფელი სადგ. საჯევახოდან დაშორებულია 6—7 ვერსით და ეკუთვნის გამოჩინებულის თემს. ამ სოფელს აქვს ეკლესია „გამოჩენილის“ სახელწოდებით, სადაც გარეული მხეცების მეტი არავინ დაიარება. იქვე იყო სასაფლაოც, რომელიც დღეს გაუქმებულად ითვლება, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც გარდაცვალებულს ასაფლავებენ იქ, იმიტომ, რომ მოხუცები მას უწოდებენ „ნაკურთხს“.

ამ სოფლის შეგნებულმა გლეხობამ, სოფლის საშუალო ადგილას სასაფლაოსათვის აირჩია ახალი ადგილი ეგრედწოდებულ ქედზე—ტბისელში, სადაც სამოქალაქო წესით ასაფლავებენ მიცვალებულებს. ეს სასაფლაო ამ სოფელში დაკანონებულია, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე; საქმით კი დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი და ისე გამწვავებულია ეს საკითხი, რომ აგერ ოთხ წელზე მეტია, რაც კინკლაობას და დავას ამ ნიადაგზე ბოლო არ უჩანს. ზოგიერთები ცნობენ მას, როგორც ახალ სასაფლაოს, ზოგნი კი ძველი სასაფლაოთი სარგებლობენ. არიან ისეთებიც, რომლებიც არც ძველს სცნობენ, არც ახალს და არჩევენ თავიანთი გარდაცვალებულები თავისივე ეზოში დაასაფლაონ, როგორც ეს მოხდა 22 იანვარს სოფელ აბაშაში.

ამ სოფლის ერთ გლეხს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაეცვალა შვილი. ორი დღე მოუნდა სოფლის მოწინავე გლეხობა დავას მიცვალებულის მშობლებთან, რათა დაერწმუნებია ისინი ახალ სასაფლაოს უპირატესობაში „ნაკურთხთან“ შედარებით, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა, მიცვალებული სახლის უკან, ხის ძირში იქნა დასაფლავებული, რაც უნდა მიეწეროს გლეხობის ჩამორჩენილობას და იმ უკულტურობას, რომელსაც ჯერ კიდევ მაგრად აქვს გადგმული ფესვები სოფლის ყოფა-ცხოვრებაში.

ს. აბაშაში ისეა გამწვავებული მდგომარეობა ამ ნიადაგზე, რომ სოფლის ბნელი ელემენტები ხელოვნურად ქმნიან ყოველგვარ აურ-ზაურს. არ სცნობენ ახლად დაარსებულ სასაფლაოს და ჯიბრით და კაპრიზით საკუთარ ეზოშიაც კი ასაფლავებენ გარდაცვალებულს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ამაზე ეხლავე უნდა მიიღოს ზომები გამოჩინებულის თემ-აღმასკომმა.

ე.

მოსაგვარებელი საქმე.
წერილი საგარეჯოდან

საგარეჯო ყოველ მხრივ დაწინაურებული თემია, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი თუ იცნობენ მას მხოლოდ იმიტომ, რომ აქ საუკეთესო ცივი ანკარა წყალია. გაზაფხულობით საგარეჯოში საგარაკოთ თბილისიდან და სხვადასხვა ქალაქებიდან ხალხი საკმაოდ ჩამოდის. თვით ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამის გამო ბოლო დროს წყალი მცხოვრებთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რადგან თვით სათავეში აკლდება, რაც ალბად ტყეების გაჩეხვის შედეგია, გარდა ამისა, ეს წყალი რკინის გზის სამმართველოზეა ძველად გადაცემული და წყლის უმეტესი ნაწილი მათ განკარგულებაშია. წყალი სადგურ საგარეჯოში ჩადის მილებით და აკმაყოფილებს, როგორც სად. საგარეჯოს, ისე მის ახლო მდებარე სადგურებს. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ სადგურში წყალი დიდი რაოდენობით ჩადის, მცოდნე პირის გადმოცემით, ეს რაოდენობა მათთვის საჭირო არაა და უმეტესი ნაწილი უშედეგოდ იღვრება. ეს მაშინ, როცა სოფელში წყლის ნაკლებობაა. აქ ზოგჯერ 3—4 კრანი იკეტება. გლეხობას კი ერთ ვერსზე უხდება სიარული წყლის მოსატანად.

აუცილებლად საჭიროა სადგურებს მიეცეთ წყალი იმ რაოდენობით, რაც ამ უკანასკნელთ სჭირდებათ. ზედმეტი კი, რომელიც ადგილებზე უშედეგოდ იღვრება სოფელს უნდა დაუბრუნდეს.

თუ ამ საკითხს დროზე არ მიექცევა ყურადღება, ცუდ შედეგს მოგვიტანს. ჯერი ამ საკითხის მოსაგვარებლად რკინის გზის სამმართველოზეა.

წერილებიდან

მალე გაიხსნება კოოპერატივი
ს. კოდა, თბილისის მაზრა

ეს სოფელი დღემდის ჩარჩ-ვაჭრობის ანაბარად იყო მიტოვებული. მათ ქონდათ ოთხი სავაჭრო და კარგ მოგებასაც ნახულობდენ. გლეხობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და გადასწყვიტა კოოპერატივის გახსნა. რაც ხელს შეუშლის ჩარჩ-ვაჭრების ალაგმვას.

ალ. ორაგველიძე.

საჭიროა აფთიაქის გახსნა
ლიის თემი, ზუგდიდის მაზრა

ხსენებული თემი წარმოადგენს რაიონის ცენტრს. საბჭოთა დაწესებულებების გარდა აქ არის ხე-ტყის სახერხი და არაყის სახდელი ქარხნები. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს ასამდე. საფერშლო პუნქტი აქვთ, მაგრამ არ არის აფთიაქი და როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე გლეხობა გაჭირვებას განიცდიან.

ჯანმრთელობის განყოფილებამ, გახსნას ლიაში აფთიაქი.

ლ. კაკიანი.

შეუფერებელია თავის თანამდებობაზე
დ. ჩოხატაური, გურია

ადგილობრივ ცხრაწლედში მასწავლებლობს ვალერიან ქავჟარაძე, რომელსაც აღებული აქვს ოთხი საგანი. უნდა ითქვას, რომ ის ვერ არის შესაფერისად მომზადებული მასწავლებლობისათვის და ამასთან ერთად ძლიერ უდიერად ეპყრობა მოწაფეობას.

საჭიროა განათლების განყოფილებამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

ილ. შარტავა.

სოფლის ქრონიკა

— **კირის ქარხანა.** სოხუმში აგებს კირის საწვავი ახალი ქარხანა.

— **გადასახადი.** ოზურგეთის მაზრაში 15 თებერვლისათვის სავსებით დამთავრდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა.

— **წყალსადენი.** წელს შეუდგებიან ცხინვალში წყალსადენის გაყვანას.

— **ხორცის მიწოდება.** ქუთაისის აღმასკომმა ხორცის დამზადების საქმე გადასცა „ზაკმიას ტორგს“.

— **საბეითლო საბჭოები.** ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა თემებში დაარსოს საბეითლო საბჭოები.

— **აგროპუნქტი.** სამტრედიის აგროპუნქტს სამაზრო აღმასკომმა გადასცა სოფ. ილორში მდებარე თავისუფალი მიწები საცდელ მეურნეობების მოსაწყობად.

— **ჩაის მეურნეობისათვის ხელის შესაწყობად** ოზურგეთის აღმასკომმა დაარსა სამეული.

— **რადიო.** ზნაკვას (რაჭა) ქოხ-სამკითხველოსთან მოეწყო რადიო-მიმღები აპარატი.

— **სოფლის ახალგაზრდობის სკოლისათვის** კუხის თემმა (ქუთ. მ.) გამოყო 30 ქცევა მიწა.

ა.მ. კავკასიის ეკონომიურ საბჭოში

მუშათა ცხოვრება

უწესო მუშაობის ნიმუში
(წნორის წყალი)

დაიკეტა წნორის წყალის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. შუა ზამთარში აურებელი მუშები დარჩენ უმუშევრად, ეს კი გამოიწვია ცუდმა და არა სწორ ხელმძღვანელობამ ქარხნის გამგის მიერ.

1924 — 25 წლებში ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალა მზადდებოდა ტყეში. ქარხანაში კი მუშაობა სწარმოებდა სამ წყებად, რადგან ქარხანა ერთი წყება მუშაობით ვერ გადაამუშავებდა დამზადებულ მასალას. 1926 წელს ივნისში უბნის გამგეთ დანიშნეს ვინმე ხუციშვილი, რომელმაც სამი წყება მუშაობა ერთ წყებაზე დააყენა. ამიტომ ქარხანამ ვერ შესძლო ნედლ მასალის თავის დროზე გადამუშავება, რის გამო ქარხანაში დაგროვდა აურებელი სამასალო ხე-ტყე, რომლებიც დალპა ღია ცის ქვეშ. დაგროვილი მასალა იმდენად განადგურდა, რომ მისი გამოყენება [illegible] შეუძლებელი იყო უმნიშვნელო საქმეზეც კი. ამან დიდი ზარალი მიაყენა ქარხანას.

ასეთმა უთავო და უაზრო ხელმძღვანელობამ ქარხანა მიიყვანა განადგურებამდი. სიღნაღის სატყეომ ქარხანას აღარ მისცა მასალა—ვინაიდან უხელმძღვანელობის გამო ქარხანას აურებელი ხე-ტყე დაულპა; დარჩა ქარხანა და უბანი უტყეოთ. ქარხნის დაკეტვა მოხდა ერთის მხრივ იმით, რომ ქარხანას თავის დროზე გულშემატკივარი ხელმძღვანელი არ ყავდა და ვინც იყო, ისიც უდიერად ექცეოდა სახალხო ქონებას, და მეორეც იმით, რომ სიღნაღის სატყეო განყოფილებამ აღარ მისცა უბანს, რადგან მან ნდობა დაკარგა.

დღეს უბანსაც და ქარხანასაც გაუჩნდა გულშემატკივარი პასუხისმგებელი ამხანაგები ამხ. ე. რუხაძისა და კ. ქართველიშვილის სახით, რომლებმაც ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, მოსაგვარებლად, მაგრამ გაფუჭებული საქმის გამოსწორება არც ისე ადვილია, საჭიროა სატყეო განყოფილების თანამშრომლები ჩაებან ამ საქმეში და ხელი შეუწყონ ნაკლის გამოსწორებას.

რაც შეეხება დამნაშავეებს, მათ პასუხი უნდა მოეთხოვოთ, როგორც ქარხნის დამღუპველებს.

ხოდბელი.

აფიორა სამხეცეში

თბილისის პლეხანოვის გამზირზე მოთავსებული სამხეცე აფერისტების ბუდედ არის გადაქცეული. სამხეცეს ადმინისტრაცია უმოწყალოდ აძრობს ტყავს მოქალაქეებს. მუშებს გონიათ მხოლოდ ერთი მანეთით გადარჩებიან და დაათვალიერებენ მხეცებს, მაგრამ შეხვალთ თუ არა, სულ სხვა სურათს დაინახავთ.

შესავალი ბილეთი 75 კაპ. ღირს, მაგრამ მხეცებს ისე ვერ გამოიცნობთ, თუ არ იყიდეთ პროგრამა. მათ წარწერა არ აქვთ. აბაზის გადახდას კი ყველა მუშა ვერ შესძლებს. სამხეცეში არის აგრეთვე „ქალი—ობობა“, რომელიც ნამდვილ ფულის მახეს წარმოადგენს. სამხეცეს ადმინისტრაცია მოხერხებულად ატყავებს მუშებს და 25 კაპ. ახდევინებს. მხეცები უმთავრესად ხალხის ჯიბით იკვებებიან; მაგ. ზღვის ლომის ახლოს სდგას ქალი, რომელიც მიმართავს დამსწრეთ: „იყიდეთ ეს თევზი და დარწმუნდით,, როგორ დაიჭერს წყალში“. მუშაც პატარა ნაჭერ თევზში 5 კაპ. იხდის და კვებავს ზღვის ლომს. გარდა ამისა, აქ ერთი-ორად ასაღებენ სხვადასხვა ხილსა და ტკბილეულობას, რაც დაუშვებელია.

სამხეცეში მოწყობილია აგრეთვე ლატარია. უკანასკნელი ღირს 3 მან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მუშები ხშირად 20 მანეთობით სტოვებენ აქ, მაინც ვერაფერს იგებენ. ლატარიის პატრონები, რომლებიც ჩვენის აზრით იგივე სამხეცეს პატრონები არიან, აძრობენ ტყავს მუშებს და უკანასკნელ კაპეიკებს ჯიბეში იჩრიალებენ. მოწყობილია კიდევ რგოლებით სააზარტო სათამაშო. თითო რგოლი ღირს 2 კაპ. უკანასკნელს თუ ჩამოკიდებს მუშა ხეზე, სათანადო „ჯილდოს მიიღებს“. აქაც სტოვებენ მუშები 3-5 მან. ეს სათამაშო ისეა მოწყობილი, რომ ეშმაკიც ვერ ჩამოკიდებს რგოლებს და „ჯილდოს“ ვერ აიღებს. ასეთი ბოროტმოქმედება ხდება სამხეცეში, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ქ. აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მოსპოს სამხეცეში ზედმეტი „ორფეხა მხეცები“ და აფერისტები.

ი. ჯ.

მოსპეთ ხუთი უფროსობიანობა
(ხაშური)

ხაშურის ეპოს წითელი სასადილოს ყავს ხუთი უფროსი, ამიტომ სასადილოში მომჭირნეობის რეჟიმი ტარდება მოსამსახურეების მიერ ზედმეტ საათების მუშაობით, რაზედაც მათ არ ეძლევათ აღნიშნულ საათების ფული.

არის შემთხვევა, როცა გამგე მოსამსახურეს აგინებს, ავიწროებს მას, მაგრამ მიუხედავად ხუთი უფროსისა, არავინ ყურადღებას არ აქცევს. შტატის შემცირება აქ უკუღმა ტარდება: ამცირებენ შტატს, ითხოვენ ღარიბ მოსამსახურეებს, მაგრამ მეორე დღეს მათ ადგილას მოჰყავთ უფრო შეძლებული პირები.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება, და ხუთი უფროსის მაგიერ დაინიშნოს ერთი და ისიც გამოცდილი და კარგი უფროსი.

იგილკა.

მუშების გასაქყლეფი ადგილები

ლოტოებსა და პტიჩკის ამ ბოლო ხანებში ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სათამაშოებში შესვლა აკრძალული აქვთ პროფკავშირის წევრებს, წითელ არმიელებს, კომკავშირელებს და მოწაფეებს, მაინც მუშა-მოსამსახურეებს და სხვებს აქ ბლომად შეხვდებით.

მართალია, ეს აზარტიული სათამაშოები განსაზღვრულ პროცენტებს აძლევენ წითელ ჯვარს და სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციებს, მაგრამ ეს შემოსავალი წვეთად უნდა ჩაითვალოს იმ ზარალთან, რომელსაც აძლევენ ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ სამეურნეო ორგანიზაციებს და ხშირად კი მუშა-მოსამსახურეების ოჯახებსაც. სათამაშოები უმთავრესად აღებული აქვთ ისეთ პირებსაც, რომლების წარსულიც ბნელითაა მოცული და წარმოადგენენ პარაზიტულ ელემენტებს.

მოსკოვის ქუჩაზე გახსნილია ლოტო, რომელშიც თავს იყრიან მეტ წილად მუშა-მოსამსახურენი. შემსვლელებს არავინ არ უკეთებს კონტროლს და არავინ არ უკრძალავს მუშებს ლოტოს თამაშს. პლეხანოვის პროსპექტზე რამოდენიმე ალაგას არის გახსნილი სხვადასხვა სათამაშოები, სადაც ყველა ჯურის ხალხს შეხვდებით

ზემოაღნიშნული სათამაშოები კი ხელს გვიშლიან კულტურულ და სამეურნეო მუშაობაში. ხშირად მუშა, ან მოსამსახურე მთელ ღამეებს იქ ათენებს და ერთის მხრივ წარმოებაც სცდება მეორე დღეს და მეორეს მხრივ თავის ოჯახსაც უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს. ამას კი ზარალის მეტი არაფერი მოაქვს.

თბილისის საბჭომ ამ საკითხს დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება და დასვას დღის წესრიგში, მათი გაუქმების საკითხი რანაირი მიზნითაც არ უნდა ქონდეს მათ.

საბჭოს წევრი.

უნდა დაიკეტოს
(აღმასკომის საყურადღებოდ)

აზარტულ სათამაშოებმა, რომლებიც თბილისში რამოდენიმე ადგილას არის გახსნილი, ამ ბოლო დროს საშიში ხასიათი მიიღეს. სათამაშოებში უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები დაიარებიან. ბევრი მუშა, ან მოსამსახურე იმდენად არის გატაცებული აზარტულ სათამაშოებით, რომ მიიღებს თუ არა ჯამაგირს იმ წამსვე გარბის კაზინოში, ლოტოში ან სხვა სათამაშოებში და მთელ თავის ნაშრომს სტოვებს იქ. ცოლშვილი კი სახლში მშიერი ელოდება. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია აზარტიულ სათამაშოების საქმიანობაში.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სათამაშოების მიერ ჯიბე გამოცლილი მოქალაქე, სახლის ნივთებსაც კი აგირავებს და აგებს კვლავ ლოტოში, პტიჩკოში და სხვა სათამაშოებში. ამას წინად ერთმა მოქალაქემ ოქროს საათი დააგირავა ლოტოში, რის გამოც იგი პასუხისგებაში მისცეს.

მაგრამ ყოველთვის არ ხდება ასე. ადმინისტრაციის თვალი ყველგან ვერ სწვდება. ერთად-ერთი საშუალება ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად ეს არის თბილისის ყველა აზარტიულ სათამაშოების დახურვა და მათი გაუქმება.

ლ. ტ—ელი.

ვინ არის სახლის მზრუნველი?

ბროსეს ქ. სახლი № 6, ექვსი შვიდი წელიწადია უპატრონოდ არის მიტოვებული. სახლის წინანდელი მფლობელი კაი ხანია გადაკარგულია, სახლის მოურავობა ჩაბარებული აქვს მოხუც ქალს მელიქოვას, რომელიც ადგილობრივ არ სცხოვრობს და არც მისი პატრონობის თავი აქვს. ამ სამი წლის წინედ სახლის ერთ ბინაში ჩადგა ინჟინერი გრიბანოვი იმ პირობით, რომ გადახურავდა სახლს ახალი სახურავით, მაგრამ გრიბანოვმა წესიერად გადახურა მხოლოდ თავისი ბინა, დანარჩენი კი ცუდათ შეაკეთა.

სახურავის სათოძილიან შეკეთებაში დარწმუნებულმა ზოგიერთმა მდგმურმა ბინას გაუკეთა ძირითადი შეკეთება, მაგრამ სახურავი ისე სუსტად შეკეთებული აღმოჩნდა, რომ იმავე წელიწადს მდგმურები იძულებული გახდენ თავისი ფულით ხელახლა შეეკეთებიათ სახურავი, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს: წვიმის დროს წყალი კოკისპირულად ჩამოდის სახლის ორთავე სართულში ჭერი და იატაკი ლპება, კედლები იშლება და ირღვევა. მდგმურები გაწამებულნი არიან. ქალაქის აღმასკომმა მიაქცია სახლის ასეთ მდგომარეობას ყურადღება. და სასამართლოში აღძრა საქმე მისი ჩამშლის შესახებ. ეს ორი წელიწადია საქმის გარჩევას არაფერი ეშველა. თუ სახლს მზრუნველი არ აღმოუჩნდა, რამოდენიმე თვეში ამ სახლის ხუთი მდგმური ცის ქვეშ აღმოჩნდება.

ძველი.

მოაწესრიგეთ დარაბების აღრიცხვა
(აღმასკომი)

აღმასკომის „უჩსი“, ჯერაც ვერ მიწვდომია თავის საქმეს და მოვალეობას მთლიანად. ამაში ბრალი მიუძღვის არა მთავარ ადმინისტრაციას, არამედ მის ქვემოდ მდგომ პირებს და უბნის თანამშრომლებს. მრავალი მაგალითები მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ სახლის მეპატრონეებმა ამოკიდლეს დარაბა და გადააქციეს საცხოვრებელ ბინებად. დარაბის საცხოვრებელ ბინად გადაქცევას ე. ი. მის მოხსნას აღრიცხვიდან ჩუმად არევ-დარევა შეაქვს სააღრიცხვო ქვე-განყოფილების საქმიანობაში.

გარდა ამისა უბნებს ყველა დარაბა არა აქვთ აყვანილი აღრიცხვაზე. დარაბაში სცხოვრობენ და ქირასაც სახლის პატრონს აძლევენ. ზოგი დარაბა დაკეტილია. მენშევიკების დროიდან და იქ ჯერ ვერავის მიუღწევია. ამას წინად აჭარისტანის წარმომადგენელმა მოითხოვა ერთი სარდაფი საბჭოს ქუჩა № 71-ში სავაჭროდ. როგორც გამოირკვა, ეს სარდაფი აღრიცხვაზე არც კი ყოფილა აყვანილი. აღმასკომის წარმომადგენელმა, როდესაც გახსნა სარდაფი, აღმოაჩინა შიგ მრავალი ნივთები მენშევიკების დროიდან დატოვებული. როგორც სახლის პატრონი ამბობს აღნიშნული სარდაფი წინედ გაეტეხათ, მაგრამ არც მაშინ და არც მას შემდეგ ყურადღება არ მიუქცევია. რაა წაღებული არავინ იცის, რადგან აღრიცხვაზე არ იყო აყვანილი. ასეთი კი ვინ იცის რამდენია ქალაქში.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა მომავალში მაინც. უნდა გამოჯანსაღდეს მუშაობა უბნებში და უნდა მოწესრიგდეს დარაბების და ყოველგვარი სადგომების აღრიცხვის საქმე.

კოტე ქვენობანელი.

დროზე დააკმაყოფილეთ
(ბორჯომის საკასრე ქარხანა)

ბორჯომის საკასრე ქარხნის მუშებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ სპეც. ტანსაცმელი. მუშები თავიანთი საკუთარი ტანსაცმელით მუშაობენ ქარხანაში. ასეთივე მდგომარეობაა ჯამაგირების დარიგების მხრივაც. ჯერ სულ მცირე ჯამაგირები აქვთ, და მეორეც თავის დროზე ვერ ღებულობენ მას. კოლხელშეკრულების თანახმად კი ორ კვირაში ერთხელ უნდა რიგდებოდეს, მაგრამ თვეში ერთხელ ძლივს გვეღირსება ხოლმე ისიც ნახევარ თვის ჯამაგირის მიღება.

ქარხნის დირექტორი, ამხ. კრავცოვი, ხშირად უგზავნის მიწერილობას ტრესტს, მაგრამ არაფერი გამოდის. მის მიწერილ ქაღალდებს ტრესტი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება და მუშების თავის დროზე დაკმაყოფილება, როგორც ჯამაგირით, ისე სპეცტანსაცმელით.

გ. უ—ლი.

პიესას ნუ დაამახინჯებთ. 4 თებერვალს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში წარმოდგენილი იყო ი. ეკალაძის პიესა № 21 ჯერით. პიესა ძალიან დამახინჯებულად ჩატარდა. მოთამაშენი ვერ იყვნენ სათანადოთ მომზადებული. შემდეგისათვის რეჟისორმა ზომები უნდა მიიღოს რათა პიესა არ იქნეს დამახინჯებული.

კო—მი.

მუშკორთა წერილებიდან

ფორმა არა აქვთ. (ქუთაისი). ქუთაისის ა. რკ. გზის მუშათა კლუბთან არსებობს მუშათა მომღერალი გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მომღერალი ხ. კუხიანიძე. გუნდი თავის ღირსებით არ ჩამოუვარდება სხვა მომღერალთა გუნდებს. გასულ ზაფხულში მათ მოგზაურობაც მოაწყვეს პროვინციაში, რამაც სასურველი შედეგები მოგვცა. მაგრამ მთელი ნაკლი მომღერალთა გუნდისა ის არის, რომ მას არა აქვს ფორმის ტანსაცმელი. კლუბის გამგემ უნდა იზრუნოს ამისათვის.

რიონისპირელი.

სამკითხველოს „გმირი“ გამგე. ქუთაისის ცენტრ. სამკითხველოს გამგე, მოქ. გუგუშვილი დიდ „გმირობას“ და უდიერობას იჩენს მკითხველებისადმი. ის თითქმის ყველა მკითხველებს. რომლებიც კი მოუწოდებენ მას წესრიგისაკენ, ფანჯრიდან გადაგდებით ემუქრება. განათლების განყოფილებამ უნდა დასაჯოს ასეთი „გმირი“ გამგე.

ცივწყაროელი.

გახრწნილების ბუდე. კირკის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხე გარყვნილებისა და ქუჩის ქალების ბუდედ არის გადაქცეული. ღამღამობით აქ ისეთი ამბავია, რომ შეუძლებელია გავლა. მილიციამ მოსპოს ეს გარყვნილების ბუდე.

მნახველი.

უთავბოლო „რაციონალიზაცია“. სამასალო საწყობში ხშირად შემოდის განცხადება სხვადასხვა განყოფილებიდან ამა თუ იმ მასალის შესაძენად. საწყობი ვალდებულია დაგზავნოს შეკითხვები მასალების ნახაზებით. ზოგ შემთხვევაში—ძველ ალბომებში ნახაზები არ მოიძებნება და ამიტომ საწყობის ადმინისტრაცია სთხოვს განმცხადებელ განყოფილებას სათანადო ნახაზს. ნახაზების დახაზვა კი ბევრჯერ მეტი ჯდება, ვიდრე მოთხოვნილი მასალა.

ამნაირ საქციელს უთავბოლო რაციონალიზაციას უწოდებენ.

კოლღ.

ბიუროკრატი მოლარე. ქუთაისის ბარიტის ქარხნის კანტორის მოლარე მოქ. სიორიძე უდიერად და ბიუროკრატიულად ეპყრობა მუშებს. 14 იანვარს მასთან მივიდა ერთი მუშა ცნობის მისაღებად. მოქალაქე სიორიძემ ცნობის მიცემის მაგიერ ყვირილი და თვალების ბრიალით გამოაგდო გარეთ. ასეთი მოპყრობა მუშებისადმი წმინდა წყლის ბიუროკრატიზმია.

პროფკავშირმა პასუხი უნდა მოსთხოვოს მოქ. სიორიძეს ბიუროკრატიულ საქციელის გამო.

მებრძოლი.

პოეტი მოქალაქე

მისთვის მიყურებ ალმაცერად,
რომ ვარ პოეტი?
იქნებ გინდოდა შენ სათრევლად
მიეთმოეთი?
მართალი სიტყვის, მაშ, რას გირგებს
მაშინ მჭედელი?
ვერავს ვერ მისცემს მონურ ხარკებს
ლექსი, მეტყველი!
ის მარმარილოს ფიცარზეა
ოქროდ ნაკვეთი,
ის არის ბროლი, საცა მზეა
ცეცხლად ნაწვეთი,
დაისრებული თეთრ ქაღალდზედ
სისხლად გულიდან,
განაღდებული ყოველს ნაღდზედ
ვალდებულიდან!
ლექსი არ გახლავთ რითმა, გინდა
სულ ურითმობა;
ის არის ჭექა, ვით მეხის ციდან,
და მიწის ხმობა,
მშრომელი ხალხის ბრძოლის გზაზე
ცეცხლით წოდება!
ის არის რისხვის თვით ყრუ ცაზეც
არ შეკოდება!
ანაკადება დაფარული
გულის ზრახვათა,
მკაცრი კვეთება, აფთარული,
სიმართლის ხმათა!..
მაფხიზლებელი მაშინაც კი,
ყველას რომ სძინავს!

ის ქარფისივით არის მკაცრი,
და ვით მზე [illegible] —
ის თვით-ცეცხლია და გეენა,
მწველი, მლქვარი —
აქვს ხედვა ბასრი! აქვს მას სმენა,
დაუღალავი,
და უკრძალავი, გულ-უდრეკი
ქედი და ჟინი...
ოქტომბრის ხმის, გზის ამრეკი,
პოეტის ტვინი!
და გული მისი—თბილი, მაგრამ
ურყევი გრდემლი,
სადაც სდუღს სისხლი, ოფლით და
შხამით
ნარევი ცრემლი;
სად იწვის ჩრდილიც—ცეცხლის შუქზე—
ყოფნის ლაქისა,
ის მზედ ენთება მაღლა, შუბლზე
მოქალაქისა,
პოეტის—მჭედლის, დაუდეგრის,
დაუღალავის!...
და ჰქუხს სამჭედლოც „საზრით ჭედის“,
გულის და მკლავის!..
თუ ამ თვისებებს არ ატარებს
ლექსი პოეტის,
მაშინ, გთხოვთ, მსგავს ჩრდილს, ნუ მადარებთ,
მიეთმოეთის!...

ნ. ზომლეთელი.

გახურებული შანთით

სახლი ნომერი 28

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშით. ასე ამბობს ხალხური თქმულება. ქვიშა და მელანიც საკმაოზე მეტი დაიხარჯა ბევრ სახლის პატრონის „გასათეთრებლათ“, მაგრამ აქედან ჯერ კიდევ სათანადო ნაყოფი არ მიგვიღია. პირდაპირ განცვიფრებას ეძლევი ადამიანი, როცა გაეცნობი ზოგიერთ სახლის პატრონის ოსტატობას მისთვის არასასურველ მდგმურის თავიდან მოსაშორებლად. აღსანიშნავი აქ ისაა, რომ ფორმალურად სახლის პატრონების ოინბაზობა ხშირათ სრულიად უდანაშაულოა, არსებითად კი რომელიმე ათვალწუნებულ მდგმურის გარშემო აუტანელი საცხოვრებელი პირობები იქმნება.

ასეთი სურათია ძნელაძის ქუჩაზე № 28 სახლში, სადაც სახლის პატრონსა და ზოგიერთ მდგმურებს შორის განუწყვეტელი ომი სწარმოებს. სახლის პატრონ ცეხანოვსკაიას ერთი კარგი თვისება აქვს: მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს ბინის ქირის მომატებაზე. ერთს ან ორს გეტყვის. დაუჯერებ—კარგია, არ დაუჯერებ და თვითვე ინანებ ცეხანოვსკაიას მზათ აქვს თქვენთვის იშვიათი ოსტატობით დამუშავებული იეზუიტური ბრძოლის მეთოდები. ასე მაგალითად არ დაუჯდა თვალში ცეხანოვსკაიას მეორე სართულის რამდენიმე მდგმური. ამან გამოიწვია ის, რომ სახლის პატრონის ახიზათ გაზრდილი ქალიშვილი ვერ მოთავსდა სამ ოთახში დედასთან ერთად. ამიტომ ის გადმოსახლდა მეორე სართულში, მხოლოდ იმისათვის, რომ აქ ღამის გასათევი აეჩინა. ამ მიზნით მოაწყვეს გასავლელი ათვალისწუნებულ მდგმურების ოთახში. კვირა ისე არ გაივლის, რომ ცეხანოვსკაიას ბინაზე მესამე სართულში ფოქსტროტი და უანსტეპები არ გაიმართოს. არის ერთი ორომტრიალი და ჟივილ-ხივილი. გათენებამდე აკლებულია ზედა და ქვედა სართული. სხვა დღეებში კი ცეხანოვსკაიას ქალიშვილი ღამის 2—3 საათზე ინებებს თავის გასათევ ბინაში მობრძანებას. გასაღები მას ჯიბეში აქვს. მოდის და მოაქვს მთელი ქვეყანა. ეგონება კაცს, რომ სახლს ცეცხლი წაეკიდაო, ისეთი ხმაურობა და განგაში ატყდება ხოლმე. კარების ხათქუნი, ფეხების ბრახუნი, მიკიტნური ყაიდის მცხიკვება-ხველება და ამასთან ერთად ღამის 2—3 საათზე პირისა და ხელების ბანა. ერთი სიტყვით, ცხოვრება ძნელაძის ქ. № 28 სახლში, ღამის 2— საათიდან იწყება და ეს იმიტომ, რომ ასე სურს ცეხანოვსკაიას ქალიშვილს.

სანამდი გასტანს ასეთი მდგომარეობა? ეს დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: ან მეორე სართულის ათვალისწუნებული მდგმურები უნდა აიყარონ თავიანთ ბარგი-ბარხანით ეხლანდელ ბინიდან, ან საქმეში უნდა ჩაერიოს ის, ვისაც ეს ეხება, და დაიცვას პროფკავშირის წევრ მდგმურების უფლებები, თორემ, თუ ჩვენ ფოქსტროტის მოყვარულ სახლის პატრონის სინდისს ვუყურეთ, შეიძლება საქმემ სრულიად „არაფოქსტროტული“ ხასიათი მიიღოს. ამის ნიშნები უკვე არის.

ტყარი.

„ფარული“-ს მოყვარულნი

ლაპარაკია მევენახე - მეღვინეთა საზოგადოება „იმერეთი“-ს შესახებ. ამბობენ ამ საზოგადოებას თვალსაჩინო მიღწევები აქვსო. სიამოვნებით ვიზიარებთ ამ აზრს, მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელი“. „ბნელი“ კუთხეები კი ამხანაგობა „იმერეთი“-ს საქმიანობაში არც თუ ისე ძნელი საპოვნია. ჯერ მარტო ამ საზოგადოების წესდება რად ღირს. აი, თუნდაც მე-48 მუხლი, სადაც, ოი საკვირველებავ, ნება დართულია ამხანაგობის საზოგადო კრებაზე „ფარული კენჭის ყრა“.

ჩვენ გვეგონა, რომ ისტორიას ჩაბარდა ნეტარხსენებული ოთხკუდიანი საარჩევნო სისტემა: „საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნები“. ჩვენ გვეგონა, რომ მარტო რევოლუციის მუზეუმში ან სხვადასხვა არქივებში თუ იპოვის კაცი ასეთ ლოზუნგებს. მაგრამ შევცდით. „იმერეთი“-ს ამხანაგობა წმინდათ იცავს ოთხკუდიან არჩევნებს ერთ-ერთ მუხლს. რა სჯობია „ფარულ“ არჩევნებს. შეგიძლია პირიდან თაფლი გადმოგდიოდეს, კაცთან ლაპარაკში შაქრის ენა გამოიბა, ხოლო კენჭის ყრის დროს ნიშადური ამოსცხო და გიშერა მოზვერივით გააშაო. ამ „ფარულობის“ შედეგი ხომ არ არის, რომ „იმერეთი“-ს სოციალური შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს ჩვენს დღევანდელ მოთხოვნილებას? გლეხები კი ისე გაურბიან „იმერეთი“-ს წევრობას, როგორც შავ ჭირს.

თუ გავსინჯავთ „იმერეთი“-ს ფინანსიურ ოპერაციებს, აქ „ფარული“ სისტემა დიახაც რომ ხელსაყრელი იქნება ამხანაგობისათვის. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ცნობისმოყვარე ორგანიზაცია არ იზიარებს „იმერეთი“-ს შეხედულებას „ფარული“ სისტემის შესახებ და ამიტომ დღეს უკვე საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია ის სამწუხარო გარემოება, რომ 1926—27 წლის მოგებიდან, რომელიც 9.900 მანეთს უდრის. „იმერეთი“-ს გამგეობის მოუხერხებია მარტო დღეობებში ა.150 მანეთის დახარჯვა.

რა ჰქონდა ამდენი „სადღეობო“ ამხანაგობას, ძნელი სათქმელია. ხოლო ფაქტი კი ფაქტათ რჩება. ამბობენ სამაზრო პარტიული კომიტეტი უკვე ჩაერია ამ საქმეში. ეს ძალიან კარგი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ასეთ მდგომარეობამდე მივიდა „იმერეთი“-ს ამხანაგობა? ნუ თუ არავინ უნდა აგოს პასუხი ამისათვის? ნუ თუ „იმერეთი“-ს ამხანაგობა დღემდე ცაზე გამოკერებული იყო და მისამდე ვერ აღწევდა პარტიისა და ხელისუფლების არა ერთი მითითება უსარგებლო ხარჯების შემცირებისა და კოოპერატიულ ამხანაგობათა სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ? დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. აქ საკითხისადმი „იმერეთი“-ს წესდებით მიდგომა „ფარულობია“ და ლმობიერება საქმეს მხოლოდ ავნებს.

ცირა.

ქიზიყში სტვირის ლერწმებზე

(მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან)

I.

ერთხელ ჩემმა მესტვირემ შემომჩივლა: გაგიტანჯე, ყველაფერი მომბეზრდა, არ ვიცი რა ვქნა?

— რაშია საქმე ბიჭო?

— რაშია და ლერწამში. თუ ჩემ სტვირს ლერწამი არ უშოვე, ძნელია მუშაობა.

— შენ სტვირს ეკი აქვს ლერწამი?

— აქვს, მაგრამ არ ვარგა. ეს ლერწამი ხალზე ნაჩარია, ამისათვის დამწვარია და გაბრუნდებულია.

— მაშ როგორი უნდა იყოს?

— ლერწამი ადგილზე უნდა მოვჭრათ, უნდა წავიდე ზემო მაჩხაანში. იქ ვკითხავ და გავიგებ საიდანაც მოაქვთ ის ლერწამი, რომლითაც სახლებს ხურავენ, მერე წავალ და მეც ხე მოვჭრი. მე, როგორც ვიცი, ლერწამი ივრის პირას არის კარგი. იქ ისეთი ლერწამი იცის, რომ მას არასფერი სჯობია, მაგრამ წასვლაა სათაბალო.

— შე კაი კაცო, უბრალო ცნობის მოყვარეობისათვის ზოგი ამერიკაში მიდის და ჩვენ საჭირო საქმისათვის მაჩხაანში ვერ ავალთ? წავიდეთ და მოვიტანოთ, თუ მართლა იქ არის.

— თუ წამომყვები, წავიდეთ, მაგას რა სჯობია, ხოლო როდის?

— დღეს, ხვალ, ზეგ... როცა გინდა.

— მაშ, თუ აგრეა, მოვემზადები და წავიდეთ.

ცოტა ხნის შემდეგ მოემზადა ჩემი მესტვირე და ამა წლის ნოემბერს შევუდექით გზას.., გავწიეთ მე და ბიჭიამ ქიზიყისაკენ სტვირის ლერწამის ჩამოსატანად.

მატარებელში ბიჭია სულ სტვირზე მელაპარაკებოდა, მართალია ამაზე ბევრჯერ ულაპარაკნია, მაგრამ ასეთი გრძნობით, ასეთი აღტაცებით და სიხარულით არც ერთხელ არ უთქვამს. აღელვებდა, ახარებდა და აცინებდა ბიჭიას ის გარემოება, რომ დიდი ხნის ოცნება უსრულდებოდა.

ჩალაუბანს რომ უახლოვდებოდით, აი ბიჭიამ რა მითხრა:

— სტვირზე ნაზი, სტვირზე ფაქიზი და ანჩხლი დედამიწის ზურგზე არც ერთი დასაკვრელი არ უნდა იქნეს.

— როგორ ბიჭია?

— სულ ერთიანად გამტანჯა. ხან გუდას სული ეპარება, ხან სასულეს პეპელა არ ეხურება, ხან ლერწმები.., ხან რა და ხან რა. გუდა კი ილიკო, რაჭული სჯობს, მერე კიდევ უმარილოთ უნდა გაახმო, თვარა მარილი ლერწამსა სჩაგრავს. გუშინწინ ათი წყვილი ლერწამი დავჭერ, არც ერთი არ გამოდგა. კარგიც ხშირ-ხშირად ჩერდება და, თუ წყალი არ დაასხი, თუ ტილო არ დაუხვიე, ხმას კი ვერ ამოაღებინებ. ერთი ლერწამი მოლაპარაკე უნდა იქნეს, მეორე მიმყოლი. მოლაპარაკეს ენა თხლად უნდა ამოეჭრას, მიმყოლს ცოტა სქლად. თუ მაინცა და მაინც კიდევ ვერ შეუთანხმდნენ, მიმყოლს ენაზე სანთელი უნდა დაეკრას და ისე გაუსწორდებს. ზოგჯერ კი—გაიღიმა მესტვირემ—ი ოხერი ლერწმები ერთმანეთს ისე ეწყობიან, ისე უთანხმდებიან, ისე ელაპარაკებიან, რომ მათ მოსმენას არასფერი სჯობს.

— ეგ ჩვენშიც ეგრეა ბიჭია. სიმები ხომ სიმებია. მაგრამ ერთ ვიოლინას მსხვილები უყვარს, მეორეს წვრილები. მე საზომითა ვსინჯავ და ვირჩევ სიმებს. ამას გარდა თითონ სიმებსაც ეჯავრებათ ერთმანეთი. ყველა სიმის ლარი თავის ტოლსა და სწორს კითხულობს, ვაი იმის ბრალი, ვისაც ეს არ იცის.

აქ ჩვენ ლაპარაკი შევწყვიტეთ, რადგანაც მატარებელი ჩალაუბანს მიუახლოვდა და უკლო სიჩქარეს.

— რა ამბავია, მატარებელი ხომ არ ჩერდება?—წამოდგა მოუსვენარი მესტვირე და ფანჯრიდან გადაიხედა—ილიკო, იცი სადა ვართ?—სიცილით მომიბრუნდა და მითხრა—ბიჭიამ—იმ დღეს გახსოვს, მე და შენ თელავში რომ მივდიოდით? აი შპალების ხროვაც! აბა გადიხედე ერთი ამბავი თუ არ მოგაგონდეს?

ავდექ, გადვიხედე. დავინახე შპალების ხროვა და მართლაც მომაგონდა.

მომაგონდა, რომ მაშინ გზას ასწორებდნენ. მატარებელიც ძიმედ მიცოცავდა და მერე ამ შპალებთან გაჩერდა კიდეც. უცბათ მემანქანე ჩამოხტა და რაღაცას გამოუდგა.

— კურდღელი, კურდღელი, კურდღელი!

კურდღელი მირბოდა, მემანქანე მისდევდა. კურდღელი შპალებში შეძვრა, მემანქანე დაიკუზა, კურდღელი მიიკუნჭა, მემანქანემ ხელი შეჰყო, სტაცა უცბათ, მოჰკიდა ხელი უკანა ფეხებში და სიხარულით ჭრელი ბაჭია შპალებიდან ამოაფრთხიალა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა!—შეჰყვირეს მაყურებლებმა—გაუმარჯოს ჩვენს მემანქანეს!.,

მემანქანე კი სიცილით კურდღელს ლოკომოტივისაკენ მიარბენინებდა.

— რას იღიმები ილიკო, მოგაგონდა?

— მომაგონდა ბიჭია, მომაგონდა კურდღელი.

— კურდღელი და ხოხობი აბა იქ იქნება ბლომად აი, საცა მივალთ!

— სად მიხვალთ, სად?—საიდანღაც გამოეხმაურა ჩემ მესტვირეს ვიღაცა მგზავრი.

— მივალთ შირაქისაკენ—უპასუხა ბიჭიამ და ისწია იმისკენ, რომ უფრო დაწვრილებით აეხსნა და განემარტა.

მე დავრჩი მარტო და ფანჯრიდან გადავკურებდი ლიანდაგს, რომელიც კლაკვნით მიაქანებდა ჩვენ მატარებელს.

კიდევ რამდენიმე ხანი და ჩვენი მატარებელი უკვე გაშორდა ჩალაუბანს და ლაღად და [illegible] გურჯაანის თავდაღმართზე.

მე ავიბარგე.

— აბა ბიჭია, მოდი შენც, მოდი, აიბარგე.

— რა, ჩამოვალთ აქ?

— ჩამოვიდეთ, გურჯაანის სკოლებში წავიკითხავ რამდენჯერმე ლექციას და ერთი ორი დღის შემდეგ პირდაპირ სიღნაღს ვეწვიოთ.

დაბლა რომ ჩამოვედით და ბარგი-ბარხანით შევუდექით სოფლის გზას, ბიჭიამ დაიწყო ლაპარაკი.

— იცი რა მომაგონდა?—ღიმილით მითხრა, საკვირველი ადამიანია ჩემი მესტვირე. იქნება 60 წლის ადამიანი, მაგრამ არც თვალთ აკლია, არც ყური და არც ხსოვნის უნარი დაუკარგავს. რამდენჯერმე აქვს შემოთვლილი მთელი საქართველო და არას დაივიწყებს რამე! სოფლებს ახსოვს, გზები და ბილიკები იცის, სახლებს იგონებს, ხალხს იხსენიებს.

აი ეხლაც გურჯაანმა რაღაცა მოაგონა, ერთი ყური დაუგდოთ რას იტყვის.

— ილიკო. გურჯაანში მე სამი ძმა მახსოვს, თავადიშვილები იყვნენ, მაგრამ რახაც ისინი საქმეს სჩადიოდნენ, უბრალო ჯიბგირი არ იკადრებს.

ერთხელ ეს ძმები ვერის კონკას დაეცნენ. ერთმა ძმამ „კუჩერი“ ჩამოაგდო და იმის ადგილას წამოსკუპდა, მეორემ კონდუქტორი დაიფრინა და იმის ადგილი დაიჭირა, მესამემ მგზავრები გადმოყარა და იმათ ადგილას თათონ გამოიჭიმა, მირბოდა, მიხტოდა კონკა და მირბოდნენ, მიხტოდნენ თავმოგლეჯილი კუჩერი და კონდუქტორი, ვერავინ გაბედა ამათი ხელის შეშლა, ვერავინ გაბედა ამათი დაჭერა.

ერევნის მოედანზე კი თავიანთ ნებით ჩამოვიდნენ ძმები კონკიდან და დიდი „სულგრძელობით“ დაუთმეს ვაგონი „კუჩერ“-კონდუქტორს.

— ძაან „დიდი“ ჭკუის პატრონები ყოფილან.

— კი „მჭკვანები“ იყვნენ—მომიხვდა ბიჭია.

— მართლაც რომ დროება გამოცვლილა.,. აბა, როგორ გადახალისებულა ეს სოფელიც!.. ხევი გაუმაგრებიათ, წყალი გამოუყვანიათ, ელექტრონი წაუკიდებიათ, ბაღი აუშენებიათ და შიგ თავგულიერი ლენინის ძეგლი ჩაუდგამთ.

ჩვენი სახლიც მალე გამოჩნდა. მოგვეგებნენ ბავშვები, ჩამოგვართვეს ბარგი, გამოვიდნენ ნათესავები, შეგვიყვანეს სახლში. დავუწყეთ სიცილი, ლაპარაკი, კითხვები და პასუხები.

ვახშმობის დროც მოახლოვდა. შემოუსხდით მაგიდას. ყველაზე ბევრს ლაპარაკობდნენ სეტყვაზე, რომელმაც წელს მთელი სოფელი გაანადგურა.

— საფლავის ქვის ოდენა სეტყვა იყო,—მეუბნებოდა მასპინძელი.

ლაპარაკობდნენ ღვინისა და არყის მაზანდაზე. ლაპარაკობდნენ ხარ-კამეჩებზე, მეზობლებზე და მომავალ მუშაობაზე. ყველაზე მეტად ოთხმოცი წლის მოხუცის ლაპარაკი მომეწონა.

— პაპა ძველი დრო სჯობდა, თუ ახალი?—მეც ამას შევეკითხე.

— ძველი კარგი იყო შვილო, ყველანი ცოცხლები ვიყავით, მაგრამ ახალი იმითვინა სჯობიან, რომ ჩვენი დამჩაგვრელი აღარავინ არის.

— ვინ გაწუხებდა წინათ პაპა, ვინ?

— ყველა შვილო, ვინა არ აწუხებდა საწყალ გლეხს? მაშ ის კარგი იყო, კამეჩივით ურემში რომ შეგვაბეს?

— ვინ შეგაბა პაპა, ვინ?

— ვინა და აი ჩვენმა თავადებმა. სამნი ძმანი იყვნენ—მოიდგა სკამი უფრო ახლო პაპამ და ისე დაიწყო თავის ამბავი—ჩვენ იმათ მამულს სანახევროდ ვაკეთებდით. ერთხელ, როცა ვენახი დავკრიფეთ, დავწურეთ და ღვინო დავაწმინდავეთ, შევაბით ურემი და თხლე არყის გამოსახდელად წავიღეთ. ურემი საარყეს ვერ მიუახლოვდა, ვერ მიუდგა და ჩვენც გამოუშვით ურემი და საქონელი საძოვრად გავრეკეთ.

— მოიტათ, მოიტათ ურემი ახლოს!—დაგვიყვირა თავადმა ზევიდან.

— ბატონო, გზა არ არის, კამეჩებიც გავრეკეთ, აბა რა ვქნათ?

— თქვენ რომელი კამეჩები შეგედრებათ?.. ჩქარა შებით და ამოიტათ ურემი მაღლა.

ჩვენც, მე. ილია მახარაშვილი და ხანდრო შარაშენიძე შევებით ურემში, მოდი და ნუ შეებმები: პრისტავიც მაგათი იყო, მამასახლისიც, მღვდელიც და მათრახიც. აბა ჩვენ ვილა მოგვეხმარებოდა?.. ურემი აღმართზე დიდი გაჭირებით ავიტანეთ, ხოლო თავდაღმართზე მოგვაწვა და ველარ შევიმაგრეთ.

— გაუშვი ილია, გაუშვი, თორემ დავიხოცებით!—დამიყვირა ხანდრომ.

მეც გავუშვი. გაუშვი. ურემი დაიბრახუნა, დაგორდა, მაგრამ უვნებლად გაჩერდა სწორედ იქ, სადაც მიგვქონდა.

სად იყო გინება, სად იყო ლანძღვა, ხულ დედამიწასთან გაგვასწორა მე და ხანდრო ჩვენმა თავადმა.

— ურემი რათ გაუშვით?—ხულ ამას გვიყვიროდა. მოგვდო შარი, რომ ვენახიც ვერ გააკეთეთ და ჩვენი ნაშრომი სანახევრო „პატიოსნათ“ ჩამოგვართვა. მაშ ეხლანდელი დრო და მაშინდელი, ერთია შვილო?

— კიდევ გეცოდინებათ რამე, თქვით პაპა—შევეხვეწე მე.

— გეტყვით შვილო, გეტყვით, რატომ არ გეტყვით? მთელი ჩემი სიცოცხლე თავადების მონობაში გამიტარებია, სიტყვით გული მაინც არ მოვიფხანო? ჩაი გინდა, რა დრო იყო!

— ერთხელ კიდევ, იცი რა მიყო ამ თავადმა? საღამოთი დამიძახა ფეხის გული დამფხანეო,.. რა ვიცი, ისე არ ეძინებოდა. ქვეყნის ცოდვებში აწუხებდა, თუ მიწა ეკლად ეჩვენებოდა.

მეც მოუჯექ ჩემ თავადს და ფეხის ქუსლზე დაუწყე ფხანა. გავიდა დრო და ისიც მიიხაბა, მაგრამ მე ისე დავიღალე. ისე მოვიქანცე, რომ თავს ძლივსღა ვიმაგრებდი. მერე იმ დღეს მთელი დღე მინდორში ვმუშაობდი.

მეგონა, თავადმა დაიძინა. ავდექ, ავიკრიფე ფეხები ძძიმეთ და ფრთხილად გამოველ გარეთ. ჩვენ თავადს მალე გამოეღვიძება, უკითხავს, წამოხტარა, შემჯდარა ცხენზე და მათრახით მომვარდა კარზე. ამ დროს მე შემთხვევით სხვენზე ვიყავ და ზევიდან დავცქეროდი რეტიან ადამიანს.

უჟრილით, გინებით, მუქარით და ხანჯლით შემოვარდა ოთახში. ჯერ მიკითხა და რომ უთხრეს, აქ არ მოსულაო, სულ ხანჯლის წვერით დაჩხვლიტა მუთაქები, ბალიშები, საბნები და ლეიბები: აქ სადმე დამალული გეყოლებათო.

აქოთა, გადააბრუნა მთელი ხახლი, გალანძღა, გამოლანძღა ყველანი და ისე წავიდა სახლში.

— მაშ ის დრო და ეს დრო ერთია შვილო? —კიდევ შემეკითხა და გაჩუმდა მოხუცი. ცოტა დაისვენა და...

— ის თავადი შვილო კვირაცხოვლობას ერთხელ გალეშილი და შეიარაღებული დაბრუნდა სოფელში. შარა გზაზე ერთ გუბესთან შედგა, აავსო ყანწი ლაფით და გაიმართა წელში. გლეხები მიხვდნენ და თავიანთ დროზე გაიქც-გამოიქცნენ, ზოგმაც ვერ გაიგო და ზრდილობიანი სალამით თავადს ცხვირწინ გამოუარეს.

— შენ რომელი ხარ?—ეკითხებოდა გამვლელთ ბოროტი ადამიანი.

— დათაი, შენი ჭირიმე!—უპასუხებდნენ.

— აბა მაშ მოდი, მოდი ჯერ ეს დალიე და მერე გასწი შენ გზაზე.

— ეგ რა არის შენი ჭირიმე?

— რა არის და მაჭარი! განა შენ უარს ამობ ამის დალევაზე?—და ერთბაშად ხანჯალზე წაივლებდა ხოლმე ხელს.

გლეხიც შეხედავდა, ბრაზით აენთებოდა თვალები, შურისძიება იფეთქავდა იმის გული, მაგრამ რა ექნა? პრისტავიც თავადებისა იყო, მღვდელიც, მამასახლისიც და ხანჯალიც. მოდი და ნუ დალევ. და გლეხიც ხვეწნიანი გულით ეუბნებოდა:

— ეგა, ჩემი ჭირიმე?.. ზხამიც რომ იყოს მაინც დაგლევ თქვენ ისე მიყვარხართ—გამოიმეორებდა და სვამდა.

მაგრამ აი, ცოტა ხნის შემდეგ თავადის ცხვირწინ ერთმა თუშმა გამოიარა, ის მამაცხონებული, ისეთი მხარბეჭიანი, ლამაზი და წარმოსადეგი იყო, რომ ყველა იტყოდა, ნეტავ სულ ჩვენთვის მაყურებინაო.

ლამაზ ცხენ-ბეჭს, ლამაზი თოფი და ფალასკეც უმშვენებდა, წელზე კიდევ ვერცხლის ხანჯალი ეკრა. თუში იყო მეცხვარე, ლურჯი ცხენით მოდიოდა. თავადს რომ გაუსწორდა, სალამი მისცა. თავადმა აღვირს სტაცა ხელი და ცხენი შეუყენა.

— აბა, თუშო, შენც დალიე ეხა?

— რა არის ეგ, რა უნდა დავლიო?—წყნარად უპასუხა თუშმა და ზევიდან სწრაფად ჩახედა ყანწს.

— რაც არის, უნდა გამომართო და დაცალო.

— ეგ ხომ ლაფია, ადამიანო. მომიტა წმინდა ღვინო და დავლევ.

— ჯერ ეს დალიე—შეჰყვირა თავადმა.

— ალავერდი შენთანა ვარ... დალიე და დავლევ.

— როგორ, უარს მეუბნები?

— არა შენი ყველაყისამ, სწორედ მაგას დავლევ!.. უშვი ხელი აღვირს.

— მაშ არ დალევ, ბრიყვო? შენისთანები იყვნენ, რომ სულ გამოცალეს? დალიე ჩქარა! —იტაცა ხელი ხანჯალზე—თორემ ემ წუთას ცხენიანათ ნაკუწ-ნაკუწ გაქცევ.

— დალიე, ბაჭო დალიე..,

— დალიე, ჩვენი თავადია...

— დალიე, თორემ მოგკლავს—შემოეხმა თუშს სხვადასხვა ხმები.

— რაო, თავადიაო?,.. დავლიოო?!. მომკლავსო?!—შეჰყვირა თუშმა და ბერდანკას იტაცა ხელი—დედას გიტირებ თუშს, თუ შენ საცერივით არ დაგხვრეტ!..

თოფი რომ მოიმარჯვა, თავადს ისე შეეშინდა, რომ ყანწი ხელიდან გაუშვა და გუბეში ჩაუვარდა. გუბემ ხმა ამოიღო და წინწკლები ცხენს შეაყარა. ცხენი დაფრთხა, გაიქცა, მაგრამ თუშმა თავი დაუჭირა, მოაბრუნა და თავადს გამოუდგა. თავადი კი ისე თავმოგლეჯილი მირბოდა, რომ შურდულიც კი ვერ მიეწეოდა... აი ესე შვილო, ეხლა კი არც ერთი თავადი აღარ არის აქ, ყველანი გაიქცნენ. მაშ ეს დრო არა სჯობია?

ბიჭიამ ცალი თვალით გადმოხედა, ეშმაკურად გაიცინა, რომ ენიშნა ჩემთვის ერთი და იგივეობა იმ სამი ძმა თავადებისა, რომლებზედაც პაპა მიამბობდა და იმ სამი ძმა თავადებისა, რომლებზედაც გზაში თითონ მიამბო. ბიჭიას მეც გავუღიმე ნიშნად იმისა, რომ მე დიდი ხანია ამას უკვე მივხვდი.

ესე ამ მუსაიფში და მასლაათში გავატარე ეს საღამო. მეორე დღეს დილიდანვე ვეწვიე სოფლის სკოლას. სკოლა არა სანუგეშო მდგომარეობაში დამხვდა, მითხრეს, რომ სკოლას მალე ავაშენებთო, ჯერ-ჯერობით კი აი, ამ დუქნებში ვსწავლობთო. რამოდენიმე ხნის შემდეგ მე უკვე შევკრიფე სკოლის ერთ-ერთ მოზრდილ ოთახში 300-მდე მოწაფე და დავიწყე საქმე.

რა მშვენიერობა, რა გონივრობა სოფლის ბავშვებში მუსიკაზე ლაპარაკი, ვიოლინოზე დაკვრა, მღერა და ჩვენ მწყემსის სტვირზე დალიდინება.

მოწაფეთ და მასწავლებლებს გაუკვირდათ რომ უთხარი:

— ვიოლინოს მთელი 300 წელიწადი აკეთებდნენ და რომ ამ ორასი წლის წინედ ძლივს გააკეთეს. ყველაზე კარგი ოსტატი ვიოლინოსი სტრადივარიუსი იყო და რომ იმის ვიოლინონი ევროპაში მილიონები ღირს მეთქი.

სკოლის შემდეგ წავედი სასოფლო კრებაზე. რომ იქაც გავეგო რამე და მესწავლა.

კრებას ხელმძღვანელობდა აღმასკომის თავმჯდომარე. პირველ საკითხს ვერ მოუსწარი.

...მეორე საკითხი მეველეების საკითხია, მართალია ეს საკითხი მეტად მწვავეა, მაგრამ ძალიან საჭიროცაა. შეშა ხომ ყველას უნდა? ხის მასალა ხომ ყველასათვის საჭიროა? მაშასადამე, ტყის დამცველიც და შემნახველიც საჭირო ყოფილა. როგორ ავირჩიოთ მეველე—ავიდა მაგიდაზე და ილაპარაკა თავმჯდომარემ.

— რაო, რაო?—ვიღაცა გლეხმა ვერ გაიგო, რადგანაც ელაპარაკებოდა ამ დროს სხვას და ამისათვის წამოვიდა წინ, შედგა თითის წვერებზე და კრების თავებზე გადახედა—მეველე რისა? ტყისა თუ მინდვრისა?

— ტყისა, ტყისა!.. ხად იყავ, გეძინა!—უსაყვედურა ვიღაცამ საიდანღაც.

— ოო! დიდი ხანია, რაც შენ გამოფხიზლდი? დისციპლინა საჭირო, დისციპლინა, თორემ მეველენი საზღვრებს ვერ იმაგრებენ—უპასუხა პირველმა გლეხმა.

— ორი კაცი ამოვირჩიოთ, ერთი რას გაბდება?—ამოიღო ხმა ვიღაცამ.

ტყეც გვეჭირდება და მეველეც!—სთქვა მეოთხემ.

— ყველა მოსახვევებში რომ ირჩევენ მეველეს, განა კარგია რო!—სთქვა მეხუთემ.

— ტყის მეველე, მინდორს ვერ შეინახავს! —დაიყვირა მეექვსემ.

— უდათაოდ და უნიკოოთ აქ ტყე არ შეგვენახება. ესენი უნდა იყვნენ მეველეთ.

ავიდა ისევ აღმასკომის თავმჯდომარე და განუმარტა:

— გურჯაანი თხოულობს ორ მეველეს, ტყე დიდია, ერთი ვერ აუვა. კანონით თითო მეველეს 80 მან. უნდა მიეცეს თვეში, ორივეს 160 მანეთი, არის კიდევ სხვა ხარჯები და ამრიგად სოფელმა წელიწადში 1000 მან. უნდა გადაიხადოს მეველეების შესანახად. მაშინ ტყეც შეგვენახება და შეშაც გექნებათ.

— ზამთარია, ორი რათ უნდა?—წამოიძახა ვიღაცამ, როდესაც თავმჯდომარე ჩამოვიდა ზეგიდიდან.

— ტყე ეხლა გვეღუპება შვილოსა, თორემ ზაფხულში რათ გვინდა მეველე?—უპასუხა მეორე გლეხმა.

— მაშ დაასახელეთ, ვინ იყვნენ?—შეეკითხა თავმჯდომარე.

— ვინც უნდა იყვნენ, სულ ერთია, თუ დათა შიგ არ ურევია არ იქნება—დაიყვირა ვიღაცამ.

— ნათლი-მამობა არ იყოს—უპასუხეს.

— წერა-კითხვა იცოდეს!

— აი, ჩვენი დათა, ავირჩიოთ ხურაშვილი, მაგრამ წერა იცოდეს.

— გიგა ქარელიშვილი იყოს, ვინა ხართ მომხრე?

— ერთი მეველეებსა ჰკითხეთ, გრანიცა იციან, რომ დგებიან მეველეთ?

— იციან, იციან!

თავმჯდომარე ისევ ავიდა მაღლა და გადასძახა:

— გურჯაანს 665 დესეტინა ტყე აქვს. თუ მომეცემთ ერთ იმისთანა კაცს, რომელიც შეინახავს ამდენა ტყეს, თვეში 50 მ. მივცემ. აბა ცალი კამეჩი შეაბით ურემში?.. ტყეს გვაჩომევენ მოუვლელობის გამო... მომეცით რაღა ერთი კაცი.

— ორი იყოს, ორი!—დაიგრიალა კრებამ ერთხმად.

— მაშ გამოჰყავით უბნებიდან თითო კაცი, რომლებიც გააწერენ შეძლებისდაგვარათ და შეჰკრეფენ კიდეც მეველეების ფულს...

ამინდი მშვენიერი იყო. მართალია ზამთარი პირზე იდგა, მაგრამ ჯერ მაინც ისევ გაზაფხულობდა.

გლეხებმა კიდევ ბევრი იმსჯელეს თავიანთ პირ-ვარამზე, გადასჭრეს და გადასწყვიტეს სხვადასხვა საკითხები და მხიარულად დაიშალნენ.

მეც წამოველ სახლში, მოვძებნე ჩემი მესტვირე, გაგვიძღვა წინ თეატრის გამგე, ენერგიული თეოფილე კარბელაშვილი, გავმართეთ რკინის გზის კლუბში ერთი საღამო, ჩავაბარგდით და მეორე დილას გავწიეთ მე და ჩემმა მესტვირემ სიღნაღისაკენ, სტვირის ლერწმების ჩამოსატანად.

ილიკო ქურხული.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინ

მიწადმოქმედების კომისარიატის ღონისძიებები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად

მიწადმოქმედების კომისარიატი უკვე შეუდგა სამზადისს საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის. კამპანიის ჩასატარებლად შემუშავებულია სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით საჭირო თესლეულობით პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნება ის რაიონები, რომლებიც გასულ წელს დაზარალდენ მოუსავლიანობისაგან.

ვინაიდან წელს ტექნიკურ პირობების გამო შეუძლებელი იქნება ნათესების სივრცის გაფართოება, ამიტომ მიწსახკომმა გადასწყვიტა ყოველგვარი ზომები მიიღოს მოსავლიანობის ასაწევად. ამ მიზნით საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის გაძლიერებულია თესლეულობის საწმენდი პუნქტების მუშაობა.

დღევანდელ გაზაფხულის კამპანიისათვის საწმენდ პუნქტებში უკვე გაწმენდილი იქნა 6400 ტონა კარგი ჯიშის ხორბალი და ამდენივე სიმინდი. გაწმენდილ თესლის ნაწილი უკვე დაურიგდა გლეხობას.

მოსავლიანობის გასადიდებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე მავნებლებთან ბრძოლას. მინდვრის მავნებლებისაგან დაცვის მიზნით სათესლე ხორბალი გადარჩევის შემდეგ გატარებული იქნება ფორმალინში და გოგირდის წამლებში.

ამასთანავე ნაწილობრივ უკვე ჩატარებულია ბრძოლა მინდვრის თაგვებთან, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ნათესებს.

სათესლე ხორბლეულის გაწმენდასთან ერთად, მიწსახკომი აწარმოებს გლეხების მომარაგებას ჯიშიან ბალახების თესლეულობით. ჯერ-ჯერობით გლეხებს დაურიგდა 13 ტონა საუკეთესო ჯიშის სხვადასხვა ბალახების თესლი.

ამასთან ერთად მიღებულია ზომები აგრონომიულ ორგანიზაციების, კოლექტიურ მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამქირავებელ პუნქტების უზრუნველსაყოფად საჭირო იარაღ-მანქანებით.

გამქირავებელ პუნქტებს ამჟამად აქვთ: 499 გუთანი, 119 სათესი მანქანა, 52 დამხარისხებელი, 70 ტრიერი, 153 ფარცხი; 15 სამკელი მანქანა, 21 სალეწი, 27 სათიბი; 24 ცხენიანი ფარცხი, 27 სიმინდის საფშვნელი.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში ეწყობა აგრონომიული თათბირები.

ჯერ-ჯერობით ასეთი თათბირები შესდგა: სიღნაღის, გორის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებში. დღეს ასეთივე თათბირი შესდგება ახალციხეში.

ა.-კ. რკ. გზის შემნახველ სალაროების მუშაობა

სახელმწიფო შემნახველი სალაროები ერთი მხრით მიზნათ ისახავენ შესაძლებლობა მისცენ მოსახლეობას შეინახოს და დააგროვოს მონაგარი ფული, ხოლო მეორე მხრით ხელს უწყობენ სოციალისტური მშენებლობის ზრდას და სახალხო მეურნეობის განვითარებას. შემნახველი სალარო წარმოადგენს საიმედო ადგილს ფულის შესანახად. მშრომელ მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა შეინახოს ფული სალაროში სასურველი რაოდენობით და ვადით და მიიღოს უკანვე თავისი ფული საჭირო მომენტში, წლიური 8 პროც. სარგებლით. ამასთანავე ერთად შემნახველი სალარო მშრომელ მოსახლეობას აჩვევს მომჭირნეობას და თავისი შემოსავლისადმი გონივრულ დამოკიდებულებას. მოსახლეობის იმ თავისუფალი თანხების შეგროვებით, რომელიც ბრუნვის გარეშეა, სახელმწიფო ამტკიცებს და აფართოებს მრეწველობას, სასოფლო მეურნეობასა და კულტურას. ამიტომ შემნახველ სალაროებს ენიჭება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ამჟამად ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ შემნახველ სალაროების ზრდა და განვითარება საბჭოთა კავშირში. შემნახველ სალაროებში დაგროვილ თანხის საერთო რაოდენობა უკვე 200.000.000 მან. აღწევს.

თუ ავიღებთ ა.-კ. რკინისგზების სამმართველოსთან არსებულ № 1266 შემნახველ სალაროს, დავინახავთ, რომ ორი წლის განმავლობაში დიდათ განვითარებულა ტრანსპორტის შემნახველ სალაროს საქმე.

№ 1266 შემნახველი სალარო გაიხსნა 1925 წელში. პირველ ხანებში სალარო სუსტად მუშაობდა, სალაროში ფული შეტანილი ჰქონდა მხოლოდ 5 კაცს 173 მან. რაოდენობით, მაგრამ 1926 წ. პირველ ნახევარში, ე. ი. 1926 წ. 1 ივლისისათვის ფულის შემტანთა რიცხვი 399-დე ავიდა, ხოლო შეტანილი თანხის რაოდენობა—31,542 მანეთამდე. 1927 წ. 1 იანვრისათვის კი ფულის შემტანთა რაოდენობა 2000 კაცამდე გაიზარდა, შეტანილი თანხა—74.108 მან-დე. 1926 წელი, უმთავრესად ორგანიზაციული წელი იყო, ამ წელში რკ. გზის სადგურებზე გაიხსნა 26 შემნახველი სალარო.

შემნახველი სალაროების შემდგომი ზრდა ასეთ სურათს იძლევა: 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის ცენტრალურ სალაროში ანაბარების რაოდენობა უდრიდა 387, შეტანილ საერთო თანხის ნაშთი 18.367 მან. 13 კ., 1927 წ. 1 ოქტომბერს ანაბარების რაოდენობა უდრიდა 894, ნაშთის—179.667 მან. 36 კ., ე. ი. ანაბარების რაოდენობა გაიზარდა 131 პროცენტით, ხოლო ანაბარების ნაშთის—878 პროცენტით. ცალკე სალაროებში კი 1926 წ. 1 ოქტომბერს შეტანილი იყო 302 ანაბარი, ანაბარების ნაშთი უდრიდა 28.863 მან. 14 კ., 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის ანაბარების რაოდენობა 678 აღწევს, დარჩენილ თანხის რაოდენობა—64.034 მან. 20 კ., ე. ი. ანაბარების რაოდენობა გაიზარდა 123 პროცენტით, ანაბარების ნაშთი კი—125 პროცენტით.

1927 წელში გაიხსნა 12 ახალი განყოფილება 1927—28 საოპერაციო წლის პირველ კვარტალში შემნახველ სალაროს ოპერაციები იზრდება. 1928 წ. 1 იანვრისათვის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ანაბარების რაოდენობა 902 აღწევს, ანაბარების ნაშთი კი—189.979 მან. 52 კ., ე. ი. ზრდა უდრის 5 პროცენტს განყოფილებში: ანაბარების რაოდენობა უდრის 752, ნაშთი—137.082 მან. 37 კ. ზრდა—101 პროც.

დანარჩენი ოპერაციები, რომლებიც არაა დაკავშირებული ანაბარების მიღებასა და გაცემასთან, 1926 წელთან შედარებით გაიზარდა: [illegible] გაცემა—500 პროცენტით, სესხის ყიდვა-გაყიდვა—1000 პროც., გადაგზავნა და ოპერაციები აკრედიტივებით—200 პროც. საგერბო და საფოსტო მარკების გაყიდვა—800 პროცენტით.

სალარო ამჟამად მუშაობს 37 განყოფილება და ოპერაციები ყოველთვიურად საშუალოდ აღწევს 6.000, იმ დროს, როცა წინად თვეში სულ 1.500—2000 ოპერაციას ქონდა ადგილი.

ახალ მდგომარეობაზე გადასვლის გამო—თბილისის კვანძის სამეურნეო ერთეულებისათვის ფინანსების მიწოდებასთან დაკავშირებით, შემნახველ სალაროების მუშაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ზ. კალანდია.

საბჭოების საანგარიშო კამპანია

საქართველოს ცაკმა შეიმუშავა საინფორმაციო მოხსენების სქემა, საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ და დაუგზავნა ადგილობრივ აღმასკომებს.

კამპანიის ჩასატარებლად სამზადისი მუშაობის და მისი შედეგების ნათელსაყოფად, სქემაში აღნიშნული უნდა იქნეს: მოსამზადებელი მუშაობის ხასიათი და საბჭოების საანგარიშო კამპანიის დაწყების დრო ადგილებზე; სამაზრო აღმასკომების მიერ ჩატარებულ საანგარიშო კრებების რიცხვი; დეპუტატების და საბჭოს არაწევრების დამსწრეთა რაოდენობა კრებებზე; სათემო და სასოფლო საბჭოების მიერ ჩატარებულ საანგარიშო მოხსენებათა რიცხვი; საარჩევნო პუნქტების რაოდენობა, პუნქტების მიზანშეწონილი განაწილება; მოსახლეობის რაოდენობა თვითეულ პუნქტზე; მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობა და თავისებურობა და სხ.

ქალაქის საბჭოების ანგარიშის ჩაბარების შინაარსი; ამომრჩეველთა კრებების ორგანიზაციის პრინციპი (წარმოებებში, დაწესებულებებში, პროფკავშირებში, დაქსაქსულ ამომრჩეველთა კრება და სხ.).

ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩამბარებელთა ვინაობა და მათი რიცხვი.

ამომრჩეველთა აქტიურობა საანგარიშო კრებებზე: მათი შეკითხვები, სიტყვები, წინადადებები და საერთოდ ამომრჩეველთა მიერ აღნიშნული დეფექტები საბჭოს მუშაობაში და სხ.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობა საანგარიშო კრებებში, მათი რაოდენობა და პროცენტული შემადგენლობა.

ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა როლი, მათი აქტივობა და დამოკიდებულება ამომრჩეველთა დანარჩენ ჯგუფებთან; ქალების და ინტელიგენციის მონაწილეობა საანგარიშო კრებებში; სოფლის შეძლებულ (კობოლა) ელემენტების მუშაობის ხასიათი, მათი ორგანიზაცია და გავლენა საანგარიშო კრებებზე; წითელი არმია და საანგარიშო კამპანია; ტერიტორიალურ ნაწილების მონაწილეობა კამპანიაში; გლეხობის აქტივის როლი და მონაწილეობა.

საბჭოს შემადგენლობიდან სხვადასხვა მუშაობისათვის გაწვეულ დეპუტატების რიცხვი: მათი გაწვევის მიზეზები, კედლის და ადგილობრივ გაზეთების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა კამპანიაში.

გამოკვლეულ სექციების რაოდენობა და გამომკვლევ ორგანიზაციების ვინაობა; საუკეთესოდ მუშაობისათვის ჯილდოს მისაცემად გამოყოფილ სექციების რიცხვი; საუკეთესო სექციებზე კონკურსის ჩატარების შედეგები და დაჯილდოებულ სექციების რაოდენობა.

ამ გეგმით შედგენილი საინფორმაციო მოხსენებები საანგარიშო კამპანიის შედეგების შესახებ, ადგილებმა ცაკს უნდა წარმოუდგინონ კამპანიის დასრულებისთანავე.

23 და 25 თებერვლის დღესასწაული

როგორ უნდა ჩატარდეს დღესასწაული სკოლებში

განათლების კომისარიატმა მაზრის განათლების განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულების ჩატარების შესახებ სკოლებში.

განყოფილებების გამგეებს ევალებათ სკოლებში მოაწყონ მოხსენებები, საქართველოს სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე და წითელი არმიის მიღწევებზე.

დღესასწაულის ჩატარების დროს მოხსენებების გარდა აგრეთვე სკოლებში უნდა მოეწყოს შესაფერისი შინაარსის წარმოდგენები და საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოგონებების საღამოები, პიონერთა გამოსვლები და სხვა. დღესასწაულზე მოწვეულ უნდა იქნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელნი და მოწაფეთა მშობლები.

ამ დღისათვის სკოლის შენობა მორთული უნდა იქნას მცენარეულობით, დროშებით, რევოლიუციის ბელადების და მოღვაწეთა სურათებით. გამოფენილ უნდა იქნას სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატების მაჩვენებელი სქემები, დიაგრამები, პლაკატები, ლოზუნგები და სხვა. ასეთივე ხასიათის მუშაობის ჩატარებაში მოწაფეები ეხმარებიან ადგილობრივ დაწესებულებებს და წითელი არმიის ნაწილებს. ამზადებენ მათი დავალებით მიღწევების მაჩვენებელ პლაკატებს, სქემებს და დიაგრამებს.

დღესასწაულის დღეს მასწავლებლები და მოწაფეები მონაწილეობას იღებენ მასიურ გამოსვლებში (გარდა პირველი და მეორე ჯგუფის მოწაფეებისა), ხელმძღვანელ ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ინსტრუქციების თანახმად.

საქ. უნივერსიტეტის 10 წლის თავისათვის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების რიცხვი

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე ამჟამად სწავლობს 7.803 სტუდენტი, მათ შორის: პედაგოგიურ ფაკულტეტზე 2359 (1.600 ვაჟი და 759 ქალი), სოციალურ-ეკონომიურზე — 2.163 (1.790 ვაჟი და 378 ქალი), აგრონომიულზე — 1.111 (969 ვაჟი და 142 ქალი), საექიმოზე — 1.108 (660 ვაჟი და 448 ქალი) და პოლიტექნიკურზე—1062 (1.018 ვაჟი და 44 ქალი).

უნივერსიტეტის კურს-დამთავრებულნი

ათი წლის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და დიპლომი მიიღო 755 კაცმა, მათ შორის პედაგოგიური ფაკულტეტი — 152 კაცმა, საექიმო — 451, აგრონომიული — 145, სოციალურ-ეკონომიური —14.

პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაარსდა ყველაზე უფრო გვიან (1923 წელს), პირველი გამოშვება მოხდება მხოლოდ მიმდინარე წლის დამლევს ან მომავალი წლის დასაწყისში.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გარდა, რომელთაც მიიღეს დიპლომები, 511 კაცმა მოისმინა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული კურსი და მიიღო დროებითი მოწმობები მათ მიერ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებამდე.

უნივერსიტეტის მუშაკები

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მუშაობს 557 სამეცნიერო და სხვა მუშაკი. მათ შორის: 41 პროფესორი; 25 დოცენტი; 93 ლექტორი; 4 პრივატდოცენტი; 115 ასისტენტი; 32 ასპირანტი; 46 ორდინატორი; 67 საშუალო ტექნიკური პერსონალი; 85 დაბალი ტექნიკური პერსონალი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის 41 პროფესორიდან — 3 არის დამსახურებული პროფესორი და 30 დოქტორის სამეცნიერო ხარისხით.

25 დოცენტიდან — 10 დოქტორის ხარისხი აქვს.

თათბირი სას.-სამ. პროდ. ექსპორტის გაძლიერების შესახებ

გუშინ ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან შესდგა საექსპორტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის გაძლიერების შესახებ. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის, სოფლის კავშირის, მუშკოოპის, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის და სხვ. წარმომადგენლები.

თათბირმა მოისმინა ამხ. ლ. მჭედლიშვილის მოხსენება სას.-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ ქარხნების მშენებლობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საექსპორტო პროდუქტების კონტინგენტში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს დაიჭერს გორის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ აგრეთვე ხილის სახმობი ქარხნები, რომლებიც წლიურად იმდენ ხმელ ხილს დაამზადებენ, რომ შესაძლებელი გახდება საექსპორტო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ერთი ახალი საკონსერვო ქარხანა გახსნილ იქნეს დასავლეთ საქართველოში, სადაც ხილი ბევრია და იაფიცაა. ასეთი ქარხანა, მომხსენებლის აზრით, უნდა გაიხსნას ქალ. ქუთაისში. ქარხნის ასაგებათ საჭირო აღარ იქნება ახალი პროექტის დამუშავება, ვინაიდან ახალი ქარხანა აგებულ უნდა იქნეს გორის საკონსერვო ქარხნის მსგავსად. გორში კი საკონსერვო ქარხნის აგება დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბრისათვის.

მოხსენების შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო დაწყებულ იქნეს სამზადისი ქუთაისში საკონსერვო ქარხნის ასაგებათ და გარდა ამისა დასავლეთ საქართველოში აგებულ იქნეს ორი ხილის სახმობი ქარხანა, ხოლო უკვე დაწყებული ქარხნების აგება (ს. მეჯვრისხევში, შინდისში, ტყვიავში და ახალციხეში) დამთავრებული იქნეს მაისისათვის.

კონკრეტიული ზომების გამომუშავება საექსპორტო საკითხების მოსაგვარებლათ გადატანილია თათბირის შემდეგ სხდომაზე, რომელიც მოწვეული იქნება მომავალ კვირაში.

ქრონიკა

მწერალი ბ. ლავრენევი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა პიესა „რღვევა“-ს ავტორი ლავრენევი, რომელიც დარჩება თებერვლის დამლევამდე. სამშაბათს, 14 თებერვალს ლავრენიევი დაესწრება პიესა „რღვევა“-ს მესამე დადგმას რუსთაველის თეატრში.

ბაგები მრეწველობაში მომუშავე ქალთა ბავშვების საჭიროებისათვის

წარმოებაში მომუშავე ქალთა ბავშვებისათვის საჭირო ბაგების ქსელის გაფართოების მიზნით, ამიერ-კავკასიის ცაკმა და ამ.-კავკ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინეს: მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდის იმ ნაწილიდან, რომელიც კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად არის დანიშნული, გადადებული იქნეს 5—10 პროცენტი ბაგების მოსაწყობად და შესანახად. ბავშვების რაოდენობას აწესებს დაწესებულებათა, ტრესტების და წარმოებათა ადმინისტრაცია სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

200 ვაგონი პური ამ.-კავკასიისათვის

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ გზათა კომისარიატის განკარგულებით როსტოვიდან ნოვოროსისკში გაგზავნილია ამ.-კავკასიისათვის დანიშნული 200 ვაგონი პური.

აღნიშნული პური ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება ზღვით.

პურის ზღვით შემოტანა გამოწვეულია იმით, რომ ამიერ-კავკასიის რკ. გზა საექსპორტო ნავთის გადაზიდვის გაძლიერების გამო ამჟამად მეტის-მეტად დატვირთულია.

მერძეობის ფერმა

რაჭის სამაზრო აღმასკომი ზემო რაჭაში სოფ. გლოლაში აწყობს მერძეობის დიდ ფერმას. ამ ფერმაში აგრეთვე იწარმოებს საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენება მაზრაში მესაქონლეობის განვითარების მიზნით. ფერმა რძის პროდუქტებს უმთავრესად მიაწოდებს კურორტ „შოვს“. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა რაჭის აღმასკომისათვის სესხის მიცემის შესახებ ფერმის მოსაწყობათ.

ამინდი

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით გუშინ მთელს საქართველოში და აზერბეიჯანში წყნარი და თბილი ამინდი იდგა.

თითქმის ყველგან ტემპერატურამ ნულის ზევით აიწია. ასეთ ადგილებში, როგორიცაა აბასთუმანი და ბორჯომში ყინვა საგრძნობლად შესუსტდა.

ყინვა სომხეთშიაც შესუსტებულია და კარგი დარები დგება.

თბილისის აღმასკომში

- **პიონერთა კლუბის** მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 350 მანეთი.
- **ელსადგურის გადაცემა.** საგარეჯოს თემს გადაეცა 60 ცხენის ძალიანი ელსადგური.
- **სისხლის სამართლის** მილიციის საპატიმროების შესაკეთებლად [illegible] გადასდო 2498 მანეთი.
- **„სოფლის კავშირს“** გადაეცა საზ-ბა „ტრიოხგორნოე ტოვარ იშ ქარტივ“-[illegible] კოპრაქის და არაყის სახელმწიფო ქარხანა.
- **აგურხანების მუშათა სახლის** კეთილმოსაწყობათ აღმასკომმა გადასდო 7016 მანეთი.
- **დახმარება.** მარტყოფის თემაღმასკომს თემის საჭიროებისათვის გადაეცა 200 მან.
- **სახლმფლობელთა აღრიცხვა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა, ჩაატაროს სახლმფლობელთა ხელახალი აღრიცხვა სახლის მფლობელობის იურიდიული და ფინანსიური მდგომარეობის გამოსაკვლევათ.
- **აგურის ქარხნების** ღუმელების გასაუმჯობესებლად ადგილ. მრეწველობის განყოფილებას გადაეცა 3339 მანეთი.

მიწსახკომში

- **სანერგე.** ოზურგეთის მაზრის სოფ. მექვენაში ციტრუსოვან და სუბტროპიკულ მცენარეების სანერგეს გასაშენებლად მიწსახკომმა გადასდო 5752 მანეთი.
- **ჯიშიანი ღორები.** სენაკის და ზუგდიდის ჯიშიან ღორების მოსაშენებელ სადგურებისათვის ღორების შესაძენად, აგრონომი ჯინორია მივლინებული იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში.
- **მივლინება.** სატყეო-სექციის სრულიად საკავშირო ყრილობაზე საქართველოს სატყეო სპეციალისტების სექციამ მოსკოვში მიავლინა მეტყევე სურგულაძე და კონსტანტინეშვილი.
- **ვენახების აღსადგენად.** თელავის მაზრაში მევენახე გლეხებისათვის სესხად დასარიგებლად სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 16.000 მანეთი.
- **ნავთსადგურების სამმართველომ** სოხუმის ნავთსადგურის გასაფართოებლად გადასდო 250 ათასი მანეთი.

ჩაუბარებელი დეპეშები

სოვეტსკიდან — აკოფოვს, განჯიდან—მოსესოვს, ხაშურიდან — კორინთელს, ბაქოდან —მუსაბეკოვს, ვორონეჟიდან — ერზინკიანს, ბაქოდან — ალექსეევს, ახალი სოფლიდან — რეხვიაშვილს, ევლახიდან — შამედ-იუღლემანოღლს.

შემთხვევები

მცირეწლოვანი ქურდები

გუშინწინ, ღამით გაქურდეს გ. თავართქილაძის სტამბა (წერეთლის ქ. № 6). წაიღეს ერთი ფუთი ქაღალდი. ამ საქმეზე შეიპყრეს მცირეწლოვანი: ზავენ ასატურის ძე ასტვაცატურიანცი და გემად პაიკის ძე კონდახჩიანცი.

ქურდის დაპატიმრება

გუშინწინ, ღამით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მ. ტანოვის ბინა (ფეთხაინის ქ. № 45). გუშინ ამ საქმის გამო მილიციამ დააპატიმრა სარქის ებრამის ძე ხოჯალჯიანცი.

ქურდობა

გუშინწინ, დღისით მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ნიკოლოზ ზაუტაშვილის ბინა (იზმაილოვის ქ. № 40); წაიღეს 120 მანეთის ტანისამოსი.

გუშინ, კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს ამაიაკ აბრამიანის საპარიკმახერო მდებარე სამხედრო ქუჩაზე (საბურთალო). წაიღეს 50 მანეთის ხელსაწყოები.

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მიხეილ ალექსიანცის ფეხსაცმელების სახელოსნო (მილიციის ქ. № 7). წაიღეს 76 მანეთის საქონელი.

გუშინ, დღისით გაქურდეს ნიკოლოზ ბანცაძის ბინა (პისარევის ქ. № 12). წაიღეს 893 მანეთის საოჯახო ნივთები.

ა.-კ. ცაკში

ა.-კ. საარბიტრაჟო კომისია

ა.-კ. ცაკის დადგენილებით, სახელმწიფო დაწესებულებათა შორის წარმოშობილ დავათა გასარჩევათ ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოსთან არსდება ა.-კავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის და წევრებისაგან (წევრების რაოდენობა განსაზღვრულია 5-დან—15-მდე). კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და წევრებს ნიშნავს ა.-კ. უმაღლესი ეკონომსაბჭო.

ა.-კ. ცაკის მიერ დამტკიცებულია დებულება კომისიის შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია კომისიის კომპეტენცია და საქმის წარმოების წესი.

დანარიცხები

ა.-კ. ცაკის დადგენილებით, გაუქმებულია დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ და დროებითი დებულება დანარიცხების და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც მიმართავდენ ხოლმე ფინსახკომების საკონტროლო დაწესებულებები.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ამ.-კავკასიის რკინისგზების გამგეობაში მიღებული ცნობებით, გზათა სახ. კომისარიატის ცენტრალურ სავეგმო სამმართველოში 13 თებერვლისათვის დანიშნულია თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი.

თათბირი განიხილავს უღელტეხილის ელექტროფიკაციის საბოლოო პროექტს და სამუშაოების შესრულების ვადას. ამასთანავე გადაწყვეტილი იქნება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა მრეწველობა უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოებში.

თათბირზე მოწვეული არიან უცხოეთის ფირმების წარმომადგენლებიც.

ამ.-კავკასიის რკ. გზების გამგეობიდან თათბირზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაემგზავრა სურამის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციო ბიუროს უფროსი ინჟ. გ. შახბუდაგოვი.

შრომის სახალხო კომისარიატის ექსპედიცია

შრომის სახ. კომისარიატის მიერ ტყიბულში, ქუთაისში, ოზურგეთში და ჭიათურაში მივლინებული იყო ექსპედიცია შრომის ჰიგიენის ლაბორატორიის გამგის და ლაბორანტის შემადგენლობით. ტყიბულის და ჭიათურის მაღაროებში ექსპედიციამ გამოიკვლია ჰაერის შემადგენლობა, სინესტე, მტვერიანობა, ეფექტიური ტემპერატურა, განათება, ვენტილიაციის მდგომარეობა, მუშების საზრდოობა და საბინაო პირობები.

ქუთაისში გამოკვლეულ იქნა შრომის ჰიგიენური პირობები მაუდის ფაბრიკაში, ბარიტის ქარხანაში და თამბაქოს ფაბრიკაში, ქუთაისის საგრენაჟო სადგურზე გამოკვლეულ იქნა მიკროსკოპებზე მუშაობის გავლენა თვალებზე.

გარდა ამისა, ექსპედიციამ გამოიკვლია ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში მომუშავეთა შრომის ჰიგიენური პირობები.

გამოკვლევის მასალები დამუშავებული იქნება შრომის სახ. კომისარიატის სანიტარულ-ტექნიკურ განყოფილებაში და მოხსენდება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას, რის შემდეგაც შემუშავებული იქნება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

პრაქტიკანტ—სტაჟიორები

შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ პრაქტიკანტობის და სტაჟიორობის ჩამტარებელი საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით, საზოგადოება „სამშენში“ გაგზავნილია 5 პრაქტიკანტი და 5 სტაჟიორი (საამშენებლო სეზონის გახსნის შემდეგ დაემატება 5 სტაჟიორი და 5 პრაქტიკანტი); სახ. მამულების ტრესტში—6 პრაქტიკანტი და 6 სტაჟიორი; „ზაჰესში“ 2 პრაქტ. და 2 სტაჟიორი; თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებაში—10 პრაქტიკანტი და 10 სტაჟიორი; თბილისის ვაჭრობაში—1 სტაჟიორი და 2 პრაქტიკანტი; საქართველოს მარგანეცში—25 პრაქტიკანტი და 25 სტაჟიორი; ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებებში საქართველოს სხვადასხვა ტექნიკუმებიდან გაგზავნილია 37 სტაჟიორი და 93 პრაქტიკანტი.

ამასთანავე კომისიამ შესაძლებლად სცნო, ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაშვებულ იქნან პრაქტიკაზე უმაღლეს სასწავლებლების, ინსტიტუტების და ტექნიკუმების მოსწავლენი და კურსდამთავრებულები უსასყიდლოთ, მხოლოთ ყოველ კერძო შემთხვევაში შუამდგომლობა აღძრული უნდა იქნეს განათლების სახ. კომისარიატის მიერ.

სასამართლო

როგორ გადაწყდა დავა 1000 მანეთის გარშემო

დავით ნამგალაძეს არ გაუვიდა ოინი. მისი თამასუქი, რომლითაც მას უნდოდა ათასი მანეთი [illegible] რძლისათვის, სასამართლომ სცნო ყალბად.

დავით ნამგალაძეს სიყალბის ჩადენისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით, ამნისტიის შეუფარდებლად. გარდა ამისა მანვე უნდა გადაუხადოს 80 მანეთი ექსპერტებს, რომლებიც [illegible] ნამგალაძის ხელისმოწერის გასინჯვავად.

როგორც გამოირკვა, ნამგალაძეს უნდოდა თავისი ქვრივი რძლის განდევნა სახლიდან, რომლის ნახევარი მას ეკუთვნოდა.

მიწით ვაჭრობისათვის

მოქ. ალექსანდრე გაჩეჩილაძეს ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდა სურამის მახლობლად, სოფ. ჯიფანაურში.

არ აძლევდა გაჩეჩილაძეს ის გარემოება, რომ მიწა არაფერ სარგებლობას არ აძლევდა მას. რა უნდა მიეცა მიწას, რომლისთვისაც ერთხელაც თოხი არ ჩამოუკრავს გაჩეჩილაძეს.

— გავყიდი, მაგრამ ამ ოჯახქორებმა სწორედ ეხლა გამოუშვეს კანონი, რომელიც მიკრძალავს გაყიდვას,—ეუბნება გაჩეჩილაძე კოტე ხაჩიძეს, რომელსაც ძალიან სურს ხელში ჩაიგდოს ეს მიწა.

— შენ მე დამიგდე ყური და გასწავლი, როგორ შეიძლება თვალი აუხვიო მთავრობას. კანონს აქვს ისეთი ხვრელები, საიდანაც კარგი მოხერხებული კაცი ყოველთვის თავს დააძვრენს. მე ვიყიდი მაგ მიწას და აბა ვნახოთ, რას მაზამენ. მხოლოდ მოიქეცი ისე, როგორც მე გითხრა.

— აბა, როგორ მოვიქცე?

— შენ ამ მიწაზე რამე შენობა, ისე, ყასიდათ, ვითომ საცხოვრებლად გინდა. სახლის გაყიდვა ხომ არ არის აკრძალული? მე ვითომ სახლი მომყიდე შენ, ასე გაავრცელე ხმები. მე კი მიწის ფასს მოგცემ სახლში და ამ რიგად კანონს თვალს დაუბრმავებთ.

— კი, მაგრამ, სად მაქვს ფული სახლის ასაშენებლად.

—შენ კაი კაცო, სასახლეს კი ნუ აგებ, რაღაცა ისე ააშენე კარავივით.

არ გასულა ერთი კვირა, რომ გაჩეჩილაძის მიწაზე გაჩნდა ერთი ობოლი ქოხი. ქოხს არ ჰქონდა არც იატაკი, არც ჭერი, არც ლამფა. მწყემსის კარავი სასახლედ გამოჩნდებოდა მასთან შედარებით.

მიუხედავად ამისა კოტე ხაჩიძემ ხუთასი მანეთი დაუთვალა გაჩეჩილაძეს და შეისყიდა „სახლი“.

ასეთი ოინით გაჩეჩილაძემ ვითომ „თვალი აუხვია“ ხელისუფლებას და „გაპარა“ მიწა.

„ხუთასმანეთიანი ქოხის“ ამბავი მიიდა სურამის აღმასკომის ყურამდე. საქმე გადაეცა სასამართლოს.

არ გაუვიდა ოინი. ხაჩიძეს ჩამოერთვა მიწა და გადაირიცხა საადგილმამულო ფონდში. გაჩეჩილაძეს ჩამოერთვა მიწაში აღებული ფული და გადაეცა სურამის აღმასკომს.

გარდა ამისა, რომ უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრან მიწით სარგებლობის შესახებ არსებულ კანონს, გაჩეჩილაძე და ხაჩიძე თითო თვით გაიგზავნა საპატიმროში.

„სტუდენტი“

კალისტრატე ღიბრაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტუდენტი“ იყო, სანამ ყალბ მოწმობას „ვადა გაუვიდოდა“.

სტუდენტობის მოწმობა ყოველგან შველოდა ღიბრაძეს. რკინისგზაზე, ბინის ქირაში, სამხედრო სამსახურის თავიდან აცილებაში და სხვ.

ბოლოს ღიბრაძეს „გამოცდა“ გაუკეთა სისხლის სამართლის მილიციამ. მართალია ღიბრაძე „ჩაიჭრა“ იმ საგანში, რომელიც სტუდენტს მოეთხოვება, მაგრამ სამაგიეროდ ჩინებულად ჩააბარა გამოცდა „აფერისტის წოდებაზე“.

კალისტრატე ღიბრაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული უნივერსიტეტის თანამშრომელი უშანგი ადეიშვილი, რომელიც უდანაშაულო აღმოჩნდა და განთავისუფლებულ იქნა.

ვიჟ.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ჰოფმანის ზღაპრები“

მუს. ოფენბახისა.

„ჰოფმანის ზღაპრები“ სახ. აკ. ოპერაში დაიდგა ხელმეორედ და ვინაიდან ამ ოპერის პირველ დადგმის შესახებ ჩვენ უკვე გამოვსთქვით ჩვენი აზრი, ამ მეორე დადგმაში ჩვენ შევეცდებით შევაფასოთ მხოლოდ ის არტისტიული ძალები, რომელმაც ახლად მიიღო მონაწილეობა ამ ოპერაში ა. წ. თებერვლის 9-ში.

მსახიობი მაზოვეცკაია ასრულებდა ამ საღამოს როგორც ჯულიეტას, ისე ანტონიას როლს, და ვინაიდან ავტორის მიერ ეს როლები შექმნილია მათი დაპირისპირების მიზნით, მსახიობი ვალდებული იყო, ეს დაპირისპირება ესახა და გაეღრმავებია სცენიურად. მოქეიფე და როსკიპობაში ჩართულ ჯულიეტას სურათს მსახიობმა ვერ დაუპირდაპირა ოცნებებით გატაცებული პოეტური და უმანკოებით სავსე სურათი ანტონიასი; ანტონიას მაგივრად ჩვენ ვნახეთ „მეშჩანურ“ წრის მიერ წარმოშობილი „ბარიშნა“, რომელსაც სწადია მისთხოვდეს ჰოფმანს.

ანტონიას დამახასიათებელი ხმის ინტონაცია მსახიობმა ვერ იპოვა და ამიტომ თვით სენტიმენტალურმა რომანსმაც („სიმღერა ჩვენი სიყვარულისა“) და მასზე აშენებულმა დუეტმა (ორხმოვან სასიმღეროში) ჰოფმანთან ერთად ვერ დასტოვა ჩვენზე ვერავითარი შთაბეჭდილება. საერთოდ მაზოვეცკაია ჩაითვლება გამოცდილ, სცენასთან შეჩვეულ მსახიობათ, რომელსაც უფრო ეხერხება ხმის პათეტიურად გაძლიერება, ვიდრე ლირიზმი, ეს, ჩვენის აზრით, გამომდინარეობს მისი ხმის ბუნებრივი თვისებებიდან. ლირიული ადგილები მოითხოვს კილოს დიდ სისუფთავეს და სისწორეს, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში შესდგება ბგერათა მდორე და არა გახმაურებულ მიმდინარეობიდან და მომღერალის ამ ადგილებში კილოს ბუნებრივი უსწორობა ან რყევა გამოურკვევლად სტოვებს მელოდიის მოხაზულობას. მაზოვეცკაიას ხმის დაბალი ფარდების ბგერები იმალება ორკესტრის ხმოვანებაში და ვერ აღწევს მაყურებლის ყურთასმენას, შუა ფარდებს აკლია გამომეტყველება და ამიტომ მომღერალი ინსტიქტიურად ესწრაფება ხმის მაღალ ფარდებისაკენ, სადაც ბგერათა სიძლიერე მეტად თუ ნაკლებად აზავებს კილოს უსწორობას ორკესტრის სხვადასხვა ელფეროვან ხმებთან. ეს უსწორობა კილოსი, როგორც ბუნებრივი მოვლენა, სრულებით დამოუკიდებელია ხმის ტექნიკურად განვითარებისაგან და ხშირად შეფარდდება ერთ და იმავე პირობებში, როგორც ამას აქვს ადგილი მაზოვეცკაიას შემოქმედებაში.

სრულებით საწინააღმდეგო ძიელენის წარმოადგენს ვოკალური მასალა ახალგაზრდა მომღერლის გოგლიჩიძესი, რომელიც პირველად, ც. ი. სადებიუტოთ გამოვიდა სცენაზე ოლიმპიას როლში. გოგლიჩიძის ხმას უპირველეს ყოვლისა ახასიათებს ბგერათა და თვით კილოს შესანიშნავი სისწორე და სისუფთავე და ფრიად სასიამოვნოდ აღწევს მაყურებლის ყურთა სმენამდე თავის ყოველ ფარდებში, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის მძლავრი და ჩვენის აზრით ვერასოდეს ვერ მიაღწევს სიძლიერეს. ახალგაზრდა მომღერალს ახასიათებს დიდი მუსიკალური შეგრძნება და ხმის ტექნიკურად სერიოზული დამუშავება. ხმის ელფერი, ფრიად ადვილი მოქნილობა და მაღალ ფარდებში სრულიად თავისუფალი მოძრაობა არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ გოგლიჩიძეს ხმა არის ნამდვილი კოლორატურული სოპრანო. ამ ხმის სისუსტე ანაზღაურებულია მისი სისუფთავით და ელფერით, რომელიც არ იკარგება ორკესტრის ხმაურობაში და არ კარგავს თავის დამოუკიდებლობას. მაგრამ ეს თვისება არ არის საკმარისი იმ დასკვნისათვის, თუ რამდენად გაიმარჯვებს გოგლიჩიძე საოპერო სცენაზე, ვინაიდან ოლიმპიას როლი არის ფრიად მოკლე, და ვერ აჩვენებს ხმის გამძლეობას სხვა ვრცელ და ხმისათვის დასაღალავ როლში.

კულაგინის გამოსვლა ჰოფმანის როლში უნდა ჩაითვალოს ვოკალურად სრულიად უნაკლოდ, დამუშავებულად. რაც შეეხება კულაგინის მიერ ჰოფმანის სურათის სცენიურ განხორციელებას, ვერ დავეთანხმებით კულაგინს რომელმაც ოპერის პირველ ორ მოქმედებაში გვიჩვენა არა გერმანელი სტუდენტი, აღფრთოვანებული თავის ცხოვრების ყველა მომენტში და ამ აღფრთოვანების გამო გადამლახველი რეალურ სინამდვილის საზღვრებისა და ამის გამო დამარცხებული სიყვარულში. კულაგინის ჰოფმანი ჩვენი აზრით უფრო მიაგავს ტურგენევის დროის ძარღვებ მოშლილ დასუსტებულ ნება-უფლების პატრონ „აზნაურიშვილს“, შეზავებულს ევგენი ონეგინთან.

მესამე მოქმედებაში და უკანასკნელ სურათში მსახიობმა იპოვა საჭირო სტილი და ამიტომ ოპერის მეორე ნახევარში თავისი როლი სცენიურად ჩაატარა უნაკლოდ.

ოპერას ლოტბარობდა ა. მელიქ-ფაშაევი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

მუშათა თეატრი

ქართული სექტორი. „ვინც ყველაზე სულელია“. დადგმა მ. ჭიაურელის

მორიგ პრემიერათ მუშათა თეატრის ახალგაზრდა ქართულმა სექტორმა მოგვცა ვ. ფეიგელის პიესა „ვინც ყველაზე სულელია“.

სავაჭრო კაპიტალი ებრძვის ხელოსან-ფეიქრებს. მოხუცი, გამოცდილი მუშის ფრანცის გაბედული შებრძოლებით კაპიტალთან ფეიქრები თავს აღწევენ კაპიტალისტის ოინებს. მაგრამ ვინ უნდა გაიტანოს ფეიქრების ნაწარმოები ბაზარზე გასასყიდად? აქ მოტყუებით ხელოსანი ფოქსტროტლი იმხრობს თავის ამხანაგებს და ფეიქრები აძლევენ მას თავიანთ საქონელს ბაზარზე გასატანად. ამ კომბინაციით ფოქსტროტლი მდიდრდება და წინანდელი მისი ამხანაგები დღეს მისი მუშებია, რომლებიც სასტიკ ყვლეფას განიცდიან გაკაპიტალისტებულ ფოქსტროტლისაგან. მოხუცი ფრანცის შვილი ახალგაზრდა ფრონტელი წინააღმდეგია კაპიტალისტის მხარეზე გადასვლასა, რისთვისაც ახალგაზრდა ფრონტელს ფოქსტროტლი უარს ეუბნება თავის ქალის ორტრუდას მითხოვებაზე. ფოქსტროტლი ახალგაზრდა ფრონტელს უწოდებს სულელს და ეუბნება: შენ თუ იპოვი ისეთ ადამიანს, რომელიც ყველაზე უფრო სულელია, მოგათხოვებ ქალს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამეცალე [illegible]. შემდეგ იწყება ახალგაზრდა ფრონტელის და მისი მეგობრის მაქსის მოგზაურობა აფრიკაში და ჩინეთში, სადაც ისინი პოვიან იმათ, „ვინც ყველაზე სულელია“. მაგრამ პიესის ფინალში ირკვევა, რომ სულელი ის კი არ არის, ვინც უვიცობის გამო თანახმა იყო შავკანიანების მეფის საკვებ მასალად გამხდარიყო (ზანგი) და რელიგიური ფანატიზმით გაცეცხლებული მზად იყო დანით მოეკლა თავი და მით მოეწოდებინა მუშებისათვის რელიგიისაკენ (ჩინელი), არამედ ის, ვინც იცის, რომ მას შეგნებულად ყვლეფავენ და ამის წინააღმდეგ კი არავითარ ზომებს არ იღებს. ამის შემდეგ ფეიქრები შეებრძოლებიან გამდიდრებულ ფოქსტროტლს და დაამარცხებენ მას. ფოქსტროტლის უკანასკნელი აღსარებაა: „ყველაზე უფრო სულელი თვითონ მე გამოვედი, ვინაიდან ყველამ უნდა იცოდეს თავისი გზა და ადგილი“. ასეთია პიესის შინაარსი.

პიესის შინაგანი აგებულება ზღაპრულ ხაზზეა გაშლილი. ამიტომაც მისი დადგმა აუცილებლად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ზღაპრის ტონის დაცვა ბოლომდის თხოულობს განსაკუთრებულ სინათლის ეფექტებს, განსაკუთრებულ ხმას და შესაფერის დეკორატიულ მორთულობას. ყოველი ნივთი, ყოველი ჟესტი მსახიობის, ყოველგვარი განათება უნდა ჰქმნიდეს ზღაპრის სრულ ილიუზიას. მოსკოვში ვახტანგოვის სტუდიამ და სამხატვრო თეატრმა ზღაპრულ სტილის მხატვრულად მოცემის მხრივ პირდაპირ განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწიეს: „ლურჯი ფრინველი“-ს დადგმას თამამათ შეუძლია თვით კინოსაც გაუწიოს კონკურენცია, ხოლო „პრინცესა ტურანდოტმა“ რეკორდი აიღო ბგერების ზღაპრული სტილიზაციის საქმეში.

მ. ჭიაურელმა მშვენივრად დაიჭირა პიესის შინაგანი ტონი. განსაკუთრებით კარგი იყო სცენა შავკანიანებთან. აქ მაყურებელი გრძნობს აფრიკულ „სიცხეს“, შავკანიანების ველურ ვნებას, რომელიც თვალსაჩინოთ გამომჟღავნდა [illegible] და ფოქსტროტში. ჩინელებთან სცენაში ჩანდა სტილის მთლიანობა; აუცილებლად ახალია და მხატვრულათ ძლიერ დამაჯერებელი ქურუმების ლოცვა; მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სინათლის ეფექტები ვერ იყო მიზანშეწონილად გამოყენებული. აუცილებლად ხელს უშლის ზღაპრის ილიუზიის შემოქმედებას ღია ფერი. საჭიროა განსაკუთრებული გულისყური მიექცეს სინათლის პრობლემას, რადგანაც ახალი რეალიზმი იწყება სწორედ სინათლისა და მუსიკის გამოყენებით პერსონაჟების ფსიქოლოგიური განცდების გადმოშლის საქმეში.

იმ რესურსებისა და პირობების მიხედვით, რომელიც აქვს ქართულ სექტორს, მორიგი პრემიერა აუცილებლად დამაკმაყოფილებელია რეჟ. მ. ჭიაურელმა შესძლო ახალგაზრდა მსახიობთა შესაფერისი გაწვრთნა და დიქციის აუცილებლად გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ნიჭიერმა ახალგაზრდებმა ხ. ჭელიძემ, რ. მაღლაშვილმა და გ. კუპრაშვილმა.

პიესას თან ახლდა „ინტერმედია“. ინტერმედიებს გარკვეული ამოცანა აქვთ: უფრო მჭიდროთ დააკავშირონ სცენა მაყურებელ დარბაზთან. ვფიქრობ, რომ ამ ინტერმედიამ შესძლო ეს: აქ უფრო გრძნობთ პროვინციალურ „ხელოვნებას“, ვინემ მხატვრულ კავშირს სცენასთან. საჭიროა ამ „ინტერმედიის“ ან სრული მოხსნა ან და უფრო გაუმჯობესება. ჩვენ ვფიქრობთ, უკანასკნელი შესაძლებელია. მით უფრო, რომ ამისათვის მ. ჭიაურელს ინტუიციაც გააჩნია და ნამდვილი მხატვრული ალღოც.

პიესა ახალგაზრდათა აუდიტორიისათვის არის განზრახული.

შ. დ.

ხელოვნების ქრონიკა

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „სადკო“.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

— **გრიგოლ რობაქიძე** დღეს, საღამოს 8 ს. ხელოვანთა სასახლეში წაიკითხავს მოხსენებას: „ლიუდვიგ კლაგეს“ (გერმანიის თანამედროვე მოაზროვნე).

— **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს დილით წარმოდგენილი იქნება „ვაი ჭკუისაგან“. საღამოს—„რღვევა“.

— **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

— **„ტაისი“.** 15 თებერვალს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ტაისი“ მირა ელიავას მონაწილეობით.

— **კონცერტი.** 13 თებერვალს რუსთაველის დარბაზში დღეს გაიმართება მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდის კონცერტი.

— **კონცერტი.** 13 თებერვალს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ალ. გველესიანის დირიჟორობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი. პროგრამაში: იგორ სტრავინსკის — ჯარისკაცის თავგადასავალი, გუსტავ მალერის — სიმფონია № 2, რაველ — საღრიჩობელაზე, ს. პროკოფიევის — სიყვარული სამ ფორთოხლისადმი და სხვ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სანდრო ინაშვილი. ორკესტრი შესდგება 80 კაცისაგან.

— **პლეხანოვის სახ. კლუბში** დღეს ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება ლანრდანის „ბარტელ ტურაზ“.

— **ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში** დღეს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

— **მუშათა ცენტრ. კლუბში** დღეს მეტალისტთა კავშირის სამხატვრო წრე გამართავს დიდ საღამო-წარმოდგენას.

კომკავშირელ მწერალთა წრეში

დღეს, საღამოს 5 საათზე, გაზ. „ახალ. კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: დ. რონდელი, ვ. ლუარსაბიძე, ს. წვერავა, ი. ხოშტარია, ა. სულავა, კ. ბობოხიძე და ფ. ნაროუშვილი.

ამავე რედაქციის ბინაზე დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი ლიტერატურული სხდომა, რომელზედაც ვ. ქაჯაია წაიკითხავს მოხსენებას: „ჟურნალ პროლეტარულ მწერლობის თეორია და პრაქტიკა“. შემდეგ მოხდება მასალების განხილვა.

— **„ქალი ბაზრობიდან“.** ორშაბათიდან თბილისის კინოებში დაიწყება სახკინმრეწვის ახალი სურათის: „ქალი ბაზრობიდან“ — ჩვენება. მთავარ როლებში: ბელა ბელეცკაია, ა. ვახაძე და ა. მუღუსიძე.

რემედასში

რაიონული კონფერენციები

რემედასის რაიონული კონფერენციები თბილისში შესდგება: მე-4-ე რაიონში—15 თებერვალს, მე-3 რაიონში—20 თებერვალს, პირველ რაიონში—27 თებერვალს და მეორეში—29 თებერვალს.

შაბიამანის შემოზიდვა და განაწილება

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, საქართველოს მევენახეობისათვის წლიურათ საჭიროა 1,800 ტონა შაბიამანი. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს შაბიამანი შემოტანილი იყო სავსებით საკმარის რაოდენობით, ბაზარზე ადგილი ქონდა შაბიამანის ნაკლებობას. ეს გარემოება გამოიწვია იმან, რომ შაბიამანით ვაჭრობას ეწეოდა რამოდენიმე ორგანიზაცია და შაბიამანი განაწილებული იყო მიზანშეუწონლათ, რის გამო ზოგიერთ რაიონში მოგროვდა დიდი რაოდენობით. ამ რაიონებში შაბიამანის დიდი რაოდენობა ხელში ჩაუვარდა კერძო ვაჭრებს, რომლებმაც შაბიამანი გადამალეს და შემდეგ გადიდებულ ფასებში ყიდდენ.

შაბიამანის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა მომავალში შაბიამანის განაწილება დაევალოს მხოლოდ „სოფლის კავშირს“, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მთელი საქართველოს სასოფლო მეურნეობასთან. ყველა სავაჭრო ორგანიზაციები, რომელთაც მოეპოვებათ შაბიამანი, ან შაბიამანის შემოზიდვის შესახებ დადებული აქვთ ხელშეკრულება, ვალდებული არიან შაბიამანი გადასცენ „სოფლის კავშირს“.

წელს „სოფლის კავშირი“ საქართველოში გამოიტანს 1,900 ტონა შაბიამანს. ამ რაოდენობიდან განაწილებული იქნება 1,800 ტონა, 100 ტონა კი შენახული იქნება მარაგად.

რკინის გზეზე

დაჯახება სადგურ ნავთლუღში

10 თებერვალს ღამით სადგ. ნავთლუღში პირველ (მთავარ) ხაზზე იდგა გასაგზავნად გამზადებული საბარგო მატარებელი. მემანქანე ჯაბაშვილმა არ მოუცადა ისრის და სემაფორის მომზადებას, დაიძრა ადგილიდან და შეიჭრა ორი ვაგონით დაკავებულ ხაზზე.

ერთ ვაგონში მოთავსებული იყო ცხენები, რომელთაც თან ახლდა გამყოლი, ხოლო მეორეში იმყოფებოდა სალიანდაგო განყოფილების მე-11 უბნის უფროსის თანაშემწე ძ. დოლგანოვი თავის ცოლშვილით და ნაცნობებით. ვაგონები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო.

მოხდა დაჯახება. პირველად მატარებელი დაეჯახა ვაგონს, რომელშიაც ცხენები იყო. შემდეგ ეს ვაგონი დაეჯახა მეორე ვაგონს.

დაჯახებას შედეგად მოჰყვა 6 კაცის დაშავება, ორი ცხენის დაჭრა და ვაგონების დამსხვრევა.

ცხენები (რიცხვით რვა) ეკუთვნოდა კოოპერატიულ ამხანაგობა „კონკორდია“-ს.

დაშავებულნი

დაჯახების დროს პირველ ვაგონში მძიმედ დაშავდა ცხენების გამყოლი ვილჰელმ ტუმი, რომლის მდგომარეობა სერიოზულია.

მეორე ვაგონში მძიმედ დაშავდა თვით დოლგანოვი და მისი ცოლი ანტონინა, ხოლო მსუბუქად: დოლგანოვის ქალიშვილი ლიუდმილა, მარიამ რაევსკაია (სადგ. თაუზის ტელეგრაფისტის ცოლი) და მისი ქალიშვილი ნადეჟდა.

ყველა დაშავებულები სასწრაფო დახმარების ავტომობილით გადაიყვანეს საავადმყოფოში.

დაჯახების მიზეზების გამორკვევა

შემთხვევის მიზეზების გამოსაძიებლად შექმნილია სპეციალური კომისია.

მემანქანის დაუდევრობის ნაყოფი

10 თებერვალს სადგ. ბარგუშეთში მისული საბარგო მატარებელი, სადგურის მორიგის ნებადაურთველად (კვერთხის აუღებლად) დაიძრა ადგილიდან და წავიდა ქვევით.

დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები მატარებლის გასაჩერებლად. მატარებელი გააჩერეს გასასვლელ ისრებზე. მემანქანემ ამ შემთხვევაშიც დაუდევრობა გამოიჩინა. მან არ დაუცადა სიგნალს და მოულოდნელად წაიყვანა მატარებელი უკან. ამ დროს შემადგენლობა გაწყდა სამ ადგილას. მემანქანემ ვერ შეამჩნია ეს, მან არც სიგნალებს მიაქცია ყურადღება და განაგრძო თავისი მუშაობა.

ასეთ „მუშაობას“ შედეგად მოჰყვა ექვსი ცარიელი ცისტერნის გადავარდნა ლიანდაგიდან, რომლებმაც დაიკავეს ხაზი.

ამ დროს მეორე მხრიდან მოდიოდა მატარებელი, რომელიც დროზე გააჩერეს სადგურთან მოახლოებისას, რითაც აცილებულ იქნა კატასტროფა.

მოძრაობა შესწყდა. ხაზის გასაწმენდად ევლახიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომლის საშუალებით მოძრაობა აღდგენილ იქნა.

სწარმოებს მიზეზების გამოძიება.

ქარ-ბუქი

ხაშურ-სურამის ხაზზე ღამით 10—11 თებერვალს ამოვარდა ძლიერი ქარბუქი.

ხაზის მეორე კილომეტრზე ნამქერში ჩაიფლო მატარებელი № 76.

ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომლის საშუალებით ჩაფლული მატარებელი გაანთავისუფლეს და ხაზი გასწმინდეს.

შეშა

სომხეთის სატყეო მრეწველობამ ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას წინადადება მისცა, რომ ჩააბაროს მას 3.000 კუბიკურ საჟენ შეშას, 60 მანეთათ კუბ. საჟენს, იმ პირობით, თუ გზა ამ თავითვე მისცემს მთელი შეშის ღირებულების 50 პროცენტს.

გზის გამგეობამ სატყეო მრეწველობის პირობები მიუღებლად სცნო და საკითხი გადასაწყვეტათ გადასცა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

ბიბლიოგრაფია

„პროლეტარული პოეტები ოქტომბერზე“

ვ. ლუარსაბიძის რედაქციით

ქ. თბილისი. 1927 წ. ფასი 30 კაპ.

სარეცენზიო კრებულს ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გაუსვათ, რადგან იგი მიძღვნილია პროლეტპოეტების მიერ ოქტომბრისადმი და ამიტომ ის უნდა წარმოადგენდეს იდეოლოგიურად გამართულ და შერჩეულ ლექსთა კრებულს. სამწუხაროდ სწორედ ამ კრებულში გვაქვს ჩვენ თვით მოწინავე პროლეტმწერლების მხრივ არა სასურველი გადახრები, პროლეტმწერლებისათვის მიუღებელი რელიგიური მოტივები და სხვა. არაა გასაკვირი, რომ პროლეტმწერალს, რომელიც არც ისე დიდი ხანია რაც გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ჰქონდეს ესა თუ ის გადახრა და მით უმეტეს საქართველოში, სადაც დიდია წვრილბურჟუაზიული ლიტერატურის გავლენა. მაგრამ მთავარი ისაა, რათა მიუდგომლად და დროზე იქნას აღნიშნული ყოველგვარი გადახრა, ყოველი დეფექტი და გამოსწორდეს ის პროლეტმწერლის მიერ.

სავსებით სამართლიანად სთქვა ამხ. კახიანმა პროლეტმწერალთა ყრილობაზე, რომ „დეფექტები რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოვამჟღავნოთ, რაც შეიძლება მალე უნდა გავამართოთ, რათა ისინი შემდეგში აღარ განმეორდეს“-ო. ჩვენ ასე გვსურს მივუდგეთ სარეცენზიო კრებულს.

კრებული იხსნება კ. ბობოხიძის ლექსით—„ოქტომბრისათვის“. ლექსი ლირიკულია. ავტორი მზად არის უარყოს ყოველივე პირადული და ოქტომბერს გაჰყვეს, როგორც მებრძოლი. მაგრამ ლექსში სრულებით არ ჩანს, თუ ოქტომბერი რატომ არის ასეთი სტიმულის აღმძვრელი.

შემდეგ მიდის ს. ეული—„ოქტომბრის მარში“. ვ. მაიაკოვსკის სუსტი წაბაძვაა. მაგრამ მთავარი ამბავი აქ ის არის, რომ ავტორისათვის ოქტომბრის რევოლიუცია, როგორც აღნიშნა ეს საქ. პროლეტ. მწერალთა ყრილობაზე ამხ. კახიანმა, ყოფილა ახალი ღმერთის ძიების მასალა. გამოდის, რომ მუშათა კლასმა „ერთად ყოფნა“ ღმერთად უნდა იწამოს და ასეთი რამ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია.

ასეთივე ხაზებით არის დაწერილი ნ. ზომლეთელის „ლეგენდარული ღამეც“. ამ ლექსში ოქტომბერი მოცემულია, როგორც ქრისტეს დაბადების პარალელი. ავტორი სწერს:

„მოგვთა და ბრძენთა
ნახეს ნიშანი,
ცის ჩრდილოეთზე
ვარსკვლავი დიდი“ და სხვა ასეთები.

ოქტომბრის დინამიკა მან განისახიერა სახარების სტატიურ და მისტიურ ფერებში და ამიტომ ლექსში მოცემულია არა რევოლიუციის გრიგალების ათვისება, არამედ მთვარით განათებული სოფლური მყუდროების შთაბეჭდილება. ეს კი მხატვრული დისონანსი და სიყალბეა. ლექსი სრულიად არ უნდა გაეშვათ.

ი. ვაკელის „ცეცხლის რკალებში“ დამძიმებულია დღე და ღამის პეიზაჟებით. პეიზაჟებით ლექსის წერა ზედმეტად არქაიული მანერაა.

ა. მაშაშვილი. წარმოდგენილია გრძელი პოემით „სისხლიანი დღები“. სამწუხაროდ სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი პოეტისაგან, როგორიც არის ი. მაშაშვილი რელიგიური ეპითეტის ხმარება. ამ პოემაში მას აქვს ასეთი შედარება:

„ამ დროს სიცილი ამოყვა ზღვიდან
ვარსკვლავს, რომელიც გაიდა მადონას“

ავტორის წარმოდგენით ოქტომბრის სიმბოლიური ვარსკვლავი შესულია, როგორც მადონას რელიგიური სათნოება და მადლი. ავტორს უნდა სცოდნოდა, რომ მადონას სახე რელიგიურ განცდათა წყაროა, სულ ერთია იგი ანფასით თუ პროფილით იქნება დახატული, ხოლო ოქტომბრის ვარსკვლავი კი არსებითად ანტირელიგიური ემოციების გამღები მოვლენაა. შეიძლება პოეტს წარმოდგენა სხვა უფრო გამართლებული ლექსებით.

გ. ქუთათელაძე „ოქტომბერი“ დამაკმაყოფილებელია.

კ. კალაძე: „ლანქერის სვლა“ სათაური არ შეეფერის რევოლიუციონურ ბრძოლის სურათს. გარდა ამისა, ლექსში აღებულია შედარებები გეოლოგიურ და ანატომიურ მოვლენებთან. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ოქტომბერი პოეზიაში სოციალ-ეკონომიური შედარებით უფრო დინამიურია და სიმართლესთან უახლოვებული. ავტორი თავს ვერ აღწევს ძველი კლასიკურ პათოსს, რომელიც უხვად არის მოცემული ამ ნაწარმოებში.

კ. ლორთქიფანიძე. მისი ლექსები უფრო ხასიათებით და იდეოლოგიური გამართლებით არის დამუშავებული. ამ ლექსში არ არის არც ერთი რელიგიური და მისტიური ხაზი. „მებრძოლთა სიმღერა“ ი. ევდოშვილის „მეკობრეები, წინ, წინ გასწით“ ფონეტიკით არის შესრულებული. მაგრამ მებრძოლთა პათოსის სწორი გამოცემას, არაფერს აკლებს. „ოქტომბერი“ ქრონიკის სტილითაა დაწერილი, მართალი და ცოცხლად. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ქრონიკას სტილი ლექსში და მით უფრო ქართულ ლექსში ძალზე სახიფათოა. ვ. მაიაკოვსკის „მათემატიკური ფორმულებით“ ქართული ლექსის წერა ფონეტიკურად უფრო პროზის შთაბეჭდილების მომცემია. ასეთ ხიფათს კ. ლორთქიფანიძეც ვერ ასცდა.

კ. [illegible] „გამოსათხოვარ ბარათში“ ძველ ქვეყანას ადარებს ბელზებელს. ამ რელიგიურ შედარების მაგივრად, რომელსაც ბიბლიის სუნი ასდის შეიძლებოდა უფრო სხვა შედარების მონახვა. ავტორი უნდა ცდილიყო სოოქტომბრო ასოციაციების აღძვრას მკითხველში. ამიტომ თვითონ უნდა გაესაზრა ყოველი დეტალი და ლექსიც ასე აეშენებია.

ი. ლისაშვილი, „25 ოქტომბერი“. ეს ავტორი მუშათა კლასის რევოლიუციონურ გამოსვლას შემდეგი შედარებებში იძლევა:

„მოქრის ნიავი და
მას მოსდევს ავი მთვრალები“...

. . . .

რომლებიც კივიან „კომუნას ველით“... მუშათა კლასის „ავი მთვრალებით“ გამოცხადება უდრის მათი პატალოგიურ ტიპებათ დახატვას. ეს კი საქმის ვითარების დამახინჯებაა.

მუშა პოეტებიდან აღსანიშნავია:

შ. ნავთლუღელი: კრებული არაფერს არ წააგებდა, რომ გაეშვათ მხოლოდ „წითელი ოქტომბერი“, რადგან სხვა მისი ლექსები განმეორებაა ამ ნაწარმოებისა.

გ. ხერხეშვილი. „ზეიმი 1927 წლის თავზე“. ეს ლექსი მუშურ ენტუზიაზმით და სიხარულით არის დაწერილი, მაგრამ ძველი თქმებით და მანერებით, კრებულში მოთავსებულია ს. ხიდისთაველი, ნაროუშვილი და სხვ. ასე ამრიგად კრებულში მოცემული უმრავლესობა ლექსებისა რელიგიურ და მისტიურ დაღს ატარებს. ოქტომბრის ამ თვალით დანახვა—მისი არ გაგებას უდრის და ამიტომ ეს ლექსები კრებულში არ უნდა ყოფილიყო შეტანილი.

ლიტერატორი.

ქუთაისი

კოოპერატივების შეერთება

კურსებისა და ორპირის მთლიანი კოოპერატივების რწმუნებულთა უკანასკნელ ყრილობაზე გამოტანილ იქნა დადგენილება ამ ორი კოოპერატივის გაერთიანების შესახებ, კურსებ-ორპირის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების სახელით. ასეთი დადგენილება გამოწვეულია იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იქნეს ხარჯების შემცირება, საქონლის ფასების დაკლება და ამ ორი მეზობელი თემის გლეხობის ერთმანეთთან უფრო მჭიდროთ დაკავშირება. გამგეობის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: პოლიკარპე ნიშნიანიძე (თავმჯდომარე), ტ. ბერიკაშვილი, ვლ. ბიბილაშვილი; ი. ჩუბინიძე; ი. ბუხაიძე, ბ. ხუციშვილი, ს. მერკვილაძე, კ. დოლიძე; კ. ნიშნიანიძე, ქ. დიდმარიძე ს. კობლაშვილი და ლ. კეთილაძე; სარევიზიო კომისიაში: ალ. გოგოლაშვილი, დ. ჭირაქაძე, ვ. გოცირიძე, ბ. შეკლაშვილი და კ. მორჩაძე.

ქვიტირის თემის აღმასკომის ახალი შემადგენლობა

ქვიტირის თემის აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: გოჩენიძე (თავმჯდომარე), სერაფიონ ყუბანეიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ვიქტორ ძეიშვილი (მდივანი). ალექსი რეიშვილი და დავით ხახალეიშვილი.

სარწყავი არხის დათვალიერება

„მაშველი“-სა და 1 საბჭოთა არხის გამგეობამ, წყალთა მირაბისა და ტექნიკოსის თანდასწრებით 23 იანვარს დაათვალიერა 1 საბჭოთა არხი და გამოარკვია ის ხელოვნური და მიწის სამუშაოები, რომელიც ამ ახლო მომავალში უნდა შესრულდეს პატრიკეთის, საყულიისა და ბაშის თემებში.

ინტელიგენციის აქტივის მუშაობა

ქუთაისის ინტელიგენციის აქტივი განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ დღეებში მან გამართა ტყიბულის მაღაროებში მეფე ერეკლეს ლიტერატურული გასამართლება. ერეკლე იქაც გამართლდა.

ხანძარი სოფლად

პირველ თებერვალს, ღამით სოფ. მაღლაკში ცეცხლი გაუჩნდა მაღლაკის სათემო აღმასკომის შენობასთან მდებარე დარაბებს და დაიწვა 7 დარაბა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. გამოძიება სწარმოებს.

მე-4 აფთიაქი

ქალაქის პირველ (წყალგაღმა) სამილიციო უბანში, „26 კომუნარის“ სახელობის ქუჩაზე, ჯანმრთელობის განყოფილებამ გახსნა მე-4 აფთიაქი.

თოვლი

მთელი თვის კარგი ამინდების შემდეგ 2 თებერვლიდან დაიწყო წვიმა, რომელსაც 3 დღის განმავლობაში არ გადაუღია. 4 თებერვალს ღამით გათოვდა და დასდო მეოთხედი არშინი თოვლი, რამაც გამოიწვია სურსათ-სანოვაგეზე ფასების აწევა. გამსაკუთრებით სოფლის ნაწარმოებზე.

მეცხვარეობა

საქონელი მეცხვარეებისათვის

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა საქართველოს მეცხვარეების მომარაგების გეგმა, რომელიც მეცხვარეებისათვის შემოზიდული იქნება 78 ვაგონი ხორბალი (117.000 მან.), 7 ვაგონი ქერი (5.600 მან), 335.000 მეტრი ფართალი (155.600 მან) და 3.700 მეტრი ფარაჯის მასალა (18.600 მან.) სულ მეცხვარეებისათვის მომარაგებული იქნება 236.000 მანეთის საქონელი.

გაზაფხულის მატყლი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოში დამზადებული იქნება 45.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი. გასულ წელთან შედარებით დამზადების გეგმა გადიდებულია 20 პროცენტით. მატყლის დამზადება მთლიანად მინდობილი აქვს „სოფლის კავშირს“.

მთელი დამზადებული რაოდენობიდან საკავშირო მრეწველობას გადაეცემა 35.000 ფუთი მატყლი ადგილობრივ საფონ-ტრესტს—8.000 ფუთი, შინამრეწველობას—6.000 ფ. და „ზაკგოსტორგს“—5.000 ფუთი მატყლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.

სხდომაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

აბრამ მიხეილისძე ხიზანაშვილი, აპოლონ სიმონის ძე რაზმაძე, მიხეილ იოსების ძე ფათარკალაშვილი, ისაკ გიორგის ძე მიქელაძე, ალექსანდრე გიორგის ძე ოქრუაშვილი. ზაქარია გიორგის ძე ჯიქურაძე, სერგო გიორგის ძე დავითაშვილი, იოსებ ფარსადანის ძე ნემსაძე და გალაქტიონ ივანეს ძე კოდუა.

თბ. სახ. უნივერსიტეტის უჯრ. ახალგაზრდა მარქსისტთა ბიურო აცხადებს თავის რწმუნებულთა საყურადღებოდ ფაკულტეტებზე, რომ ისინი უნდა გამოცხადდენ ბიუროს ოთახში, ორშაბათს, 13 თებერვალს; საღამოს, 6 საათზე.

სავალდებულოა აგრეთვე გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ვეკუა ივანე, ნასიძე გიორგი, გოცაძე გიორგი, კაშია ილია, კუბლაშვილი შალვა, ჩხარტიშვილი მიხეილ, ღამბაშიძე ჯიორგი, ქლიბაძე გიორგი, პაჭკორია მიხეილ, ორჯონიკიძე გიორგი; მენაბდე შალვა, ქინქლაძე გერასიმე, ხოფერია კოტე, დანელია ნიკოლოზ, გვაზავა გოგუცა და აროშიძე ანეტა.

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. აკირტავას, უგრეხელიძეს და ბახტაძეს გამოცხადდენ ამხ. ჭელიძესთან ორშაბათს, 13 თებერვალს.

სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ. ფაკულ. არსებულ ახ. ლ. კ. კ. ორივე უჯრედის ბიუროები იტყობინებიან, რომ აღნიშნულ უჯრედების წევრ-კანდიდატთა ხელახალი აღრიცხვა სწარმოებს 15 თებერვლამდე, დღის 12—2 საათამდე.

ვინც აღნიშნულ დრომდე არ გატარდება აღრიცხვაში, მექანიკურად გამოირიცხება კავშირიდან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება მესამედ აძლევს წინადადებას ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ხვალ, 13 თებერვალს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 9) ამხ. თარხნიშვილთან:

ეკა ივანეს ძე მადინსკი, გიორგი გიორგის ძე ხალათიანი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული დავიდოვი, ბარნაბ ილიას ძე დომენიანი, სიმონ იოსების ძე აგაშენაშვილი, სერგო კლემენტის ძე ებრალიძე, მარიამ ალექსანდრეს ასული სუქიასოვა, ანასტასი ივანეს ასული კოვალენკო, პოკრატ ბაღდასარის ძე ადანესოვი, ვლადიმერ იოსების ძე კაკაბაძე, ევა ალექსანდრეს ასული გაზაევა, ვასილ ბესარიონის ძე ჩიტაძე, ქსენია ლევანის ასული თავართქილაძე, რომანოზ სპირიდონის ძე ლობჟანიძე, სევერიანე თედორეს ძე ბზეკალავა, ნინო სიმონის ასული ბოლქვაძე, ლუარსაბ სოლომონის ძე ფალიანი, ივანე ისაკის ძე ფირალოვი, ალექსანდრე გიორგის ძე ასაშვილი, ქეთევან კალისტრატეს ასული საგარელი, ნიკოლოზ გიორგის ძე ბზიაშვილი, ვერა ვლადიმერის ასული კონოპკი, ილია იაკობის ძე გოძიაშვილი, ივანე დიტოს ძე ბაღირია, ალექსანდრე გიორგობიანი, მიხეილ სიმონის ძე დალაქიშვილი, მიხეილ შომახიძე, ივანე ივანეს ძე კულარაძე, კირილე სამსონის ძე გოგუა; ელპიდე დავითის ასული შენგელია, მიხეილ სარდიონის ძე გაბუნია, მიხეილ დიმიტრის ძე სიხარულიძე, აპოლონ გიორგის ძე სირაძე, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დზისი, ვსევოლოდ ანტონის ძე ბეიერი, ალექსანდრე ანტონის ძე ჩხაიძე, აკიმ დადიმის ძე რეზნიჩენკო, ანტონ პეტრეს ძე კოსია, ალექსანდრე ივანეს ძე ლობჟანიძე, კონსტანტინე ედიშერის ძე ვაშაძე, მიხეილ ისიდორეს ძე სერგეევი, მესროპ ბეჟანის ძე ნერსესიანი, ვასილ ბესარიონის ძე ჩიტაძე, ესენი სავლის ძე გალკოვიჩი, ბორის ლეონტის ძე დულკოვსკი, ივანე ნიკოლოზის ძე კლიჩკო, ბენიამინ ალექსის ძე რეჟენოვსკი, ამაიაკ ამირჯანის ძე ვანიევი, ალექს. პავლეს ძე ბალიაშვილი, ვარლამ ერასტის ძე სანიძე, ტუგუში ბაღდასარის ძე ხუციშვილი, სექტორ [illegible]

ჭადრაკი

[illegible]

შაში

[illegible]

რადიო-გადაცემა

კვირა, 12 თებერვალი

დღეს, 12 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: [illegible]

ორშაბათი, 13 თებერვალი

[illegible]

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

[illegible]

1928 წლის 6 თებერვალს შესდგა შრომის ბირჟის კომიტეტის სხდომა. [illegible]

ამხ. არამიის გამგზავრება

[illegible]

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებები

დადგენილება № 85

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი

სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახების, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა მუშ. და გლ. წითელ არმიაში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდამკარგველ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და 1927 წ. ოქტომბრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდამკარგველ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 30
თბილისი სასახლე.

დებულება

სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, ომში გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდამკარგველ პირთა ან ამა პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ.

მუხ. 1. ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება აქვს: ა) ომის ინვალიდებს, აგრეთვე იმ პირთ, ვინც სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს დაშავებისა ან ავადმყოფობის გამო დაჰკარგა შრომის უნარი: ბ) გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს; გ) იმ გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებს, რომელნიც აღნიშნული არიან ამა მუხლის „ა" პუნქტში და რომელნიც უკვე იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობაზე ან უფლება ჰქონდა მიეღო იგი; დ) ვადიანი სამხედრო სამსახურის სამერიტეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც განუწყვეტლივ მსახურობენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ძირითად (საკადრო) შედგენილობაში, ე) იმ პირთ, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო. და აგრეთვე იმ ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრთ რომელსაც მარჩენალი დაეღუპა კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო.

შენიშვნა 1: ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება შეენარჩუნებათ ამა მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნულ პირებს იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ მათ შრომის უნარი დაჰკარგეს სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით ერთი წლის განმავლობაში სამსახურიდან დათხოვნის დღიდან.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „დ" პუნქტში მოხსენებულ პირთა ოჯახები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ შემდეგ შემთხვევაში: ა) უკეთუ მათ მარჩენალს, რომელიც გაწვეული იყო მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ჰქონდა, უფლება ერთ-ერთი იმ შეღავათისა, რაც გათვალისწინებულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-7 კარში (ს. ს. რ. რ. კ. კანონთა კრებული 1925 წ. 62 №-ში მუხ. 463); ბ) უკეთუ მარჩენლის ჯარში გაწვევის შემდეგ, მისი ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა ისეთნაირად შეიცვალა, რომ მას უფლება ეძლევა ერთ-ერთი აღნიშნული შეღავათი მიიღოს; გ) უკეთუ გაწვეულის ოჯახი განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის, იგი შეიძლება როგორც გამონაკლისი, მიღებულ იქნეს სახელმწიფო მზრუნველობაზე ამ მუხლში გათვალისწინებული პირობების გარეშეც.

მუხ. 2. იმ პირს, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოციალური დაზღვევის წესით ან სპეციალური კანონმდებლობის მიხედვით, ამა დებულებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის უფლება არა აქვს.

მუხ. 3. ის პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს ჩამორთმეული, ვერ ისარგებლებს ამა დებულებაში გათვალისწინებული უზრუნველყოფის უფლებით.

შენიშვნა: ეს მუხლი არ გავრცელდება იმ პირზე, ვინც საარჩევნო უფლებას მოკლებულია სულით ავადმყოფ პირად ცნობის გამო.

მუხ. 4. ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ ოჯახის შემდეგ წევრებს: ა) შვილებს, ძმებს და დებს, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ; ბ) შრომის უნარ-მოკლებულ სრულწლოვან შვილებს, ძმებს და დებს, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი 16 წლის ასაკამდე; გ) შრომის უნარ-მოკლებულ მშობლებს და მათ მენაცვლე პირებს; დ) შრომის უნარ-მოკლებულ მეუღლეს; ე) „გ" და „დ" პუნქტში ჩამოთვლილ პირთაგან იმას, ვინც თუმცა შრომის უნარს მოკლებული არ არის, მაგრამ ზრდის თავის შვილებს ასაკით 8 წლამდე.

მუხ. 5. ოჯახის წევრები მიიღებიან უზრუნველყოფაზე წინა (4) მუხლის წესისამებრ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არ გააჩნიათ საკმაო საარსებო სახსრები და ცხოვრობდნენ იმ პირის ხარჯზე, ვინც ა) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მზრუნველობაზე იყო ან სამისო უფლება ჰქონდა; ბ) ვინც დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა ომში, ან სამხედრო სამსახურში მშვიდობიან დროს, ან აქტიურ ბრძოლაში კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ; გ) ვინც გაწვეულია მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში.

შენიშვნა: შრომის უნარდაკარგული მშობლები, ძმები და დები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არ ჰყავთ სხვა ნათესავი, რომელიც კანონით ვალდებულია და შეუძლიან კიდეც არჩინოს ისინი.

მუხ. 6. უზრუნველყოფაზე მიღების საკითხს გადასწყვეტს სოციალურ-უზრუნველყოფის კომისია, ამ კომისიის შემადგენლობას, მისი დადგენილების განხორციელებას და გასაჩივრების წესს განსაზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება სამხედრო უწყებასთან და საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 7. დაწესდეს ინვალიდობის შემდეგი ჯგუფები: 1) ის ინვალიდები, რომელნიც არამც თუ მოკლებულნი არიან შრომის უნარს საარსებო სახსრის მოსაპოვებლად, არამედ ჩვეულებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაც კი არ შეუძლიათ სხვის დაუხმარებლად; 2) ის ინვალიდები, რომელთაც არავითარი შრომის უნარი არა აქვთ საარსებო სახსრის მოსაპოვებლად, ხოლო არ საჭიროებენ სხვის მოვლას; 3) ის ინვალიდები, რომელნიც არამც თუ იძულებული არიან თავი დაანებონ თავის ჩვეულებრივ პროფესიას, არამედ მოკლებული არიან საერთოდ რეგულიარული პროფესიონალური მუშაობის უნარს და შეუძლიათ საარსებო სახსრის მოპოვება მხოლოდ შემთხვევითი, დროებითი და თანაც მსუბუქი მუშაობით; 4) ის პირნი, რომელნიც იძულებული არიან გადავიდნენ სხვა უფრო დაბალი კვალიფიკაციის პროფესიაზე; 5) ის პირნი, რომელნიც იძულებული არიან მიატოვონ თავისი ჩვეულებრივი პროფესია და გადავიდნენ იმავე კვალიფიკაციის სხვა პროფესიაზე, უკეთუ ასეთი გადასვლისათვის მათთვის საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების განსაკუთრებული დახმარება; 6) ის პირნი, რომელთაც შეუძლიათ განაგრძონ წინანდელი პროფესიონალური საქმიანობა, ხოლო ნაკლები ნაყოფიერებით.

მუხ. 8. საქმეთა შემოწმების წესს და პირობებს იმის გამოსარკვევად თუ ამა თუ იმ პირს რამდენად დაუკარგავს შრომის უნარი, განსაზღვრავს საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოც. უზრუნველყოფის განყოფილებასა და შრომის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 9. უზრუნველყოფის ძირითადი სახეა: ა) პენსია და დახმარება; ბ) სოციალური უზრუნველყოფის და სახალხო განათლების ორგანოთა გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში მოთავსება; გ) საშრომო მოწყობა.

მუხ. 10. ინვალიდების პენსიების ნორმებს და სახელმწიფო პენსიონერთა რიცხვს ყოველწლიურად განსაზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელსაც სათანადო პროექტს წარუდგენს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 11. ამა დებულების წესით დანიშნული პენსიებისა და დახმარების გასაცემად საჭირო თანხა გადაიდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით, კანონით დაწესებულ ფარგლებში. იმ ხარჯების 25 პროც., რაც საჭიროა ომის ინვალიდებისა, მათი ოჯახებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების დასაკმაყოფილებლად, გაღებულ იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო დანარჩენი 75 პროც. ადგილობრივი ბიუჯეტით.

მუხ. 12. ინვალიდობის ხარისხს, რაც პენსიის მიღების უფლებას იძლევა, აგრეთვე უზრუნველყოფის პირობებს და სახეს განსაზღვრავს სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოც. უზრუნველყოფის განყოფილება.

მუხ. 13. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას დაეკისრება შეიმუშაოს ინვალიდებისა და მათი ოჯახების წევრთა ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევის პირობები და წესი; ამასთანავე პენსიის დანიშვნის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ინვალიდის შემოსავალი, რის მიხედვითაც შეიძლება შემცირებულ იქნეს პენსიის მიცემა ან იგი სრულიად არ მიეცეს.

მუხ. 14. იმ პირს, რომელსაც აქვს ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება და ოჯახის ყველა იმ წევრს, ვისაც იგი ინახავს, ეძლევათ უპირატესობა, დანარჩენ მოქალაქეებთან შედარებით სოციალური უზრუნველყოფისა, ჯანმრთელობისა და სახალხო განათლების ორგანოთა გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში უფასოდ მოთავსებისათვის.

იმ პირთა შვილებს, რომელნიც ომში დაიღუპნენ, უპირატესობა ეძლევათ დანარჩენ მოქალაქეთა შვილებთან შედარებით, სახალხო განათლების და სახალხო ჯანმრთელობის ორგანოთა გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში მოთავსებისათვის.

მუხ. 15. ინვალიდების საშრომოდ მოწყობა და მათთვის დახმარების აღმოჩენა გამოიხატება შემდეგში: ა) სწავლება და ხელახლა სწავლება სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების პროფესიონალურ-ტექნიკურ სკოლებში ინვალიდებისათვის; ბ) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ ინვალიდთა საშრომო შენაერთების მოწყობა განსაკუთრებული დებულების საფუძველზე; გ) ინვალიდთა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელნიც უწევენ ინვალიდებს დახმარებას თავიანთი განსაკუთრებული დებულების საფუძველზე; დ) ინვალიდებისათვის პატენტის უფასოდ აღების უფლების მინიჭება პირადი სარეწაოსა ან ვაჭრობის საწარმოებლად არსებულ კანონმდებლობათა თანახმად.

მუხ. 16. სოფლად მცხოვრებ ომის ინვალიდებს და სამხედრო მსახურთა ოჯახებს უფლება აქვთ, სახელმწიფო უზრუნველყოფის გარდა, მიიღონ, თავისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, საშრომო საშუალება და სხვა სახის დახმარება გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათაგან, რომლებიც მოქმედებენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

მუხ. 17. ომის ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახების წევრებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეღავათი და უპირატესობა გავრცელდება ყველა იმ პირზე, ვინც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია ამა დებულების წესით. ამა დებულების წესით უზრუნველყოფილ პირთათვის საგადასახადო და სხვ. შეღავათები განისაზღვრება სპეციალური კანონით.

მუხ. 18. იმ პირს, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება აქვს, ეს უზრუნველყოფა მიეცემა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოში განცხადების შეტანის დღიდან, და ეძლევა სიკვდილამდე ან იმ დრომდე, ვიდრე მის ჯანმრთელობაში, შრომის უნარიანობის მხრივ, სოციალურ, ქონებრივ და ოჯახურ მდგომარეობაში არ მოხდება ისეთი რამ ცვლილება, რაც კი მას მოუსპობს უზრუნველყოფის უფლებას.

მუხ. 19. ის ინვალიდები და მათი ოჯახის წევრები, რომელნიც პენსიას ან სხვა სახის დახმარებას სოც. უზრუნველყოფის ორგანოებისაგან იღებენ, შეიძლება, ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, ხელახლად იქნენ შემოწმებულნი იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს მათ ჯანმრთელობაში მომხდარი ცვლილება შრომაუნარიანობის მხრივ; შეიძლება აგრეთვე ხელახლად იქნეს გამოკვლეული მათი ქონებრივი, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ასეთივე შემოწმება-გამოკვლევა შეიძლება თვით იმ პირთა თხოვნითაც, მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

მუხ. 20. ინსტრუქციას ამა დებულების განსახორციელებლად გამოსცემს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დებულების გამოქვეყნებისა.

დადგენილება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ოპერატიულ მუშაობაში სხვადასხვა დაწესებულების კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

უფლება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ყოველ ცალკე შემთხვევაში მიიწვიოს საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოს მაღალი კვალიფიკაციის მომუშავენი, სათანადო დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გამოკვლევებში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. პ. ჯუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: პ. მეგრელიშვილი.

1927 წ. დეკემბრის 5.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება №40—116

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1927 წ. სექტემბერი 6.

მინა-ფაიფურის ნაკეთობაზე საზღვრითი საბითუმო ზედნართის დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. სექტემბრის 6-ს დადგენილების № 21 და გასაუქმებლად ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. მაისის 11-ს დადგენილებისა № 32, ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს მინა-ფაიფურის ნაკეთობაზე მაქსიმალური საზღვრითი ზედნართი „პრომდასილიკატის" სინდიკატის განყოფილებისა ან სხვა შემომზიდველი ორგანიზაციების მიერ მისი სტრანზიტო წესით (ფრანკო-გაგზავნის სადგური და ან ფრანკო-ბარჟა გაგზავნის ნავთსადგური) გაყიდვის დროს 3 პროცენტის რაოდენობით ტრესტების საგასაცემო ფასებზე.

§ 2.

მინა-ფაიფურის ნაკეთობათა ბითუმად გაცემის დროს „პრომდასილიკატის" საწყობიდან და ყველა სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის საწყობიდან დაწესებულ იქნეს მაქსიმალური საზღვრითი ზედნართი სატრანსპორტო ხარჯების გარეშე 10 პროცენტის რაოდენობით ტრესტების საგასაცემო ფასებზე.

§ 3.

მინა-ფაიფურის ნაკეთობით ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაციების მიერ სატრანსპორტო ხარჯები ზემოაღნიშნულ ფასებზე უნდა დაემატოს მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

შენიშვნა: ამა დადგენილებით დაწესებული ფასები არ ვრცელდება ნახევრად თეთრ ფანჯრის მინებზე.

§ 4.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივ აღმასკომს შინა-ვაჭრობის განყოფილებებს ევალება ფხიზლად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 5.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 6.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და ვრცელდება მის გამოქვეყნებამდე დადებულ გარიგებათა იმ ნაწილზე, რაც ჩაბარებული არ ყოფილა ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, უკეთუ აღნიშნული გარიგებით ან ხელშეკრულებით ზედნართი გათვალისწინებული არ არის უფრო მცირე, ვინემ ეს ამა დადგენილებით არის დაწესებული.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ათაბეკოვი.

შ. ვ. მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი ბერულავა შვილი.

საქმეთა მმართველი მგალობლიშვილი.

დადგენილება

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მექანდაკეებისა, მათი შვილებისა და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილების სასწავლებლებში მიღების სფეროში მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ.

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მექანდაკეებისა, მათი შვილებისა და სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებისათვის განათლების მიღების გასაადვილებლად—საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებს, რომელთათვისაც ლიტერატურული შრომა უმთავრესს საარსებო წყაროს შეადგენს, მხატვრებს, მექანდაკეებს, მათ შვილებს და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებს მიენიჭოს სასწავლებელში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების შვილებს აქვთ.

ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს.პ. ჯუღელი.

ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1927 წ. დეკემბრის 5.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული დახმარება

ანუსია მეიფარიანს

კითხვა:

მაქვს თუ არა უფლება ჩემი საკუთარი სახლი თავის ეზოთი და მასზე გაშენებული ვენახით და ხეხილით გადავცე ვისმეს სასყიდლით, რომ ამით ხელი შევუწყო ჩემი შვილების სწავლის გაგრძელებას?

პასუხი:

საერთოდ მიწის გაყიდვის უფლება არა გაქვთ, ხოლო თანახმად მიწის კოდექსის მე-23 მუხლის შენიშვნისა (ახალი რედაქციით) სამეურნეო შენობისა და ნაგებობის გაყიდვა შეგიძლიათ მხოლოდ იმ პირზე, ვისაც საადგილ-მამულო ორგანოთა მიერ, არსებული წესისამებრ, გადაეცემა ის მიწა, რაზედაც აღნიშნული ნაგებობა და შენობაა. ამავე პირიდან შეგიძლიანთ აინაზღაუროდ მიწაში შეტანილი გაუმჯობესება.

მასწავლებელს

კითხვა

არსებობს თუ არა კანონი, რომელიც უკრძალავს მასწავლებელს მოამზადოს თავისი სკოლის მოწაფე მეორე მასწავლებლის საგანში, ვინაიდან ჩვენს სოფელში ერთი სკოლის მეტი არ არის და სხვა მასწავლებელი არ იშოვება?

პასუხი:

ასეთი კანონი—არ არსებობს, მაგრამ ეს არის საკითხი მასწავლებლის სამსახურის ეთიკისა, რომლის მიხედვით მასწავლებ. ასეთი კერძო ხასიათის მუშაობა საზოგადოდ არა სასურველად უნდა ჩაითვალოს, ხოლო განსაკუთრებულ პირობების მიხედვით და თანახმად იმ წესისა, რომელიც შემოღებული აქვს ამ საკითხის გამო განათლების კომისარიატს, თქვენ შეგიძლიანთ მიმართოთ ნებართვისათვის ადგილობრივ განათლების განყოფილებას.

ქუთაისის ელექტრო. ტეხნიკუმის მსმენელს ვალერიან მოსმელიძეს

კითხვა:

ვარ უმუშევარი კავშირის წევრის შვილი და ამავე დროს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თავისუფალი. მეკუთვნის თუ არა სასწავლო ფულის გადახდა?

პასუხი:

თანახმად განათლების სახ. კომისარიატის 1926 წ. 28 დეკემბრის № 328 დადგენილების მესამე მუხლისა (წერტი „ა" და „ბ") თქვენ განთავისუფლებული უნდა იქნეთ სწავლის ქირისაგან.

სამუდამოთ გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი: მეუღლე ეკატერინე ერემიას ასული, შვილები: გრიგოლ, ქეთევან, დავით, ნინო, ზაქარიონ და მათი აღმზრდელი (ძიძა) მარინა ხარატი, დები - მარიამ, ვასასი და ედუკი თავის ქმარშვილებით, სიძე: ნიკოლოზ პავლეს-ძე არხანგელსკი, შვილიშვილები: არკადი და ირაკლი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, მათი დაუფასებელი და უსაყვარლესი ოჯახის იმედის, მღვდელ

მიხეილ ბესარიონის-ძე ჩხიკვაძის

სრულიად მოულოდნელათ გარდაცვალებას, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ყოფ. ალექსანდრეს სახელ. საავადმყოფოში, ოთხშაბათს, 8 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ანდერძის აგება და გამოსვენება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას, 12 თებერვალს, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1420

ღრმათ დამწუხრებული: დარდო ბესარიონის ასული სიხარულიძისა, შვილებით: ვანიჩკა, მარო, ქსენია, თამარა და რძალი თამარა, მარიამ ბესარიონის ასული და ეპიფანე ბესარიონის-ძე მეგრელიშვილები დედით ქრისტინეთი, შვილებით: ზაქრო, დავით, თალიკო, ზინობი და მარგარიტათი, რძლები: იზა და კატუშა პაწია შვილიშვილები: ოთარი და ირიკო, სიძე ანტონ მჭედლიშვილი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, დარდოს და მარიამის ერთადერთი ძმის, ეპიფანეს—ცოლისძმის და ყველა დანარჩენების საყვარელი და გამზრდელი ბიძის

მიხეილ ბესარიონის-ძე ჩხიკვაძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას, 12 თებერვალს, დღის 1 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1412

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულნი ცოლისძმები სიმონ და გიორგი იერემიას-ძე დოლიძეები; სიდედრი ირინა სპირიდონის ასული დოლიძისა; რძლები: ვერა სიმონის ასული და მარიამ ესტატეს ასული დოლიძისა; ცოლისდები დომნა იერემიას ასული მარგალიტაძისა, ელენე იერემიას ასული კარტინასი, სოფიო იერემიას ასული ქანთარიასი შვილებითურთ; ქვისლი ბენია ქანთარია აუწყებენ ყველა ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 8 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უძვირფასესი და მარად დაუვიწყარი მღვდელი

მიხეილ ბესარიონის-ძე ჩხიკვაძე

ანდერძის აგება და გამოსვენება მოხდება კვირას, 12 თებერვალს, ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევის 12 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1419

ღრმა მწუხარებაში მყოფი ბიძაშვილი გრიგოლ იასონის-ძე სიხარულიძე მეუღლითურთ, ამხანაგები: მიხეილ და ვლადიმერ სიხარულიძეები და გალაქტიონ პავლეს-ძე ცინცაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 11 თებერვალს, მიხეილის საავადმყოფოში მოულოდნელად გარდაიცვალა სახ. უნივერ. აგრ. ფაკ. 1-ლი კურსის სტ.

გრიშა (გრიგოლ) გიორგის-ძე სიხარულიძე

რომლის დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1423

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დედა დარო, მამა ალექსანდრე შვილებით – მიშა თავის მეუღლეთი, ფეფუცათი და ვახტანგი, მანია თავის მეუღლე გერასიმე აგამოვით და თამარა თედიაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 9 თებერვალს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა, მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი, იშვიათი ადამიანი

დათიკო თედიაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება ქალაქ ხაშურში 14 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე. 1417

ქალაქის ჯან. განყ. სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტი თავის თანამშრომლებით იუწყება ქალაქის ლაბორატორიის ყოფ. გამგის ქიმიკოს

გიორგი გრიგოლის-ძე ალიბეგოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 12 თებერვალს, 12 საათზე. გამოსვენება ბინიდან, ტოლსტოის ქ. № 19 (ყოფ. რაზიეზჟაია), ხოჯივანქის სასაფლაოზე. 1422

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ილარიონ ივანესძე კალანდარიშვილი, შვილები: მატრონე, ეპიფანე, დიმიტრი, ივლიტა (ტატკი), ისაკი და მარიამი, რძლები: მარო, ნიურა, ელენე და მანი შვილებით; სიძე სოლომონ ტარიელისძე მენაბდე შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა | წ. 11 თებერვალს ს. მაკვანეთში (ოზურგ. მაზრა) ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

მინადორა (საშა) მაქსიმეს ასული კალანდარიშვილისა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ი)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე აკაკი ილიას-ძე სვანიძე, დედა ვალენტინა ალექსანდრეს ასული დგებუაძე მეუღლით, ბებია ვასასი იმხნელი, დეიდები: მარია ხუციშვილი, ნინა მეძმარიაშვილი, თამარა დეისაძე, საშა ჯაფარიძე ქმარშვილით და ზინა იმხნელი; ბიძები: ვანიჩქა, ვალოდია და შურა იმხნელები, მული მარია და მაზლი გრიგოლი სვანიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

მარია (მაშურა) ნიკოლოზის ასული სვანიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 12 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ნავთლუღის ქ. № 5, ნაშუადღევის 3 საათზე. 1421

კინო-თეატრებში

აპოლო
სოლეი
მინიონი
პროლეტარი

ხვალ, ორშაბათიდან 13 თებერვლიდან

საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი

ქალი ბაზრობიდან

რეჟისორი გ. მაკაროვი ოპერატორი ვ. ენგელსი

მთავარ როლებში ბელა ბელეცკაია, ა. ვასაძე, ა. მურუსიძე, გ. ინაევი, ღამბაშიძე. სიმებიანი ორკესტრი, სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან

კინო-თეატრებში

აპოლო
სოლეი
მინიონი
პროლეტარი

ნ. 603



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ი. გრიშაშვილი — ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 256, ფასი 2 მ. და 50 კაპ.

გუროვი—ქვეითი ჯარის თავდაცვა. ფასი 25 კ.

ზორინი—რაშია წითელი არმიის ძალა. ფასი 20 კაპ.

ბიუსკი—რა არის მანევრები და რისთვის სწარმოებს ის. ფასი 20 კაპ.

ლიზიუკოვი — საუბარი ტანკებზე და მათთან ბრძოლის შესახებ. ფასი 20 კაპ.

ნ. 429
25—6

სახქინმრეწვის თეატრები	
აპოლო	მონოპოლურად პრემიერა გამოშვ. 27 წ. მოჯადოებული კუნძული
არფასტო	ამერიკის საუკეთესო მსახიობი ქალი ლესტრის ჯაი მხატვრულ შედევრში მუდამ უცხონი
სოლეი	სეზონის ახალი სურათი ბოქსიორი უნებლიეთ მთავარ როლში ცნობილი სპორტსმ. რიჩარდ ტოლმეჯი
დარბაზი	საუკეთესო სურათი „ღრმში რომელი" კარლო ალდინის მონაწილეობით
ოდეონ	უკანასკნ. თბილისში ჟ. ანჟელო და ფრ. ბერტინი მხატ. შედევრში მონტე კარლოს აღსასრული
პროლეტარი (ავლაბარში)	მსოფლიო შედევრი მხდალი

6—7

აპოლოში ორშაბათიდან 13 თებერვლიდან „ქალი ბაზრობიდან" საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმ.

ცირკი „კოლოს"
ტელეფ. № 8—64
ნ. 599 4—4

დღეს, 12 თებერ.

სენსაციური სანახაობანი მსოფლიოში სახელგანთქმულ ცხოველების მწვრთნელის

ანატოლ ანატოლის-ძე დუროვის

გამოსვლა ახალი ტრიუკებით და მხეცებით. პირველად კ ე ნ გ უ რ უ ბოქსიორი მთელი დასი და ახალი გასტროლიორები

კვირას, 12 თებერვალს ორი სანახაობა დ ღ ი ს ი თ ნაშუადღევის 2 საათზე და ს ა ღ ა მ ო თ ი 8 ნახ. საათზე ა. ა. დ უ რ ო ვ ი ს და მისი ახლად ჩამოსული ცხოველების მონაწილეობით

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნ. კ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

საავტომობილო კურსები

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის თბილისის ავტო-კლუბთან ა. წ. 20 თებერვლიდან გაიხსნება საღამოს ერთწლიანი კურსების პარალელური განყოფილება ქართულ ენაზე.

მიღების პირობების გაგება შეიძლება კურსების კანცელიარიაში (პლეხანოვის პროსპ. № 129) ყოველდღე საღამოს 6—8 საათამდე.

1410. ავტოკურსების ადმინისტრაცია.

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლ. აღმასრულებ. კონსტანტინე კამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 19 თებერვალს 1928 წ. დღის 11 საათზე სოფელ ალბულახში საჯარო ვაჭრობით გაყიდის აგაფანგელ გიორგისძე თოფუზოვის მოძრავ ქონებას ერთ ძროხას და ერთ ფარდაგს შეფასებულს 110 მან. ალბულახის „ეპოს" ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ალბულახ-ასურეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 18 იანვარს 1928 წ. თარიღით № 109 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. თუ რომ პირველი საჯარო ვაჭრობით გაყიდვა არ მოხდა მეშვიდე დღეზე ინიშნება მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. 1418

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 16 თებერვალს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 2 ბაგრატიონის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგი ნაცვალიშვილის მოძრავ ქონებას: რკინის რეშოტკას სამი ნახევარი ოთხ კუთხეში არშინ შეფასებულს 194 მანეთად, ნატალია ბუთიკაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 6 დეკემბ. 1927 წ. თარიღით, № 1930 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1411

მიხეილ ბედიმანიშვილის სახელობის **სამკურნალო**

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—15

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენა და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. მიღება 9—12 2—6 ს. 1415 3—1

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—1

ექიმი **მეგრაბიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი

დავით სავვატის ძე რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედნის კუთხე.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78

ექიმი **გ. ნ. ონანოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—16

კბილის ტექნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტექნიკოსთა კურსების გამგე პროფ.

25—18 გ. მუხაძე

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კ ა მ ო ს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.) 25—18

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს საშოსნოსნო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—2

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი თამარა და ტატიანა ქოიაევების სახელზე, ჩ. გ. 1409

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ალექსი შერეშოვის სახელზე, ჩ. გ. 1414

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ვასო ეჯიბოვის სახელზე, ჩ. გ. 1407

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი გეურქა ქობულოვის სახელზე, ჩ. გ. 1405

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი აბელა მდივანოვის სახელზე, ჩ. გ. 1406

დაიკარგა: ჯვრისწერის მოწმობა კონსტანტინე დიამონდოპულოს სახელზე, ჩ. გ. 1408

დაიკარგა პარტბილეთი № 0434682 გაცემული მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პარტკომისიის მიერ გიორგი ლევანის-ძე სურგულაძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: პირადობის მოწმობა და სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი ნიკოლოზ რომანოზის-ძე ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 1404

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 6, მარიამ კიკიანის სახელზე, ჩ. გ. 1264

დაიკარგა მოწმობა, გაცემული ქ. თბილისის 1-ლ რაიონ. სამხედრო მაზრის უფროსის მიერ № 1011, [illegible] სიმონის-ძე ფხაკაძის სახელზე ჩ. გ. 1410

კოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 64